

საჩემო სახეიძე



ზაქმენ ი ღანჩა
აწუკაღოთსა ძღე

ანოტაცია

ნანახი თუ განცდილი, სუბიექტური თუ ობიექტური, იქნებ არაობიექტურიც, დაუჯერებელ-დასაჯერებელი, ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური, – ფაქტები, გადმოცემითი ამბები, ვერსიები, პროგნოზები და მოსაზრებები, რეალური თუ ირეალური პუბლიკაციები, მეცნიერთა და ნათელმხილველთა მისტიკური ჩანართები, უბრალო ადამიანთა დაკვირვებები და შენიშვნები, ღვთის უზენაესობა და წმინდანობამდე დაყვანილი რწმენა, ბუნებისმიერი, ღვთისმიერი უცნაურობები, ზოგი საკრალური თუ ბედნიერების მაუწყებელი, იმედით გაჯერებული მწარ-ტკბილი მოსასმენი და წასკითხი გელოდება პატივცემულო მკითხველო წინამდებარე ნაწერებში. იქნებ კითხვებიც გაგინდეთ, ოღონდ იყოს არგუმენტირებული და ობიექტური, არასარკაზმიანი და არაგამადიზიანებელი. გავითვალისწინებთ შეცდომებსაც და მივიღებთ შენიშვნებს, თუმცა ამბიციურად ნურავინ გადაამეტებს... ღმერთი იყურება ზემოდან!..

წინა ცხოვრებამ ღვთის საბრძანისს მიმახლოვა,
ამ ცხოვრებაში – მჯერა მიცაგს მე მისი ძალა,
ახალი ერა თუ გვიგუებს აღმდგარებს მკვდრეთით,
მაშინაც ღვთისთვის უნდა ვენთოთ სანთელის ალად!..

ძლიერი ენერგეტიკული ველის მქონე ადამიანი, თუ მან იცის, რომ ეს ველი გააჩნია და იცის მისი გამოყენების ელემენტები, იგი მას სასურველ მიმართულებას აძლევს, ანუ შეიძლება მან გაუმდებით რაღაც სურვილის ფორმა ატაროს და მიადწიოს კიდევ, თუ არ იქნება ეს მავნებლობის შემთხვევა.

არიან ასეთი ველის მატარებელი ადამიანები, მაგრამ მათ არ იციან თავიანთი შესაძლებლობები, ამიტომ ნებისმიერ ვითარებაში მათმა სიახლოვემ შეიძლება უკუჩვენებები მოგვცეს, მაგალითად – გაფუჭდეს ტელევიზორი, კომპიუტერი, მწყობრიდან გამოვიდეს დანადგარი, ადამიანს გაუმრუდდეს სათქმელი და ნაბიჯიც კი...

ამ დროს თითქოს გათვალვის ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ მიუხედავად ამის არსებობისა, კიდევ სხვა გარემოებას აქვს ადგილი – უხილავი უარყოფითი “მე” ენერგეტიკულ ველთან მიახლოებისას ზიანდება – აცილების ალბათობა არაა გამორიცხული.

ადამიანში ამასთანავე არ უნდა ბუდობდეს საპირისპირო ადამიანზე ზიზღნარევი, ეჭვებზე აგებული, შურის ფესვებზე დაფუძნებული შეხედულება – იგი ყოველთვის უკუქცევადია, თუ რა თქმა უნდა, ადამიანის ‘ფიქრი’ ამ დროს კარმულად და ღვთის კანონებში სწორად ფუნქციონირებს.

ადამიანის კარგიც და ცუდიც ენერგეტიკული ველის მიზანმიმართვით შეიძლება შეიცვალოს, ანუ ასეთი ველის მატარებელ ადამიანებზე უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერი გამაღიზიანებელი მათივე საზიანოდ, რაც ხშირად არასასურველი შედეგით მთავრდება.

როდესაც ადამიანმა იცის თავისი შესაძლებლობები, თუ მას ხელეწიფება ენერგეტიკული ველის მიზნობრივად გამოყენება, ეს წაადგება მეცნიერებას, ხალხს და მადლიერიც დარჩებიან, ხოლო თუ არ იცის როგორ გამოიყენოს, ეს უკვე სწავლულების დახმარებით უნდა გადავიდეს ხალხისათვის სასარგებლო გარჯაში. არალიარება დანაშაულის ტოლფასია თითქმის, თუ, რა თქმა უნდა, ასეთ ველს მფლობელი ბოროტად არ გამოიყენებს.

აქვე არ შეიძლება არ ჩავურთო ჰიპნოზისტის მონაყოლი: ვმსახურობდი არმიის რიგებში. ჰიპნოზს რომ ვფლობდი, არასოდეს გამიმხელია, მაგრამ არც არასოდეს გამომიყენებია საერთოდ. ერთ მშვენიერ დღეს ილუზიონისტის საცირკო ნომერს დაგვასწრეს სამხედროები. მყავდა გულითადი მეგობარი, რომელსაც წარმოდგენის დაწყებამდე გავუმხილე: როცა რამდენიმე ნომერს ჩაატარებს, მე გაგრძელების საშუალებას მოვუხპობ, შემიძლია ეს, და შენ არავითარ შემთხვევაში თავი არ გასცე, ანუ გამოაცხადებენ რაიმეს და ერთი ყურიდან მეორეში გაუშვი...

დაიწყო წარმოდგენა, მაგრამ პირველივე ნომრიდან ხელი შეეშალა ილუზიონისტს. იგრძნო ეს და გამოაცხადა:

– დარბაზში ვიღაცა ზის ჰიპნოზის მფლობელი და ვთხოვ დატოვოს დარბაზი.

ჩვენ არ გავნძრეულვართ. ჩაიშალა წარმოდგენა და შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი. არც მის შემდეგ მიცდია არასოდეს ჰიპნოზის გამოყენება...

ეს მონაყოლი იმიტომ ჩავურთე, დაიჯერონ, რომ არსებობს ჰიპნოზი და ჰიპნოზურ უცნაურობებთან გათანაბრებული თუ მიახლოებული ქმედებები...

ამის შემდეგ საკუთარი თავით შემოვიფარგლები, რაც თავს გადაამხდენია, მომისმენია და რისაც მჯერა და მწამს, რომ ღმერთს ყველაფერი შეუძლია. მაგალითებისთვის მოვიყვან ნახევრადხლადპრულ ამბებს, თუმცა ისინი უკვე აღწერილი მაქვს და არ ვიცი, პირველად რომელი მიაღწევს მკითხველამდე.

ძირითადად ვეყრდნობი გამოცხადებებით ჩემს გონებაში შემოსულ უცნაურობებს და ვეცდები, განვმარტო კიდევ... გონებაში შემოსულ ინფორმაციებს ღვთისმიერი ბეჭედი აზის.

გამოცხადებების შემდეგ მივედი იმ აზრზე, რომ არაფერი არ ღამემალა და გადამეტანა ფურცლებზე.

იქნებ ვინმეს სკეპტიკურად ეჩვენოს ჩემი აღიარება, მაგრამ ისინი ხომ ნამდვილად ჩაიბეჭდა ჩემს აურაში, ამიტომ ნურავის ეგონება, რასაც აღწერ, სიზმრისეული იყოს თითქოს, ან ჰალუცინაციის მსგავს ფონს შეიცავდეს... რაც კი გამომეცხადა, ისინი ღვთის ძალით მთლიანად აგხსენი.

გამოცხადებებით დავიწყებ, თუმცა გზადაგზა ისეთ უცნაურობებსაც ვიტყვი, რაც ჩემშიც იწვევს ვაკვირებას, თუმცა... მე მწამს და არც არაფერს ვაზიანებ!...

დამამთავრებელ კლასში ვიყავი და ვფიქრობდი, თუ რა გზას დავადგებოდი სკოლის დამთავრების შემდეგ. ახლა იქნებ გაგიკვირდეთ – ყოველივე იმის შემდეგ, რაც მიმოდგაწია და აწუ ვაპირებ რაღაცების გამოქვეყნებას, მითხრათ, სწორ გზას ადგახარო...

მამაჩემს უნდოდა ხოჯა გამოვსულიყავი...

ჯერ ერთი, რომ ჩემი თაობის მოსვლის პერიოდში არც სასწავლებელი იყო და არც ამისი სურვილი გამჩენია... მამაჩემი რაღაც ისტორიებს კითხულობდა, საიდანაც ძალიან ბევრ რამეს გვიხსნიდა ქვეყნის მომავლის შესახებ. იცოდა იმ წიგნებიდან ყველაფერი, მაგრამ მაინც ცდილობდა ხოჯა გამოვსულიყავი. ახლა რომ ვაკვირდები, ხოჯებს კარგი შემოსავალი აქვთ, მაგრამ ჩემგან ხოჯა არ დადგებოდა, იმიტომ, რომ კოსმოსის ათვისება მზარდი ტემპით ხდებოდა, მამაჩემმა კი თხოვნა არ შემისრულა – მინდოდა არაბული წერა-კითხვის შესწავლა და არ იზრუნა. თუ რატომ, ამასაც ვიტყვი: ბავშვობიდან სტალინზე ვიყავი შეყვარებული, მასზე მიძღვნილი ლექსები და სიმღერებიც ძალიან მიყვარდა, თუმცა არც ერთი აღარ მახსოვს. დღესაც სტალინელად ვითვლები და მხოლოდ სიკვდილი მომისპობს ამ შეხედულებებს... ჰოდა, ხანდახან კომუნისტურად ვუჭრიდი სიტყვას, რის გამოც, თუმცა არ ვიყავი,

მაგრამ მაინც კომუნისტს მეძახდა. სხვათა შორის, კომკავშირში რომ მიმიღეს, არ მოეწონა მამაჩემს, ხოლო კომუნისტურ პარტიაში როცა მიღებდნენ, სიხარული გამოთქვა... პარტიაში კი აღარ შევედი მიზეზთა გამო, რომლის არჩევანი დღევანდებლობამ დამიდასტურა... დაერჩი უმაღლესი განათლების გარეშე, ისე კი, მამაჩემს უნდოდა მეზღვაური გამოვსულიყავი. ექიმის დარიგებისამებრ წყალში არ მიშვებდნენ საცურაოდ, ცურვა არ ვიცი დღესაც... სასაცილოა – მეზღვაურმა ცურვა არ იცოდეს...

ახლა უშუალოდ გამოცხადებები:

გამოცხადება პირველი – 1964 წელი.

ჩვენთან, “მიღმა ბაღჩაში“ (ადგილია) იდგა თამბაქოს გასაშრობი ორი შენობა. ერთი შენობის ბოძების ძირას გრძელი ხე იდო. უკუნ ღამეში ამ ხეზე ვიდექი.

– გარეთ გამოდი. – მომესმა ქუხილისმსგავსი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო ტემბრის ხმა.

გაკვიდი შენობიდან, ავიხედე ხმის მიმართულებით ცაში. თვალებიდან ცისკენ წრიული ნათება ჩანდა უსასრულობაში. ეს ნათება არაჩვეულებრივი ფერებით იყო წარმოდგენილი, რომლის მსგავსი ფერები დედამიწაზე სინამდვილეში არ არსებობს.

– ვინ ხარ? – ვეკითხები გაკვირვებული.

– მე ღმერთი ვარ... შედი და ისევ იმ ხეზე დადექი. მიღმა კლდეზე (ორმოცდაათ მეტრამდე სიმაღლისაა) მეხს დავეცემ და არ შეგეშინდეს. მხრებზე მიწა დაგეყრება და გადაიყარე, შენს ფეხებთან რაც დავარდება, აიდე...

ამ საუბრის შემდეგ ხმა და სინათლე გაქრა.

შევვდი, ხეზე დავდექი. იმ წუთასვე კლდეს მეხი დაეცა და დედამიწა შეახანხარა, სამხრეთისაკენ სწორხაზობრივად იმ ნათების მსგავსი ფერების უზარმაზარი ნაპერწკლები გაფრინდნენ.

მხრებზე მიწა დამეყარა. გადავიფერთხე. ფეხებთან რაღაც საგანი დაეცა, ჯოხივით იყო. დავიხარე ასაღებად. საიდანღაც მამახემი გაჩნდა და მიყვირა – არ აილო. ღმერთის ბრძანებას დავემორჩილე და ავიდე...

გავიღვიძე.

სანამ მორიგ გამოცხადებაზე გადავიდოდე, ეს გამოცხადება უნდა განვმარტო, თუ როგორ აღვიქვი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც, თორემ მაშინვე რომ ამეხსნა, ვერ ვიტყვი, რომ უკეთესად ვიქნებოდი. ისე კი, ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი იყო და აი, როგორ: მე ხომ იმას ვფიქრობდი, რა გზას დავდგომოდი, ჰოდა, დავარდნილი საგანი რომ ავიდე, ის იყო ჩემი ხელოსნობის წარმმართველი. ბავშვობის წლებიდან დღევანდლამდე ამ ხელობით ვირჩენ თავს.

მხრებიდან მიწის გადმოფერთხვა: ბევრჯერ გადავრჩი ხიფათს, ანუ მიწა არ დამეყარა. იმ საგნის აღებით ყველანაირი გამარჯვება მიწინასწარმეტყველა ღმერთმა. ჩავარდნებიც მქონდა, მაგრამ ვხვდები, ჩემს გამოსაცდელად იყო ყოველივე!..

გამოცხადება მეორე – 1969 წელი.

წინა გამოცხადებიდან მინიშნებული შენობებიდან, აღმოსავლეთით, ორმოცდაათი მეტრის დაშორებით, ნიგვზის ორი ხე დგას, რომელთა შუა მანქანის გზა გამოდის.

ჩამესმა იგივე ხმა:

– მიდი კაკლებთან და ფანჯარაში გაიხედე (ხმის გაგონების შესახებ როცა ვწერ, მაურუოლებს...).

კაკლებს შუა ხის კედელი იყო, შუა ადგილას ვიწრო და განივი ჭრილით. გავიხედე და დავინახე არაჩვეულებრივად გასხვივონებული, ულამაზესი ქალაქი. ნათება წინა გამოცხადების ანალოგიური იყო (იმ მხარეს, საითაც გავიხედე, სინამდვილეში მთებია...).

– ეგ ჯენნეთია (სამოთხე) და იქ არის შენი ადგილი, – მეუბნება იგივე ხმა. არაფერი მიკითხავს, არც არაფერი დამატებია ნათქვამს, ანდა რაღად იყო საჭირო იმაზე მეტი, რაც ითქვა...

ეჭვის შეტანის უფლება არ მაქვს... ეს რომ სიზმარი ყოფილიყო, მაშინ მოსაუბრე თვალნათლივ უნდა დამენახა. ვინაიდან უხილავი იყო, საეჭვოა განა?...წინასწარმეტყველები შეიძლება დაინახო, ვინაიდან ისინი ცოცხალთა შორის იყვნენ, ღმერთი კი, მარად უხილავია...

დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში და მჯერა ღმერთის. დილით და საღამოთი, გზაშიც, ღოცვას ვკითხულობ, ალბათ შეისმენს... თუმცა ჯამეში ვერ დავდივარ სალოცავად, ალბათ ამასაც მაპატიებს... ის ხომ ყოვლისმცოდნეა და ყოვლისმხილველი... ესეც იცოდა, რომ ვერ ვივლიდი სალოცავად... ღმერთი მაპატიებს რასაც ახლა ვიტყვი – განა ვინც სალოცავად შედის სამლოცველოში, ყველა წმინდანია? თუმცა არც გვაქვს ღვთის საქმეში ჩარევის უფლება, იცის ვინ რა სულიერების პატრონია...

აი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჭიანჭველას ფეხს არ ადგამს, მაგრამ ჩვენც ხომ ვხედავთ, რის მაქნისია... ზოგიერთები სხვისკენ იშვერენ თითს... ვცოდავთ სხვისკენ თითის მიშვერით... ამის უფლება ღმერთს ჩვენთვის არ მოუცია!...

ახლა კი, თუ დამერწმუნებით და თუ ღვთის გჯერათ, ჩემი ადგილი რომ განსაზღვრულია, ნუ შეგეეჭვებათ... ნურც ის, თითქოს ცოდვებს ჩავდიოდე... ჭორიკნებს რა გამოლევს. მამაჩემს ჩემზე ეჭვები შეაპარეს, როცა სწავლაში ყველას ვჯობნიდი... შურიანები ხომ არსებობენ?... ჰოდა, ტყუიან და თავად სჯერათ თავიანთი ტყუილების... გვეყავს ასეთი კატეგორიის ადამიანები...

მეზობელი მყავს, სადღაც ამბავს მოკრავს ყურს, შემდეგ კი ავტორი თავისი თავი ჰგონია... ეჰ, რას იზამ, ამისთანების გვერდით ძნელია ცხოვრება...

ჩაფარდნები მქონდა მოსუცებად... აბა, მამა აბრამის ბატკანი ვინაა?... დაიფიცებს ვინმე?... ჰოდა, ამ ჩაფარდნებით მთლად მშრალზე არ დაფარეხნილვარ, თუმცა სავალალოც არა დამრჩენია რა!..

P.S. ერთ დღეს მამაჩემი ამბობს: სოფელ დანდალოში ერთი საფლავია, მის ქვეშ ვინც შეეხება, შორს ისვრისო. საკუთარი თავდაჯერებულობიდან გამომდინარე ვუთხარი, წამიყვანე, მე მოვკიდებ ხელს-მეთქი, მაგრამ წაყვანაზე უარი მითხრა... არც ის ვიცი ასეთი საფლავი მართლაც არსებობს თუ არა, მაგრამ ღვთის საკვირველებებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება – მკრეხელობაა!... არ გვაპატიებს!... აი, ის ჭორიკნები კი ისჯებიან დროთა მსვლელობაში... ერთბაშად არაფერი ხდება... იტყვიან – ღმერთს არ ექჩარებო... ასეა, ნამდვილად...

იქნებ ვიღაცას მოაფიქრდეს და თქვას – ცოტა აფრენსო... არც ამის მოქმელზე მექნება განსხვავებული აზრი, იმიტომ, რომ ცოტ-ცოტას ყველა აფრენს და რა გასაკვირია, ჩემი გამოცხადებისა რომ არ დაიჯერონ – ის ხომ მათთვის არ მომეველინა, ჩემი საკუთარი ცხოვრებისა და... ‘ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო’, ანუ ‘ძაღლები ყეფენ, ქარავანი კი მაინც მიდის’... ჰოდა, ნურავის ნურაფერი შეეშლება, ყველას თავისთავზე ზრუნვა ერჩიოს, სხვის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფას!..

გამოცხადება მესამე – 1970 წელი.

კახაბერში, ფსიქიატრიული საავადმყოფოს შესახვევთან, ამჟამად დევიპის სახლი დგას. იმ სახლის ადგილას, პატარა სკვერში იდგა საშუალო ზომის ეკლესია (იქნებ საყდარი?...) ვარ შიგნით. არაჩვეულებრივი მოხატულობაა.

მესმის წინა გამოცხადების ანალოგიური ხმა:

– გამოდი გარეთ და კარის თავზე წარწერა წაიკითხე.

(ასე უბრძანეს მუხამედ შუამავალს, რომელმაც წერა არ იცოდა, მაგრამ წაიკითხა...). მაპატიებს ღმერთი შედარებისთვის, მაგრამ მსგავსება დაგინახე...

გავედი გარეთ, ზემოთ ავიხედე და დიდი ზომის ქვის ფილაზე (კარის თალი იყო, მაგრამ ძვირფასი ქვა იყო...) წავიკითხე: 'ნაარი, გელე ორსუნ' – ეწერა არაბული ასოებით...

ცხადში კითხვა არ ვიცი....

ახლა ასეთი პარადოქსი: მუსლიმანი კაცი გაეჩნდი ქრისტიანულ სამლოცველოში... მეორეც – ამ სამლოცველოს არაბულენოვანი წარწერა ამშვენებდა...

ცოტა მოგვიანებით მამაჩემს შევეკითხე ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ ვერ ამიხსნა.

ქვეცნობიერად ვგრძნობდი და დროთა განმავლობაში ჩაიბეჭდა გონებაში ამ სიტყვების მნიშვნელობა. შემდეგ და შემდეგ ვკითხულობდი სტატიებს გაზეთებში: 'ეს საინტერესოა', 'იდეალების სამყაროში' და 'საოცრებათა კიდობანი'. პატარ-პატარა ინფორმაციები მხვდებოდა ადგილ-ადგილ, რომელთა ანალიზის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რაც ესადაგებოდა ჩემს მიერ წაკითხულ არაბულ სამი სიტყვის მნიშვნელობას. ცოტა სხვაგვარად ჟღერს ჩემ მიერ წაკითხული, მაგრამ მაინც იდენტურია ფრაზისა: 'ცეცხლი დაწავს პლანეტას', ანუ ელოდეთ ცეცხლსო.

ცოტა მოგვიანებით შევიტან ამ ნაწერში იმ ტექსტს, რომლის ფონი ამ სამი სიტყვის მიღმაა და თარიღს, რომელიც მეცნიერთა გამოთვლებითაა ცნობილი...

სადღაც, რომელიღაც მუსლიმანურ წიგნშიცაა მოცემული და ალბათ მეცნიერთა აზრი ერთმნიშვნელოვანია ამ საკითხის ირგვლივ.

სანამ ვრცლად მივიტანდე ინფორმაციას, მანამდე მოკლე განამრტებაც: 1963 წელში სკოლაში ლექტორმა (რომლის ვინაობა აღარ მახსოვს) ჩაატარა ლექცია ასტრონომიაში და გაგვიცხადა ასეთი რამ: 2125 წელს დედამიწას მიიტაცებს მზე და ფერფლად აქცევსო.

1971 წელში კი მამაჩემმა მითხრა: დუნიის (ქვეყნის) დაქცევამდე ანუ განადგურებამდე 154 წელია დარჩენილიო. შევადარე ლექტორის მიერ აღნიშნულ თარიღს და დაემთხვა, თუმცა სად ამოიკითხა, არ მიკითხავს და ალბათ ვერასოდეს გავიგებ...

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ის სიტყვები, რომლებიც წამაკითხეს, არ არის ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მისაწვდომი... ამით ის კი

არ მინდა ვთქვა, რომ მე არაჩვეულებრივი ვარ-მეთქი, სადაც ღმერთი თავისი სიტყვებით კარნახობს ადამიანს, მგონი სხვებისთვის გაუგებარიც და დაუჯერებელიც უნდა დარჩეს...

ვიდრე ნაშრომს დავასრულებდე, დასკვნა ასეთია:

დედამიწაზე ჯერ არნახული ცოდვები დატრიალდება და შემდეგ ამ ცოდვების შედეგი იქნება ის, რომ ნოეს პერიოდი ზღაპარი იქნება ჩვენი გადასახელიდან...

თუ ცეცხლი დაწვავს დედამიწას, ხელმეორედ სიცოცხლის აღდგენა აღარ მოხდება. თუმცა ფერფლადქცევის მინიშნებაზე თავს ვიკავებ – იქნებ სიცოცხლე მოისპოს და პლანეტა გადარჩეს, მაგრამ იმ პლანეტაზე (გადახრუკუელ დედამიწაზე) გაჩენილი სიცოცხლე ჩვენი ეპოქის პირველყოფილობის მსგავსი არ იქნება...

ამ გამოცხადების შემდეგ, ჩემს გასაკვირად, მეორე დღეს ყავაზე მკითხაობა დავიწყე და ძალიან ბევრ რამეს სიზუსტით ვამბობდი... გამოხდა ხანი და უკვე ყავის გარეშე ზეპირად გადავცემდი ინფორმაციებს მსურველთ, რა თქმა უნდა, “ზემოდან“ მკარნახობდნენ უკვე, თუმცა სავალალოდ, ნარკოზების შემდეგ ძალიან ბევრი რამ დავკარგე... ხანდახან კი ინფორმაციები მაინც ჯდება გონებაში და... რა დასამაღია, ახლაც ვლაპარაკობ!...

ახლა ზოგი რამ უცნაურობების შესახებ:

ძირითადად გამოცხადებები და უცნაურობები მოიყრის თავს, მაგრამ მათ ქრონოლოგიურად არ ვალაგებ, ამიტომ ხან ერთი იქნება მოცემული, ხან სხვა.

1971 წელი.

წამენსუბა მამაჩემი. ოთახის კართან ვდგავარ, მამაჩემი ჩემგან ოთხი მეტრის დაშორებით საწოლზე ზის. უცებ ვიგრძენი, რომ მამაჩემი მშორდება, უკან-უკან მიდის, შავი კატის ფორმა მიიღო. დამცილდა (თითქოს...) 20-25 მეტრი. უზარმაზარი, შავი პანტერის მსგავსი გამოსახულების გახდა, გამოქინდა, თითქოსდა დასაკაწრავად, მაგრამ თავის ადგილს რომ აღწევდა, კატის ფორმიდან გადიოდა. ასე განმეორდა სამჯერ... თვალები არ მომიცილებია. გამშორდა აღამიანად!..

კომენტარი:

მამაჩემი ჰიპნოზის მსგავს რაღაც ძალას ფლობდა (იქნებ გარდასახვაც შეეძლო, რაშიც ნაწილობრივ დავრწმუნდი... ასეთები

თავს არასოდეს გამოამჟღავნებენ...), უჭრიდა თვალები, აგიჟებდა საქონელს (როცა მოსწონდა ალბათ...) და თუ რძეს დახედავდა, ხელადვე აიჭრებოდა, გაწყალდებოდა. ხშირად იტყოდა – რძე არ დამანახოთო...

ალბათ მეც გამაჩნდა ჰიპნოზი, თუ იმ მომენტში როგორს მხედავდა, არ ვიცი ასე თუ ისე, ვჯობნიდი... ეს იმიტომაც, რომ ღმერთმა ხელში საგანი როცა ამაღებინა, ყველაფერს ნიშნავდა!...

კელაე 1963 წელი.

ჩვენთან აღვილია ‘გუფთიმინდორი’. კოკისპირულ წვიმაში გზაზე თეთრი რამ შევაძინე. მივუახლოვდი. რასაც ვიტყვი, სკეპტიკოსები იქნებ სხვაგვარად აღიქვამენ, მაგრამ ეს არ მადარდებს – გზაზე მარჯვენა ფეხის, ნახევარმეტრამდე სიგრძის ნაკვალევი იყო, სრულიად მშრალი. ქოლგით დავეფარე, შევეხე და მტვერიც ავარდა, თითქოს ნაცარი იყო... ჩემი და მახლდა თან, გაიკვირვა და რაღაც დვა ჩაიკითხა.

მამაჩემისგან გამოიგონია: წმინდანების ნაბიჯი განუსაზღვრელი ზომისააო (მანძილისააო...). ფეხს როცა წამოსწევს და იფიქრებს ‘იქ’ გაფრდეთო, დედამიწა მოიწევა, მეორე ფეხს დაადგამს თუ არა, იქ აღმოჩნდება, რაც ჩაიფიქრა, შემდეგ მიწა ისევ გაიწეოსო... ამას განა ვინმე შეამჩნევს?... ვერასოდეს და მიწისძვრები რომ ხდება, ასეთ მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე?.. იქნებ რაიმე კავშირია?...

წმინდანები, მუსლიმანურად ‘ველია’, დროში და სივრცეში მართლაც გადაადგილდებიან, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ნაფეხურს თუ ვნახავდი, არ მეგონა... რაღაც მინიშნებაა ალბათ, რომელსაც იქნებ შემდეგ ამოვხსნი!..

გაზაფხული – 1973 წელი.

ვარ სტუმრად სოფელ თხილნარში, დისშვილთან. სახლს ბაღის მხარესაც ეზო ჰქონდა და იქ შევედი. ვხედავ, ორი ქალი ზის. მივესალმე, თანაც ვიგრძენი საქართველოს მცხოვრებლები რომ არ იყვნენ.

ვსხედვართ პირისპირ. ყავა დაუღევიათ და ფინჯნები ჩაუპირქვავებით. დისშვილმა მეც მომართვა ყავა. დავლიე და ჩავაპირქვავე.

– მიმკითხავე – მეუბნება ერთი მათგანი და ფინჯანს მაწვდის. გაკვირვებით გახედე დისშვილს, მიმიხვდა და მანიშნა, არაფერი მითქვამსო (მართლაც ვერ მოასწრებდა, იქვე ვიყავი...)

– არ ვიცი ქალბატონო, მკითხაობა – თითქოსდა კატეგორიულად ვიუარე და გაკვირვებით შეეხედე.

– მე ვიცი, რომ შენ მკითხაობ. – დაიჩემა ქალმა.

– არ ვიცი ქალბატონო და რა გითხრა? – გაფიქვნილი.

– შენ მკითხაობ, ვიცი ეს მე და ნუ ჯიუტობ, ჩახედე...

ავიღე ფინჯანი... (გამოგიტყდებით, ფინჯანში არაფერი წერია, ღმერთი თუ დაგეხმარა ამ დროს, გიკარნახებს და ალაპარაკდები).

– მესამე ადამიანი, ვინც ბარგმოკიდებული საღვურთან უკან გააბრუნეთ, ვინ იყო და რა მოხდა? – ვეკითხები.

– დადე ფინჯანი, აღარ მინდა დანარჩენი, ვიცი ყველაფერს მეტყვი. ის ჩემი გოგო იყო... ჩვენ ყაზახეთიდან ვართ, ამ ადგილიდან გადასახლებულები. კი იცი ეს შენ, ტყუილად გიხსნი...

საუბარი შეწყვიტა, აიღო საცერი, გადაატრიალა, ზედ სიმინდის მარცვლები დაყარა და...

– დასაქორწინებელი ხარ, სიზმრად გოგოს ნახავ და ცოლად იმას მოიყვან... ძაღლის წელში ხარ დაბადებული და ცხოვრებაც ძაღლური გექნება. მტრებიც გაგიჩნდებიან, მაგრამ... შენ ძილში ღმერთი გიხილავს, დაგიცავს ყოველნაირად... ცხოვრება კი... ეჰ, ყველას ერთნაირი ცხოვრება რომ ჰქონდეს, ამ ქვეყნად სულ სიკეთემ და ბედნიერებამ უნდა იხეიმოს... გული არ გაიტეხო, ყველაფერს გამჩენი წარმართავს... შენ რომ ფინჯანს აიღებ, ბისმილლა (ღმერთის ხსენება) გავიწყდება, თორემ იმდენს ილაპარაკებ, თავადაც გაგიკვირდება, თუმცა ღმერთითაა ყოველივე (ასეა სინამდვილეში – არასოდეს მიხსენებია ღმერთი ყავის ფინჯანთან... მაპატიებს ალბათ!..).

კვლავ 1971 წელი.

გმუშაობდი ქ. ბათუმში, შემფუთავ ქარხანაში დაზგაზე. დღისით, მზისით, უცებ შევამჩნიე სახურავის ღრიტოდან შემოცურებული, 10-15 სანტიმეტრი დიამეტრის, თვალისმომჭრელი ნათების სფერო, რომელიც სახურავის გასწვრივ, ჩემი თავის ზემოთ გამოცურდა. (მანათობელ ფერებში გამოცხადებისდროინდელი ელვარება შევნიშნე). ელდისგან არ გავნძრეულვარ. ვიცოდი, რა უყო ელვას მოწყვეტილმა ამისთანა მფრინავემა ბურთმა ლატვიაში ღორებს და პროხებს, შემდეგ კი კოლმეურნეობის კანტორაში ტელეფონებს...

ამის გამო გავხევედი. თუმცა, ეს მუხტი საიდან, მზეში ხომ ელვა არ ყოფილა?.. გავიფიქრე.

სფერო ჩემ ზემოთ სახურავიდან გაძვრა და გაუჩინარდა.

გამოთქმა: ელვას ანასხლეტი ბურთი – მიმანინა არასწორად, ვინაიდან ელვის დაჯახებისას წარმოქმნილ მუხტს ისეთი ენერგია გააჩნია, რომელიც დედამიწის სიღრმისკენ მიემართება ‘ელვისებური’ სიჩქარით, ხვრეტს მიწას და ღმერთმა იცის რა ემართება. ასე რომ, იმ უზარმაზარი ენერგიის მატარებელ სფეროს არავითარი ანასხლეტი არ ექნება. იმ სიჩქარით მოძრავი მუხტის შესაძლო ანასხლეტი იმავე სიჩქარით დედამიწაზე დაეცემა.

გორგალი, რომელმაც თავზე გადამიარა და გაუჩინარდა, იყო არა ელვის ანასხლეტი, არამედ – მოხეტიალე სული, რომელიც იმავე ნათებით მომეველინა, რაც გამოცხადებებში ვნახე.

ახსნა?...

რადაც სასიხარულოებების მიმანიშნებელიც იყო, თუმცა ილუზიები ისევე გაქრება, როგორც ‘მოხეტიალე სულმა’ მიმატოვა...

საიდან ვასკენი, რომ ეს სფერო იყო მოხეტიალე სული?

სადღაც (ალბათ ხსენებულ გაზეთებში?...) ამოვიკითხე – მიდიოდა კაცი მინდორში, ცოტა შეღამებულზე, რომელმაც მის წინ შეამჩნია ისეთივე სფერო, როგორიც მე დავინახე. სფერო მისი თვალების სიმაღლეზე იყო რამდენიმე ათეულ მეტრში.

მიდიოდა ეს კაცი და სფეროც მასთან ერთად გადაადგილდებოდა, არც სცილდებოდა და ვერც ახლოს მიაღწია. იარა დიდხანს, ვიდრე არ გაუქრა.

ეს მეცნიერებმა, ეზოთერიკოსებმა ახსნეს იმგვარად, როგორც აღვწერე – იყო მანათობელი, მოხეტიალე სული...

ღმერთს ყველაფერი შეუძლია, გჯეროდეთ, თუმცა თუ ცოდვა არ გიკეთებიათ, ნურც ნურაფრის გეშინიათ!..

1970-იანი წლებიდან შევამჩნიე, რომ მიხურდა ხელისგულები, ამიტომ ხელში მეტალი რომ არ მჭეროდა, ცუდად ვხდებოდი. გასაღებების აცმას ვატარებდი და ახლაც ვატარებ, რითაც განვიმუხტები.

ერთხანს ტკივილს ვუხსნიდი ზოგ-ზოგებს. ვანიეტრალეზი გულის აჩქარებულ მუშაობას, ვშველოდი თავის ტკივილს და ბევრ სხვა რამეს. თუ არ შემეზარებოდა, ხშირ შემთხვევაში თავისთავსაც ვშველოდი.

შარლატანად რომ არავის ჩავეთვალე, თავი მივანებე ამ საქმიანობას. ვინმე რომ დამეძინებინა, ამის უნარიც გამაჩნდა, მაგრამ არ ვიცოდი თავისით გამოიღვიძებდა თუ არა... მე კი გაღვიძების მეთოდის არაფერი მესმოდა.

შემდეგ ვინმეს თხოვნით მივმართავდი ტკივილის მოხსნის მეთოდს, ვახამებდი ჩინურ მეთოდთან და აკუპუნქტურის საშუალებით შედეგს ვაღწევდი კიდევ...

არ ვიცოდი ადრე (სამოცდაათიან წლებში) ვისთვის მიმემართა და საყოველთაოდ ცნობილ ფსიქიატრს ავლიპი ზურაბაშვილს აგუხსენი ყველაფერი წერილით. ასევე მაინტერესებდა უ.ფ.ო-ს მკვლევარისა და კოსმოსური უცნაურობების მცოდნე – ბატონ თაღეს შონიას აზრიც. შეძლების მიხედვით დავაფიქსირე ფურცლებზე ის უცნაურობები, რაც მანამდე შევამჩნიე ჩემში და ჩემს ირგვლივ. პასუხებს არ დაუგვიანია, ეს გავიგე, მაგრამ ჩემამდე არ მოუღწევია – ვიდაცუბმა ფოსტაშივე გააქრეს... მაგნეტები და მტრები (ჭორიკნებიც) ბევრი მყავდა და აბა რას იზამდნენ, იმას კი არ ფიქრობდნენ ღმერთს ჭოგრიტი რომ არ სჭირდება, ისედაც ხედავს!..

თბილისი – 1981 წელი.

ქელის სატყეოს მუშები მივდივართ ექსკურსიაზე ქ. ვოლგოგრადში. ბევრი ტყისმცველიცაა ჩვენს რიგებში. ბათუმში, მატარებელში ჩასხდომამდე ხურდა ფულით დაიწყეს თამაში და მეც ჩამრიეს. ათში რვა გამოვიცანი, ასე რომ, ჯიბეები დამიმძიმდა და გადავახურდავე.

– საწყლები ხართ სატყეოში მომუშავეები. ზოგი თითქოს ტყეს იცავთ, მაგრამ ვიცი, რომ გამორჩენაც არ გაკლიათ, – ვუთხარი მათ.

– თან ხომ არ დაგყვები, საიდან იცი ყველაფერი, – შემეპასუხა ერთი.

– აი, ხომ ვთქვი, თვითონ გამოტყდით... ფული გადაგდით, რადგან თამაში წამოიწყეთ... თქვენ ტყის მცველები კი არა ტყის მფრცქენელები ხართ, მეც ამიტომ აგაფრცქენით ამდენი ფული. ვინც ტყეს ფრცქენის ანუ ანადგურებს, ღმერთი მოჰკითხავს ადრე თუ გვიან, ახლა კი, ის ფული, რაც მოგიგეთ, ჩემზე ალალია, ღმერთი მაძლევს. ქურდის ქურდი ხომ ცხონებულაია, ასე ვარ მეც, მაგრამ

ჯერ ცხონებას არ ვაპირებ. ისე კი, ფულსაც უხარია, პატრონს რომ იცვლის...

თბილისში ჩასულებს დრო გექონდა გაფრენამდე და მსურველები ზოოპარკში წავიყვანე.

ერთ ვიტრინაში უჩვეულო აგებულების (მსხვილი და მოკლე იყო) გველი იწვა და ალბათ ეძინა. (ქვეწარმავლებს საერთოდ თვალღია სძინავთ). ვინც მახლდა, იმათ გასაგონად ჩავილაპარაკე – მაგ გველს გავადვიებ და შიგ რომ ხე უდგია, იმაზე ავიყვან-მეთქი. არ დამიჯერეს და ჩაიბურტყუნეს: ჩვენ გაფრენამდე ამან გააფრინა უკვეო. გამეცინა და თითქმის თავდაჯერებულად ვთქვი – აი, ნახეთ-მეთქი და გველს მივაშტერდი. დამთხვევა და ამისთანა?.. მოკლედ, გამიმართლა – ამოძრავდა და ხეზე აცოცდა. ზოგმა გაკვირვებით, ზოგმა შიშით შემომხედა.

– ამის შემდეგ ჩემზე ცუდი არ იფიქროთ, არ თქვათ და გულშიც არ გაიფლოთ, თორემ მძინარე გველი თუ გავადვიებ და ავამოძრავე, ადამიანის დაძინებაც შემიძლია და მიფრთხილდით-მეთქი... არ ვიცი, ვინ რა ჭკუაზე დარჩა, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დაეაყენე და ცოტა უკან დაიხიეს, შევამჩნიე...

ვიდრე შემდეგ უცნაურობებს შევხებოდე, ცოტ-ცოტა ცოდვებიც უნდა გამოვამზეურო, რომელიც ზედმეტი არ იქნება, მგონია, პუბლიკაციისთვის...

სანამ დავქორწინდებოდი, ჩემმა დამ და მისმა მეზობელმა ქალებმა სოფელ ჭარნალში მარჩიელ ქალთან გადაწყვიტეს წასვლა და მეც წამიყოლიეს. ეს მხატვრულად მაქვს აღწერილი, თუმცა მცირედ აქაც შევიტან.

როცა ეზოში შევედით, სახლის პატრონი ქალი ჩაის კრეფდა, შეგვამჩნია და სახლში დაბრუნდა. ისეთი გოგონა შემოჰყვა ეზოში, თვალები ზედ დამრჩა მართლა... მოკლედ, ერთი თვალის შევლებით გავუგეთ ერთმანეთს და წერილიც დაუუტოვე. მოეხიბლე კიდევ. ქალაქ ურალსკიდან იყო სტუმრად ბიძასთან. ცოლობაზე დამთანხმდა, თვითონ ინდომა, მომიწონა რაღაცნაირად, თორემ იცოცხლეთ, მთხოვნელები ჰყავდა... ურალსკში მთხოვა წაყოლა, მე კი რატომღაც ფეხი ავითრიე, არადა, უკეთესიც იქნებოდა წავსულიყავი.

ბიძამ და ბიცოლამ დამიმარტოხელეს.

– მშობლებს გავაგებინეთ თქვენი ამბავი, რა ჭკუაზე ხარ? თუ მართლა გინდათ ერთმანეთი, ურალსკში უნდა გაყვე, თუ არადა, დაკარგავთ ერთმანეთს... როგორ ეფერეთ ერთმანეთს?..

– მე ვერსად წავალ, დედა მყავს ავადმყოფი, მოხუცები არიან.
– მაშინ დაემშვიდობე და დაამშვიდე. ამაღამ მიფრინავს.
ანუგეშებ?..

– რითი უნდა ვანუგეშო, მაგის საქმრო უკვე არჩეული ჰყავთ, ჩავა თუ არა, ერთ კვირაში გათხოვდება. ბიჭი შეეძინება პირველი.

– თუ ამდენი იცოდი, თავი რად შეაყვარე, არ გეცოდება?

– შეცოდებული სიყვარული არ ამართლებს. დარჩენილიყო თანახმა ვარ, არადა, ღმერთმა აბედნიეროს.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა და...

– რა იცი, რომ ბიჭი შეეძინება? – მეუბნება ქალი – რამე ხომ არ მოახერხეთ ჩვენ არ ყოფნაში?

– არ ვარ მასეთი უზრდელი და გაფუჭებული, თუმცა რას ვიზამ, ზოგს იქნებ ეგონოს კიდევ.

– სწორად ამოგიცნო და ამიტომაც დაგთანხმდა.

... ასე დავცილდით, თუმცა რაც ვუთხარი, ყველა აუხდა...

საერთოდ, კი თუმცა ბედი მწყალობდა, მაგრამ სამწუხაროდ იღბალი არ ახლდა. ხომ გაგიგონიათ – ბედ-იღბალიო... ჰო, ასეა ეს.

ქ. ლეოვი, დროგობიჩი, 1983 წელი.

სიძე მყავდა ავტონისპექტორი, რომელიც საგზურით, მეზობლის თანხლებით ბალნეოლოგიურ კურორტ ‘დროგობიჩიში’ წავიდა. როცა დაბრუნდა, ამბავი მოყვა: ქალი შემხვდა კურორტზე, ექსტრასენსი, მიმკურნალა და განვიკურნეო. ჩემმა დამ დაიჩემა, მეც მინდა წასვლაო. ჰოდა, ერთი ქალის თანხლებით, მე გამყოლად მიახლეს და ჩავედით. ვისთანაც დავბინავდით, თურმე ბათუმში ყოფილა ტურისტად და აი, რა მიაძხო: ჩამოვედი ბათუმში, თან რაღაცები წამოვიღეთ სავაჭროდ. გზის ხარჯებს ხომ ანაზღაურება უნდოდა, ჰოდა, მახინჯაურის პანსიონატდან მძიმე ჩანთებს მივათრევთ. გავიხედე, მილიციონერი მოდის შემხვედრად. მე რა ვიცოდი, თუ ინსპექტორი იყო. კი შევშინდი, მაგრამ ვიცოდი, ქართველებს რუსები და უკრაინელები გახატიათ გულზე, ჰოდა, მივესალმე და თან გავეკეკლეუცეთ კიდევ. გაჭრა. მისამართიც მივეცით და სტუმრადაც მივიწვიეთ. ასე დავრთგუნეთ შიში. ჩამოვიდნენ...

ახლა არ გამოვეკიდები სხვა ამბებს, ამის დაფარვა სავალდებულოა. არაა სატრაბახო. ჰოდა, მოვთავსდით ოლიასთან. ახალჩასულები ვართ. საღამოთი ერთი გოგო შემოცქრიდა.

ვხუმრობთ, ქალები იცინიან. გოგო, თუმცა ვერაფერს ხვდება, მაგრამ იცინის. ცოტაც გაბრაზდა, ყურადღება რომ არ მივაქციე. შევამჩნიე ეს და გავესაუბრე. სტუდენტი იყო. მე არც ისე ჭარმაგი ვიყავი და... გასეირნებაზე დამთანხმდა... ერთი დღე, მეორე, მესამე... სანამ განვმარტოვდებოდით, ოლიამ თავისი დის მოსაყვანად თავის ბავშვებთან ერთად გაგვგზავნა. დავბრუნდით გალიას ერთად.

– ოლიკა, შეიყვანე ეს ქალები საწოლში და წელზე თბილ-თბილი დინდგელის საფენი გაუკეთე, – ეუბნება გალია.

ოლიამ ქალები წაიყვანა მართლაც და საქმიანობს. გალია ჩემთან მოთავსდა და... უცებ – მე შენი უღვაშები მომწონს, შენი თვალებიც, მოკლედ, – მთლიანად მომწონხარ (სულ ათი წუთია ვნახე...). მიყურებს თვალებში და... იმ წუთს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, გული თითქოს შუაზე გააპკეს, თან ტკივილიც ვიგრძენი. ქალებს გაეძახე, გვასულელებენ-მეთქი და იცოდეთ... მერე კი ყველაფერს მოვეყვი.

გალია სახლში გააცილეს. (აი, ექსტრასენსივ ამას ჰქვია!..) ღუბას ერთად ქალაქში მოვუხშირე სიარულს. ერთ დღეს უკან დაბრუნებულები საწოლ ოთახში შევედით. მე საკვამლე მიღს მივეყრდენი, ღუბა კი საწოლზე ჩამოჯდა. ვსაუბრობთ. უცებ, მამაჩემსა და ჩემს შორის რომ უცნაურობა მოხდა, ისეთი განმეორდა ჩვენ შორის. შევტრიალდი. ისევ მივხედე, ისევ განმეორდა, მეორედ, მესამედ.. შევშინდი, ასე ვთქვათ, მოვარიდე თვალი და ჰოლში გამოვედით.

ვერ ავხსენი, რა ხდებოდა ჩვენ თავს. კითხვა კი არაფრით არ შეიძლებოდა, არც მეტყობდა. საერთოდ, კი ადამიანი თუ მსგავს რამეს ფლობს(ჰიპნოზს,ბიოდენს და სხვა),ის არავითარ შემთხვევაში არ გამოტყდება. რაღაც მოხდა ჩვენ შორის. ალბათ ძლიერ ჰიპნოზს ფლობდა. დეიდასაც ხომ რაღაც ძალა ჰქონდა?... გრძნეულების ბუდეში მოვხვედი მგონი. ოლიამ ხომ ჩემი სიძე მოაჯადოვა – არაფერს კარგავდა, ქვრივი იყო. გალიამ ხომ დამაზიანა. ღუბა კი, ნამდვილად ფლობდა რაღაცას... მე დამიყოლია, დარჩენაც მთხოვა... ისე კი, ოლიას ბავშვები ისე შემეთვისენ, დედას სთხოვეს, ქმრად მივედე... მოკლედ ღუბამ ჩემგან რაღაც წაიღო – წამართვა ენერჯის ნაწილი, ახალგაზრდები ხნიერებს ყოველთვის სჯობნიან. ზემოთ მოთხრობილი ჰიპნოზისტის მაგალითიც საკმარისია... ცოტა რამ მაინც შემრჩა, მგონია... ეს ისტორიაც ამ უცნაურობების პრელუდია იყო და რომ არ მომეყოლა, ისიც შეიძლებოდა, მაგრამ ეს

წიგნი ხომ მათემატიკა არაა, სიზუსტე დავიცვა და მარტო ტოლობა-უტოლობაზე ვილაპარაკო... უცნაურობების, მისტიკური ამბების გამომხეურება ნახევრადმხატვრულია, ამიტომ დასკვნას ბოლოში შევეცდები.

სანამ აქამდე მოვალწევდი, ასეთი რამ კიდევ:

სამოცდათორმეტ წელში სოფელ ჯაღაბაშივლებელმა ამხანაგებმა – ოთარ ბერიძემ და ახმედ მანველიძემ მათ მეზობელ – შაქრო მანველიძეზე რამე რომ მეწინასწარმეტყველა, კაფეში წამიყვანეს ყავის დასალევად. მე სიტყვა ბანზე ავუგდე, როცა რჩევა მთხოვეს. არ მომეშვნენ. ჰო, მართლა, როცა ყავაში ვიყურები, სიგარეტის გარეშე არაფერი შემიძლია ვთქვა. სიგარეტის კვამლი კოსმოსს მაკვშირებს ალბათ... ჰოდა, ძალიან მოკლედ ვუთხარი: – ამ დღეებში ქორწილი გექნება, ქალი მეზობელი სოფლელია, მეც მოეხვდები ქორწილში. პირველი ბიჭი შეგეძინება და ნათლიად (ქირვა) დაგუდგები-მეთქი.

– ყველაფერი სწორი თქვი, მაგრამ რა იცი, პირველი რომ ბიჭი იქნება?

– რაზე წამომიყვანეთ მაშინ?..

ყველაფერი ახდა, რაც ვუთხარი... ასე ავისრულდეთ ყველაფერი!..

ქედა – 1970 წელი.

ბევრი ვირბინე თუ ცოტა, ერთ ღამეს ყაზახეთიდან ჩამოსული ქალის მიერ მინიშნებული გოგო ვნახე სიზმრად. მალე გავიცანი. ჩემი სიძის ნათესავი იყო.

თითქოს შევეთვისეთ ერთმანეთს, მაგრამ სანამ გამომეყვებოდა, პატარ-პატარ სცენებს მიწყობდა, რითაც ნერვებზე თამაშობდა. ამას მოფიქრებულად, განგებ სჩადიოდა. ბევრმა გამაფრთხილა არ წამეყვანა, მათ შორის დედამისმაც...

... ერთ მეფეს უწინასწარმეტყველეს – ვაჟი შეგეძინება, მაგრამ დანის წერა გახდება მალეო... მეფემ ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ დაეცვა. ერთ-ერთ კეთილმოწყობილ სასაფლაოზე, ღამაზი სასაფლაო ხედის ქვეშ მეფური ოთახი მოუწყო და შიგ ზრდიდა. ერთ დღეს ვიდაც ახალგაზრდა მოხვდა ამ “საფლავთან“ და შორიახლო კენესის და ვედრების ხმა გაიგონა. მიაყურადა, მიაკვლია

და ჩავიდა ოთახში. ბიჭი მწოლიარე იყო, იმჟამად ავადმყოფი. მისულს შეეხვეწა, თაროდან პური ჩამომიღე და მაჭამეო.

სტუმარმა ჯერ დანა აიღო, მერე სკამზე შედგა და... გამოეშალა სკამი და დანა გულში მოახვედრა... მოკვდა ბიჭი!.. ასე ეწერა!..

1973 წელი: სიზმარისეულმა ქალბატონმა შეხვედრა დამითქვა. შევხვდით, მაგრამ ისე გამამწარა, წადი სახლში-მეთქი ვუთხარი და სადგურისკენ წავედი. მივადწიე, მოვიხედე და უკან მომყოლოდა. აღარ ვაპირებდი წაყვანას, ვიცი იმ ქალების ნათქვამი – ცხოვრება დაწყობილი არ გექნებო – ამიხდებოდა... ეშმაკმა დამიპატრონა – ტაქსით ნათესავთან მივიყვანე... არ დამიძალებია, არ მომიტაცვინა წივილ-კივილით... ამის შემდეგ ცხოვრებისეული გეგმები სულ უკუსვლაშია. მოსვლის დღიდანვე გამოიჩინა კაპრიზები. ჩემი დის ოჯახის დანგრევას მოვერიდე და აჰა, აქამდე ვუძლებ. ერთხელ სიძემ მითხრა – არ წაიყვანო, მაგას ისეთი დედა ჰყავს, ცხოვრება გაგიმწარდებო... მართლაც და... ამდენი ხნის გამოთხოვილია და ტვინი და გრძნობა მამისეულ კარმიდამოში დარჩა... აი, რომ იტყვიან – ვინც არ იცის ცერცვია, ვინც კი იცის – ცეცხლიაო!

მეწერა... წერას ვეღარ გავეჭეცი... მე კერკეტი კაკალივით ვარ... ყველას თავად შერჩება თავისი სიგლახე!..

ბათუმი-ქედის ავტობუსი – 1992 წელი.

საერთოდ, ძალიან ბევრს დავდივარ და ვმოგზაურობ... წიგნი მაქვს ერთი – ‘უმოდრაობა ჩვენი საუკუნის დაავადებაა’, ჰოდა, რა გამაჩერებს. ერთხელ, გზატკეცილისკენ რომ ვეშვებოდი, ხმა ჩამესმა – ‘ავტობუსით ხვდები ავარიაში’. რა იყო ეს-მეთქი არ ვიტყვი, იმიტომ, რომ ბევრჯერ ჩამჯდარა გონებაში ამისთანა ჩამოძახილი. ხშირად კი დედაჩემის ხმა მესმის მეორე სართულიდან.

ეს გაფრთხილება სიდედრს მოვუყევი და კაი გვარიანად იცინა. – რას ამბობ, მაგისა გჯერა?..

წინათგრძნობა თუ გაფრთხილება?.. ჰო, ეს უცილობლად გაფრთხილებაა, რომელსაც ალბათ გვერდს ვერ ავუვლი.

გადის ოცი დღე. ხელვაჩაურში ქვისლს ვესტუმრე. სტუმრები ჰყავდა რუსეთიდან. ზომაზე მეტად ვიმხიარულეთ. გამაცილეს და წავედი სახლში. სოფელ ერგეს გაჩერებასთან ახლოს მისაბმელიანი მანქანა დაგვეჯახა და ავტობუსი გადაბრუნდა. მე და ბევრი დავიჟეკეთ, რამდენიმე დაიღუპა. სისხლი დაიდვარა. ცოტა ხანში ისეთი თქემი

წამოვიდა, საკვირველება იყო – არსად ღრუბლის ფთილა არ ჩანდა და საიდან ასეთი წვიმა?... მხოლოდ ეს ადგილი გადარეცხა წვიმამ, იქით და აქეთ, რამდენიმე მანძილზე წვეთი არ ჩამოვარდნილა...

ღმერთი რომ გვიფარავს, ამას ხომ წყალი არ გაუვა!..

ბევრჯერ ვილაცხები გამიფრთხილებია მოსალოდნელი უბედურებების დროს... ბევრს სჯეროდა, ბევრს არა, მაგრამ როცა შედეგს ხედავდნენ, ყველას პასუხი ერთნაირი იყო – შენ მართალი იყავიო!..

განსჯისათვის: ჩემზე მოვლენილი უცნაურობების შემდეგ თითქოს თავდაჯერებული გაგხდი, რომ ღმერთი მიფარავს და თუ სადმე რამე მოხდა და იქვე ვარ, ვეუბნები მავანთ – მე ვარ და გადარჩით, თორემ უარესი მოხდებოდა-მეთქი... რატომღაც ასეც მჯერა და ამას არ ვტრიაბახობ – მიხარია, რომ რაღაც წვლილი ჩემზეცაა დამოკიდებული!..

თუმცა ღმერთით!..

ადლია – 1995 წელი.

ამ დღეებში ჩემი გავლენა მოვსინჯე სხვაზე.

პირველად სოფიკო თავდგირიძე (კახაბერში) ვალაპრაკე ყავაში. რაღაცნაირი ზეგავლენა მოვახდინე მასზე. როცა ვთხოვ ვინმეს, რომ ილაპარაკოს, პირდაპირ შუბლზე ვუშხერ... რაღაც ხდება, თუმცა ამას ზებუნებრიობას მივაწერ.

სოფიკომ მთხოვა ერთხელ, თუ რა ნიშნებს მიიღებდა გამოცდებში. შევხედე ოთახის კუთხეში და თეთრი, გამჭვივრვალე ციფრები ჩამომწკრივდნენ გასწვრივ. ის ნიშნები მიიღო, რაც ვუთხარი. ბედის შესახებ შემეკითხა. შერვაშიძის ბიჭი აპირებდა, მაგრამ... ვუთხარი, საქმროს გვარი “შ” ასოთი იწყება, მაგრამ არა შერვაშიძე-მეთქი... შარაშიძეს გაჰყვა.

აქ არ ჩამოვთვლი, რაც სოფიკოს ვალაპრაკე, ზედმეტია!..

მეორე მოსინჯვა ადლიაში, მეოთხეკლასელ შორენა დავითაძესთან მქონდა.

– შორენა, აიღე ჩემი ფინჯანი და მირჩიე.

– სერგო ბიძია, მე რა უნდა გითხრა, რა გამეგება, ხერიანად ყავის დაღვევაც არ შემიძლია – მეუბნება გაკვირვებით.

– შენ ფინჯანი აიღე და რასაც შიგ დაინახავ, ყველაფერი მითხარი, – კვლავ გავეუმერე.

აიღო ფინჯანი, ჩახედა, მე კი მას შუბლზე თვალს არ ვაცილებ, ხან თვალებში ვუმზერ.

– სერგო ბიძია, ამ წუთებში ვაჟი შვილიშვილი შეგეძინა... (მართლა ველოდით, მაგრამ ეს ხომ მან არ იცოდა...).

გავიცინე და გიჯვერი-მეთქი, ვუთხარი. ჩემი ზემოქმედებით ბავშვმა სიმართლე ამოშაქრა.

დარეკეს ამ დროს და ვაჟის მოვლენა მახარეს, წუთებიც დაემთხვა.

– აწე რჩევას შევძლებ? მე ხომ ვერაფერს ვხვდები, თუ რამე ვთქვი, ალბათ შენ მათქმევინე?

– ჰო, ეგ მასეა, მაგრამ არ ვიცი, გააგრძელებ თუ არა რჩევას... იქვე მეზობელმა თამაზ შოთაძემ მთხოვა: სახელი გაქვს გავარდნილი, ჩამიხედე ყავაში.

– ბანკირ კაცს მაგისა გჯერა?... ასეთები არ უნდა გჯეროდეს...

– ჩვენ შენი გვჯერა და ამიტომ გთხოვ.

მისი მაინც გაიტანა.

– ბატონო თამაზ, თუ 1999 წელს გადაცილდები, ამდენს იცოცხლებ-მეთქი და ციფრი დაუხსახედე.

1999 წელი ვეღარ დაასრულა, ავტოკატასტროფას შეეწირა!...

რამ განაპირობა ადლიელების დაინტერესება ჩემით: სადაც ვიყავი, იმ სახლში მოვიდა ოჯახის პატრონის ახლობელი ექსტრასენსი – ნანული გვარიშვილი. თან ახლდა ქედის რაიონის მილიციის ყოფილი უფროსის გოგი სურმანიძის დეიდაშვილი ქალი.

ნანული სეანსს ატარებს. ქალები შემოსეული არიან. ამ დროს შევიხედე ოთახში. გოგის დეიდაშვილმა მიცნო და ქალებს უთხრა: ქალებო, ნანულისთან რა გესაქმებათ, ეს კაცი ამაზე გაცილებით ძლიერიაო – თქვა და ჩემზე მიანიშნა მათ.

– ვინა? – იკითხეს ქალებმა.

– სხვას ხედავთ ვინმეს? აი, ეს კაცი, ხომ გითხარით...

– ეს ხელოსანია ჩვენი, უპასუხეს.

– გარდა ხელოსნობისა, მაგას ამისთანებიც ესმის, ძლიერია ძალიან...

შემდეგში ქალებმა ‘რიგი’ ჩამიყენეს.

ამ ქალის ‘ჩამშვებლობას’ წინ უძღოდა ასეთი ამბავი:

1994 წელში გოგის ვესტუმრე. ეს ქალიც იქ იყო. გოგი მეუბნება:

– სერგიაჲ ყავაში ჩამიხედე... (უარი აღარ გამივიდა).

– ბატონო გოგი, შორეულ გზას ადგახართ ორი კაცი, ბიზნესობთ. გზაში აქაური მესამე კაცი არ მიიტოვლოთ, თორემ ან ცოცხალი, ან მკვდარი... ართქმა არ შეიძლება, დასასრულს ვერ გეტყვი, ღმერთი თუ გიშველის!...

ციმბირის გზას აღგნენ ეს ორი კაცი. დნეპროპეტროვსკში, თვითმფრინავში აყვა ის მესამე კაცი, ქედელი, რომლის ოჯახთანაც დიდ დანაშაულში იყო ბატონი გოგი... შურისძიება ელოდა ამ კაცისგან.

სადაც ჩამოიტვირთნენ, იქ ჩაავლო ხელი ყოფილ უფროსს დამზავრებულმა და... ცოცხალ-მკვდარი, ციმბირის ყინვაში მინდორში დააგდეს. ვიღაც გამგლეულმა შემთხვევით შეამჩნია და მილიცია გამოიძახა სასწრაფოს თანხლებით.

გადაარჩინეს, უმკურნალებს და საქართველოში გამოაცილებს. ჰოდა, ჩემი ნათქვამი ნაბიჯ-ნაბიჯ რომ აუხდა გოგის, ეს ხომ იცოდა მისმა დეიდაშვილმა... “ჩამიშვა“ ადღიელებთან...

ქალებს ძლივს დავადწიე თავი!...

შემდეგში კიდევ შევეხები ამ ნაჩინოვნიკარის ცოდვებს!..

ბარცხანა, 1996 წელი.

ვიყავი ერთ ოჯახში. ოჯახის რძალი ნათელმხილველი იყო. არავის მოუყოლია, რომ ტელეპატი იყო, – როგორც კი შევხედე, იმ წუთსვე ვიგრძენი, რომ ეს ქალი არაჩვეულებრივი იყო. ღმერთს ვეხვეწე – მიმახვედრე რა სულისაა-მეთქი და ამისრულდა კიდევ.

ოთხი კაცი ვართ სტუმარი. ყავა დაგვაღვევინეს. ქალი მოიღუშა, თითქოს უხასიათოდ იყო... ფინჯანი მივაწოდე და ვთხოვე რამე მოეთხრო. დიდხანს ატრიალა ფინჯანი...

– რაა ქალბატონო, მძიმე ფინჯანია? – ვეუბნები.

ამის თქმა იყო და ალაპარაკდა.

– ორი კაცი ასრულებთ სამუშაოს. იმ კაცს ნურაფერს ენდობი – რაც ზემოთაა, ორი იმდენი ბოროტების ჭაობშია (სახელი-გვარიც დამისახელა), შენ ღმერთს ხელისგულზე ჰყავხარ, მგონი პერანგით ხარ დაბადებული. ნუ გეშინია ნურაფრის, დაცული ხარ ყოველთვის.

თუ გინდა, რომ კაცურად იცხოვრო, მოიშორე თავიდან... (ბევრი რამ მითხრა კიდევ).

– შენ რომ რჩევა არ გიყვარს, მე რაზე მომაწოდე ფინჯანი. პირველი ხარ, ვინც მაღაპარაკა. მიბრძანეს და მაღაპარაკეს!..

მთავარი იყო, რაიმე რომ ვათქმევინე, ესეც ჩემი შესაძლებლობებიდან!.. იგი მკურნალია და მკურნალობს ხალხს, მე კი რაც მითხრა, ყველა მიზანში მოახვედრა. ნაძინი ქალია და მას მოკარნახე-მასწავლებელი ალბათ ანგელოზი დაჰყვება ყველგან. ისიც მიმიხვდა, ყავის ფინჯანში ჩახედვა რომ მეჯავრება – ქრისტიანული კანონებით მკითხაობა დიდ ცოდვად ითვლება!.. მე ხომ ქრისტიანი არა ვარ...

ჩვენ წამოვედით....

.... ადამიანს გააჩნია ცნობიერი და ქვეცნობიერი (უფრო სწორად – ზეცნობიერი). ცნობიერით ხილულს აანალიზებს, ქვეცნობიერით – ვერხილულს. სხვებისათვის მიუწვდომელს წვდება და გონებაში გადაამუშავებს, მაგრამ ხშირად ყველაფრის აღქმა, ფიზიკურად შეუძლებელიცაა – ან არ იძლევიან საშუალებას ზემოდან, ტვინში ყველაფერი ჩაიტვირთოს, ანდა ინდივიდს არ გააჩნია ახსნის შესაძლებლობა, ან ყურადღებას ვერ აქცევს ინფორმაციის სრულად აღქმითა და ანალიზით სწორი დასკვნის გამოტანას.

ქვეცნობიერის აღქმის მნიშვნელოვანი ნაწილი გონებაში ხშირად თავისით (ღვთის ძალით) ‘ჯდება’.

მთავარანგელოზი ანუ ჯებრაიელი ღვთის ძალით ყველას დაყვება!..

პირველი მაისი – 1997 წელი.

მოხდა უცნაურობა:

ოთახში მიკიდა წმინდა მარიამის სურათი – რეპროდუქცია, რაფაელის შესრულებული, დიდი შემინული ჩარჩოთი.

საწოლზე ვარ წამოგორებული. ზამთრის ცივი ღღვა. უცებ ტკაცანი გავიგონე. მზერა მარიამის სურათისკენ გამექცა. მინა სამ ნაწილად გაბზარულიყო, ყოველგვარი ფიზიკური ზემოქმედების გარეშე. არ იყო გატეხვის მიზეზი, იგი ხომ წლების განმავლობაში მეკიდა, უვნებელი იყო.

რა მოხდა?..

ოთხმოცდათორმეტ წელში ქალის ქორწილი გადავიხადე. მოწვეულმა ავთანდილ (ქემალ) დიასამიძემ სურათი დაინახა და გაუხარდა.

– ყოჩაღ სერგიავ, ხატი გიკიღია სახლში – მეუბნება ავთო...

ერთხელაც ვიღაცისგან გავიგონე, ხატის შემინვა არ შეიძლებაო!..

ეს ნახატი-რეპროდუქცია ხატი კი არა, უწმინდესი ადამიანის – დედის სახებაა ჩემთვის; დიახ, ჩვილდაჭერილი დედისა.

ცუდად აღვიქვი. ჩემი თვალების ზემოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტია – მე ხომ არ ვაგნებდი.

ხშირად იტყვიან – შეიღს ხანდახან დედის (იქნებ მამისაც?..) თვალი ეცემო... როგორც გინდათ, ისე გამიგეთ – მე ამისი არ მჯერა!..

დღევანდელი უმსგავსობები მამცნო მაშინ... დიახ, გულმა ცუდი მიგრძნო და მოხდა ის, რასაც ველოდი... აირ-დაირია ქვეყანა. ვიღაცამ პანიკა შემოაგდო – 1998 წელი აპოკალიფსის წელიაო... მე არ მჯერა შინაგანად – ეს წელის ნაყვია – 2025 წლამდე უარესზე უარესი არ მოხდება, მაგრამ მსოფლიო აშლილობას ექნება დგილი. საქართველოში არეგ-დარევა მოხდება, სისხლისღვრაც, თუმცა იქამდე შორია – სადღაც ახალ ათასწლეულში, 2007 –ში ან შემდეგ (2+0+0+7=9). ცხრიანის საკრალურობას მოგვიანებით ავხსნი. გარდაუვალია სისხლისღვრა, აქეთკენ მიჰყავთ საქმე და ქვეყანა მესვეურებს.

2003 წლიდან წინასწარმეტყველებით მშვიდობიანობას და პროგრესს ექნება ადგილი... და იცით რატომ?.. რაც აქამდე მოხდა, ყველაფერი შევარდნადის ბრალია – მან მოუშალა მსოფლიოს კომუნისტებს საბჭოთა კავშირის დაშლით, მომავლისა და ერთიანობის იმედი... ღმერთი დაგვეხმარება ალბათ, მაგრამ იმდენი ცოდვა ტრიალებს საქართველოში, ღმერთს რომ ანრისხებს, ისეთი!.. თუმცა ჩვენ მაინც ველოდებით მშვიდობიანობას და სიკეთეს... სატანაც ჩაძაღლდება ბოლოსდაბოლოს!..

ქ. ბათუმი, 1998 წელი.

მშრალი ზამთარია, 8 იანვრის ცივი დღე. ძმას ვესტუმრე ბათუმში. კარები რომ შევადე, ჩემს აშენებულ ბუხართან იჯდა სავარძელში. სახე არაჩვეულებრივად ‘ნათელი’. შეეცბი და შევედექი. ტვინში რაღაც ამოძრავდა და... ხმაც ჩამესმა:

– ზურაბი უნდა მოკვდეს?! – ბრძანებისა და შეკითხვის მსგავსი იყო ეს ხმა.

– შენ ხარ ჰაიდარ? – მეუბნება – ასე დავიწყება იქნება?

დიდხანს ვიდექი, შევედი და გადაგვხვიე. ცოტა ვისაუბრეთ და ქალაქში წავედი. შემდეგ ისევ მოვბრუნდი, მაგრამ იგი სავადმყოფოში წაეყვანათ. ვინახულე. საღამოა უკვე და სახლში წასვლას დავეჩქარე. რძალმა კორიდორიდან მომაბრუნა.

– დაჯექი და მომისმინე – მეუბნება და ხელში ორივე ხელი მოიქცია – სიკვდილი ადამიანის თავზეა... ორი ადგილი მაქვს მონიშნული, ერთი ურენში, ერთიც თოდოგაურში, ზედიხესთან (დაა ჩვენი) ახლოს, შენ გიბარებ ამას...

– ასი წლის შემდეგ ვილაპარაკოთ მაგაზე – ვუთხარი, მაგრამ ტანში გამცრა, გამაურჟოლა, თითქოს გამოვიფიტე, გავშრი...

– არაა მასე საქმე, – მითხრა და გაჩუმდა.

წამოგედი. იმავე ღამეს, 22 საათზე დალია სული. ჯერ ერთი, რომ დიაბეტიანი იყო და თვალები დიდი ხნის წინ დაეხუჭა, მეორეც – ორი ინფარქტი მიიღო ზედიზედ სულის ამოსვლისხანს...

13 იანვარს გავასვენეთ. ანდერძი შევესრულეთ – თოდოგაურში მიიბარა მიწამ. ისე სძულდა აქაური სადავო ადგილები, აქაურობა არ ისურვა...

ადრე ვილაცას ეთქვა – ეგ რომ გარდაიცვლება, ბუნებაც იტირებსო. და მართლაც საშინელი ამინდი მოგვიტანა 9 იანვარმა. ქარაშოტი მძვინვარებდა. (უბედურია 9-იანი ციფრი)...

არხანგელსკიდან მომავალი მისი ბიჭები კინაღამ დაილუპნენ – თვითმფრინავი იყო გადატვირთული, კავკასიონზე დაბლა გადმოიფრინა და ჭექა-ქუხილში მოყვა, ერთ-ერთ ფრთას მეხი დაეცა, მაგრამ მფრინავმა რბილად და მშვიდობიანად დასვა თვითმფრინავი...

13 იანვარს, ქარაშოტში, ხოშკაკლის თანხლებით მივაბარეთ მიწას შესანახად...

... ამდენი იმისთვის მოვეყვი, ხმა რომ ჩამესმა!... მამცნეს იმ წუთში, მაგრამ კაცი სასიკვდილოდ ვინმეს გაიმეტებ?... მძას მით უმეტეს?!.

ამ ნაწერებს დასასტამბავად ვამზადებ 2016 წელს და თან შიგადაშიგ კომენტარებსაც ვუკეთებ. ყველაფერს თავისი ადგილი

აქვს ყველგან, ისეც ამ ნაწერებში დალაგდება ყოველივე, თუმცა თავშივე განვაცხადე – დასისტემებას არ ვაპირებ, ასე ვთქვათ, წინუკან დავრბი ნაწერებში. ცხოვრებაშიც წინ და უკან დავრბობ – არც არაფერია გასაკვირი!...

მცირე უცნაურობა, რასაც ახლა მოვყვები, მარტო ჩემს მხრებზეა და არავისი საზიარო, მაგრამ თუ ვინმე გაგებით მოეკიდება, ღმერთია დამნახავი...

ბევრს განუცხადე – მხრებზე ანგელოზებს ვგრძნობ და ჩემთან ვინმემ არ დააშავოთ-მეთქი. მარცხენა მხარზე ის ანგელოზი მყავს, რომელსაც არავინ ელოდება, თუმცა ის ღვთის ბრძანებით ყველასთან მიდის... იქნებ შემდეგშიც გავიმეორო ამ ფურცლის “ჩვენება“, ტაგტოლოგიად ნუ ჩამითვლით, მიიღეთ ისე, თითქოს პირველად გესმით...

ვიღაცები მეპატიუებიან ხანდახან და უარით ვიცდილებ, უფრო სწორად ვეუბნები – მიქვლგაბრიელი მახლავს თან და ვაი თქვენს თავს, თუ გულისთ არ მეპატიუებით-მეთქი. ბევრჯერ მქონდა ისეთი შემთხვევა, მიჭირს მონელება. ამათგან ორს ბარემ აქვე ვიტყვი, თუ რა “შავი ფეხი“ გამაჩნია, ანუ...

მეზობელი (ქვემოთ მაქვს მოკლედ აღწერილი), ვინც ძალიან შეჩვეულია ჩემზე, მეპატიუება სადილზე. მე კი აი რა ვუთხარი:

– ბატონო ქამილ (შოთა სამნიძე), დედაშენი მწოლიარე ავადმყოფია, მე კი ეზრიალი მახლავს თან და არ გინდა, ნუ მეპატიუებით-მეთქი.

– წამოდი, ნუ ებლაყუნები (ნუ სულელობო), რას აგინებებია ეგ.

– მე ჩემი გითხარი და... კარგი, მაშ მოვიდივარ-მეთქი და გაყვევი. მისაღებში რომ შევედი და მაგიდას მივუჯექი, ოთახში გამავალი კარის ახლოს იწვა დედამისი და უცებ აყვირდა, შეწუხდა.

– ა, ქამილ, ხომ გითხარი, ეზრიალი დედაშენთან გადავიდა-მეთქი.

ეს ხდება ჟვანიას მკვლევლობის წინა დღით – ქამილის დედამ იმ ღამით დალია სული...

მეორე შემთხვევა ჩემს დასთან სტუმრობამ გამოიწვია. მის ახლოს ვიძინე იმ ღამეს. შუაღამისას აყვირდა. მე დავბი ჩავუკითხე და დაწინარდა. დღით კი მეუბნება – ბეწვის ხიდზე გადამიყვანეს მოტოციკლეტით და ისევ უკან გადმომიყვანეს, თან მითხრეს – ჯერ ადრეა შენთვისო... იმ წუთში მივხვდი, ერთი წელი რომ ჰქონდა დარჩენილი. შევპირდი კიდევ გინახულებ-მეთქი და წამოვედი. ორივე

და მასთან იყო. ერთმა იცოდა ჩემი უცნაურობის ამბავი და მეუბნება – შენ აქ აღარ ხარ ამომსვლელიო.. მართლაც, აღარ ვსტუმრებივარ იმის შიშით, ქამილთან რომ მოხდა, ასე არ განმეორებულყო, თუმცა რაც წერია, იმას ხომ ვერ აცდება ადამიანი... ერთი წელი ვეღარ დაასრულა, გამოგვეცალა ხელიდან!..

... არსებობს “შავი“ და “თეთრი“ მაგიის წიგნები. მე თეთრი მაგიიდან ბევრი რამ ამოვიწერე, ისინი, რაც ჩვენს ყოველდღიურ ყოფიერებაში ხდება და თან შევისწავლე კიდევ. აქვე უნდა ვთქვა ისიც, თუ შავი მაგიის წიგნი არსებობს, ასეთი არ უნდა იბეჭდებოდეს. ვიცი ნამდვილად, რომ ასეთი არაბულენოვანი წიგნი არსებობს და მოხერხებულად იყნებენ “მჩხიბავები“, ცოდვასაც სწადიან, მაგრამ როცა საქმე ფულს ეხება, რას არ გააკეთებენ, ცოდვას ვილა დაგიდევს, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ წიგნებში მოცემულია ასეთი ცოდვის გამაბათილებელი “ჭკუის სასწავლი“ რამეებიც და ხოჯები (და ალბათ მღვდლებიც!..) სათავისოდ იყნებენ კიდევ.

მეც ვიცი ერთი დვა (ჩასაკითხავი) – თუ ვინმეს უნებურად ან მოფიქრებულად დაახსენებ და ამ დვით დააბოლავებ, ცოდვა აღარ მოგეკითხებაო, მაგრამ არ მჯერა ამისაც – ავეიობას ღმერთს ხომ ვერ დაუმაღავ? .. ამისთანები არასოდეს გამომიყენებია, უბრალოდ არასოდეს დამჭირვებია... ღმერთზე ვარ მინდობილი და ვიცი, რომ ნამდვილად მიცავს.

აი, ამიტომაც ვთხოვე ერთხელ მამაჩემს დანდალოში იმ საფლავის მოსანახულებლად წაყვანა. რა თქმა უნდა, მამაჩემს ეშინოდა (ალბათ საფლავის), თუ ჩემ გადარწმუნებას ფიქრობდა, არ ვიცი. საფლავის ბევრს ეშინია... ბევრიც კიდევ უსაფლავოდ რჩება... ის კი მაინც გველოდება... აი, ქურდული კანონის მსგავსად – იცი, რომ ციხე გველოდება და მაინც იმას აკეთებ, ციხისკენ მიდიხარ.

მე საფლავის არ მეშინია, ჩემსას სხვა ვერ ამოავსებს მანამ, სანამ არ ჩავწვები... ცოდვები არ მამძიმებს და წმინდად ჩავალ. თუ ჩემში ვინმეს რამე ეეჭვება, აი დარდი, ეს მათი ლაყე ტვინის პრობლემაა და ძალიან არ მენადვლება – იჭორაონ, მძლიძონ, ამ ქვეყნად დამატოვებინებენ, თუ რამე უნებური ცოდვა მაძევს... შეგნებულად ცოდვის ჩამდენი კი არა ვარ და არც ისეთს გავაკეთებ, ვინმეს ზიანი მივაყენო, თუნდაც ფიქრით...

გამოცხადება მეხუთე, 1999 წელი.

მეოთხე გამოცხადება მქონდა 1973 წელში – გამომეცხადნენ სტალინი და თამარ მეფე. მოგვიანებით აღწერე შინაარსს, იმიტომ, რომ წლებს მიესადაგება...

...ერთ მშვენიერ დამეს ვნახე ანგელოზი:

დიდ მინდორში ვიდექი. ხალხით იყო სავსე ეს მინდორი. ციდან ჩემს ახლოს დაეშვა თეთრსამოსიანი, ულამაზესი ქალი. იდგა ჰაერში, მარჯვენა ხელი 10-12 წლის ბიჭისთვის ჩაეწყო. უფრო იყვნენ, რა თქმა უნდა (დღეს, წარმოდგენით, ფრთებიანს ხატავენ ანგელოზებს). მინდორი და ხალხი ანგელოზის შუქმა დაფარა, ჩემ წინ თითქოს თეთრი, ნისლოვანი ფარდა იყო დაშვებული ციდან.

აღარავინ და აღარაფერი ჩანდა მათ უკან.

– შენ ბავშვის დარდი გაქვს ჩაყოლილი (ჩივიანია), მოკრიფე თხმელის ნაყოფი (მწიფე, შავი კუკულები), დააფრქვიე და ჩაიში ჩაუყარე ჩაის კოვზით ისე, რომ მან არ იცოდეს რისთვის ასმევ და განიკურნება.

ანგელოზი აფრინდა და გაუჩინარდა.“

ერთი პერიოდი ვიფიქრე, ადრე გარდაცვლილი ჩემი და-ძმა ხომ არ იყო-მეთქი, თუმცა ვცოდავ მაინც – ისინი ხომ პატარები იყვნენ, ანგელოზი კი ზრდასრული იყო.

შევაგროვე თხმელის ნაყოფი, ვადუღე ჩაიდანში და მივიღე ჩაის მსგავსი შეფერილობა. დავლიე – იოდის გემო ჰქონდა. ამ დაავადებას ხომ იოდის ნაკლებობა იწვევს? ვიდაცებს ვასწავლე და განიკურნენ, ჩემს ოჯახში კი ამისთანების გაგონება არ უნდათ.

საერთოდ, სკეპტიკურად უყურებენ ჩემს ყოველ ნათქვამს, ხოლო ისეთების სისულელეები სჯერათ, რომელთა ნათქვამი ერთი ყურიდან მეორეში უნდა გაუშვა მართლა, თუ ორივე გამოტენილი არ აქვს აღამიანს...

მე კი, ბუნებრივი მცენარეულობის გამოყენებით ვათრევ ცხოვრებას...

მახინჯაური, განთიადი – 1999 წელი.

...შორეული წინაპრის სული...

დამე გავათიე ოსმან ღლონტის ოჯახში. სადაც ეს კაცი ცხოვრობს, ტერიტორიას ‘ოჯახს’ უწოდებენ.

მთელი ღამე არ მიძინია. როცა დავწევი და წამეძინა, რაღაც ბიძგმა გამაღვიძა და მის შემდეგ საზურგეზე მიყრდნობილმა გავათენე. დეიდაშვილი იწვა ჩემ გვერდით.

ინათა თუ არა, გაიღვიძა.

– მომასწარი გაღვიძება?

– მოგასწარი კი არა, მთლი ღამე არ მიძინია. ეს სახლი ან სასაფლაოზე დგას, ან რაღაც ხდება აქ.

ჩავედით პირველ სართულზე. საუზმისას რეზომ ოსმანს ჰკითხა ის, რაც მე უნდა მეთქვა.

– გჭამოთ და მერე გეტყვიოთ, – გვიპასუხა ოსმანმა.

საუზმის შემდეგ სახლის უკან გადაგვიყვანა.

– აი, რა ვიპოვეთ აქ, სასახლეს როცა ვთხრიდით, – მითხრა და მაჩვენა ძაბრივით ამოხვრეტილი ქვასანაყის მსგავსი ქვის ნახევარი – შუაზე გატეხილი...

– ეს ხომ უძველესი ადამიანების სახმარი ნივთია. გამოიყენებოდა მადნეულის ჩასანაყად. ახლა ვხვდები რატომ ჰქვია ამ ადგილს ‘ოჯალი’. ჩანს, უძველესი ნასახლარია, ეს გორაყოფილიც ამის მიმანიშნებელია.

– იცი, ქვემოთ ბაღში პატარ-პატარა ქვების გროვაც ვნახეთ, მაგრამ ახლა მიწა ფარავს.

– საწაფები? – წამოვიძახე სიხარულით – ეგ დასტურია ჩემი ვარაუდისა, ეგ ქვები ბადის ჩამძირავია წყალში, თევზაობისას, ახლა ამის მაგივრად ტყვიებს აბამენ გასაშლელ ბაღეზე.

– რა ღირებულება აქვს ყოველივეს?

– რა და, ამით მტკიცდება, რომ ქვის ხანაში აქ ადამიანები ცხოვრობდნენ, ეს კი ბევრს ნიშნავს ისტორიისა და არქეოლოგიისთვის. ამგვარი გორა-ნასახლარებით სავსეა საქართველო!

– რას აპირებთ?

– პროფესორს შევეკითხები, ახლო ხანში კი გინახულებთ.

კომენტარი: სახლი პირველყოფილი ადამიანის ნაცხოვრებ ადგილას დგას. აქ ხომ იმ ადამიანის სული ტრიალებს, ნიშანი მომცა და მაგრძნობინა – ან ეშმაკეული იყო, ან სულაც კეთილი, იქნებ წმინდანი. ორივე შემთხვევაში ეს ვიგრძენი – სულმა მოაღწია ჩემთან და ზუსტი დასკვნა გამაკეთებინა.

ხშირად მეკითხებიან – როგორ ვგრძნობ სულთან კავშირს. აინტერესებთ – რას განვიცდი შეხვედრისას.

განსაკუთრებულს არაფერს – არის რაღაც არაჩვეულებრივი სიბოლო და უტყვი, უსიტყვო, იმპულსური გონებრივი დიალოგი ანუ ტელეპათია. ამას არასოდეს ვააშკარავებ, იმიტომ, რომ ახსნაც ძნელია და დარწმუნებაც, უფრო სწორად, არაა მიზანშეწონილი.

აქ მთავარი იყო ის, რომ სულმა მე ამომიძრია და არა ჩემი დეიდაშვილი. მთავარზე მთავარი – იმ დღეს დედაჩემის ძმისშვილს ვასაფლავებდით. პანაშვიდ დღეს ცუდად გავხდი. ერთად გაზრდილი ვართ და ძალიან გულმოყვასი და თავადაც საყვარელი იყო... უუუუნა მთელ მახინჯაურს მერჩივნა. და, რადგანაც ძალიან დამწუხრებული ვიყავი, თანმდევა სულმა ცოტა სიხარული მაინც განმაცდევინა აღმოჩენით.

ხოლო რომ არ მაძინა, ეს მიზეზი იყო ამ მონაპოვარისა, ისე ალბათ ვერასოდეს გავიგებდი რატომ ეძახდნენ ამოდენა ტერიტორიას ‘ოჯალს’, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ნაცხოვრები. ჩვენ ‘ოჯალს’ ხომ ბუხარს ვუწოდებთ!

არაა მოკვლეული ამ სახელწოდების წარმოქმნა რომელ საუკუნეს, რომელ წლებს ეკუთვნის. თუ თემური წყობილებიდან მომდინარეობს, ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო ერთ ოჯახს წარმოადგენს, არამედ მთლიან დასახლებას უნდა მოიცავდეს, თუ ოსმალების ექსპანსიის პერიოდს მოიცავს, ესეც მისაღებია. ბუხარს ნაკლებად ვუწოდებთ – ყველგან იხმარება აჭარაში ტერმინი: ‘ოჯალი ავაშენე’, ‘ოჯალი დაანთე’, ‘ოჯალში შედგი’ და სხვა ამგვარი.

საფუძველი – ნაცხოვრების გამოა, მიზეზი კი, უშუალოდ რამ განაპირობა, უცნობია.

ცოტათი ისტორიაში გადავიჭარი, მაგრამ ესეც მისაღებია. რუსები იტყვიან: и́жора и́жора и́жора, ანუ კარაქი საჭმელს ვერ გააფუჭებსო...

გამოცხადება მეექვსე, 2000 წელი. 13.02

ახლანდელი „გუფთი“ მინდორის მხარეში ვიმყოფები. შევედივარ კლესიაში. ვიკითხე სახელწოდება და... ‘ჯვარცმაო’ მიპასუხეს. შიგ ვნახე ბლომად ხატები, სურათების სტენდი, სტალინის სურათი და ანგელოზების გამოსახულება. იყო ძველი წიგნებიც, ძველისძველი იარაღების ვიტრინებიც... დიდხანს ვათვალიერე და წამოვედი!...

ეს მეორედ ვნახე სტალინი და თამარ მეფე, ამჟამად მხოლოდ სურათები. ისინი წმინდანები არიან! განა ეს იციან დღეს? ღმერთმა

არ ქნას, მათ სახელებს ჩრდილი მიაყენონ, უხამსად მოექცენ, ყოველგვარი უბედურება მოეწევა საქართველოს და ყველაფერი ჩვენს ზურგზე გადაიფლის... თუ დავუკვირდებით, ყოველგვარი არეულობის დროს “მაღალი ფენა“ ჩვენისთანებს საფარად გამოიყენებს... აღარაა ძველი დრო, ბრძოლაში თავისით მიდიოდნენ პატრიოტები და სწირავდნენ თავს მომავალი თაობის ბედნიერებისთვის, საქართველოსა და ერის გადასარჩენად...

ახლა გაევროპელებულ-გაამერიკულებულნი სოროებში შეძვრებიან!..

კომენტარი: სტალინისა და თამარ მეფის სული დიაც ტრიალებს საქართველოში. საქართველოს ერთ-ერთ მსახურს ისინი მიკეთებენ მინიშნებას, მაგრამ ვაი, რომ უცებ ვერ ვუკეთებ ანალიზს... ანდა რად ღირს, დაგიჯერებენ?.. ნურას უკაცრავად.

(როცა იქნება ძველი დრო მობრუნდება საუცხოო ვითარებით...)

p.s. გუფთი მინდორის თავში ერთი იმხელა გაგაკება (თურქობამდე აქ დასახლება იყო), სადაც, როგორც გავიგე, მაღალი, ხისგან გაკეთებული ეკლესია მდგარა, რომლის თავზე აღმართული ჯვარი, საღორეთიდანაც ჩანდა. მის განადგურებაზე და სოფლის გაუქმებაზე არავითარი თქმულება და მოგონება არ არის შემორჩენილი. სიმართლეს ვიტყვი – უგულისყურობამ და უყურადღებობამ მოიცვა მთლიანი აჭარა და საჭირო ამბები მტვერმა და დავიწყებამ დაფარა. თუ რამეს ვაღწევ და “ამოვქანავ“, ესეც დიდი ენერჯის ფასად.

ჰო, როცა ეკლესიის სახელწოდება ვიკითხე და „ჯვარცმა“ მიპასუხეს, იქნებ ის ეკლესია, რომელიც გუფთის თავში იდგა, ამ სახელს ატარებდა?

გამოცხადება მეშვიდე. 2000 წელი. 11.06

‘ერთ ლამაზ ადგილას ტალანში ავიარე, თანაც ეკლესიის ზარებს ვრეკავდი. ხალხი გაკვირვებული იყო ჩემი საქციელით.. შემდეგ ზღვასთან მოვხვდი და რამდენიმე მეტრი გავიარე წყალზე.“.

P.S. ერთხელ ულამაზესი ასული გამომეცხადა, თეთრი კაბითა და გრძელი თმით. გაიქცა, ეგონა მივყვებოდი. მოიხედა, ხელი დამიქნია, მე კი საპირისპირო მხარეს წავედი...

რა მომივიდა ღამით: დილით, თვალები რომ გავახილვე, პირი მქონდა გამომშრალი. ყველას ეძინა. დაწოლამდე ქალმა ნერვები

მომიშალა ძლიერ, სტუმრებთან არ ავეყირდი და ძილში გულმა თავისი ქნა. დილით წყლის დაღვეა მინდოდა, მაგრამ ვერც ფეხები გავანძრიე, ვერც ხელები და ვერც ენა... შემეშინდა, მივხვდი რადაცას, დავხუჭე თვალები და თანაც დამეძინა. ხუთი დღე-ღამე გადაბმულად ვიძინე და მდგომარეობიდან გამოვედი. ექიმისთვის არ მიმიმართავს.

გამოცხადებაში მოვლენილი ასული სიკვდილის ანგელოზია... იმ ღამით რომ არ გავყვიე, ესე იგი გადავრჩი... თუმცა ჩვენ ხომ ვერაფერს ვიზამთ, თუ ხელი ჩაგვაველო და გაგვიტყუა, ეს ხომ სიკვდილს მოასწავებს!.. მე მგონი, ღამით მიკროინფარქტმა გამეკრა...

სიზმრად ნანახი ქალი რომ შემოვიდა ჩემს სახლში, იმ მისანის ნათქვამი დამიდგა წინ. სანამ ბავშვი დაიბადებოდა, მანამდეც ბევრი არასახარბიელო საქმე ჩაიდინა. წაუყურეუ, იმიტომ, რომ დაქაღვლება და დაღვინდება-მეთქი. პირიქით, – უფრო და უფრო უმატა კაპრიზებს. სიდედრმა (ბოდიშით – გამზრდელმა) დამოძღვრა, ხეირი არ მოეცა ოჯახისთვის... (ასე მიდის მისი ცხოვრება დღესაც!..)

თავი რომ წმინდანად გაესაღებინა, აი რა ოინს მიმართა:

დილით მალვიძებს და მეუბნება, ბავშვი შენ ამოიყვანეო? ... ბავშვი საფენებში გახვეული ტაბურეტზე იდო – ასე დამხვდაო. დედაჩემმა ხომ არ ამოიყვანა-მეთქი გავივლე გულში, ვეცი კარებს, მაგრამ დაკეტილი დამხვდა. რომც მას ამოეყვანა, ტაბურეტზე ხომ არ დადებდა... ამით თითქოს ანგელოზად უნდა მოეჩვენებინა თავი...

მამაჩემმა მითხრა ერთხელ – ეს ქალი ცხოვრებას დაგინგრევსო... მართლაც ახდა... ახლა ვხდები, სახლში მტერი რომ შემომიყვანია. მე სხვა მტერი არა მყავს... დედაჩემი ხომ წმინდანი ადამიანი იყო, ერთხელ მის უმიზეზო ჭიჭყინს შეესწრო, ვაიმე შვილო – მითხრა და ჩემს ძმასთან გადაბარგდა, საიდანაც სულ მალე გავამგზავრეთ სასუფეველში!..

ამისთანა მტერი მარტო მე არ მეყოლება, ეს ვიცი, მაგრამ ჩემი ერთად აღებულს ბევრს გადაამეტებს... ტვინის აწონვა რომ შეიძლებოდეს, მწამს – ყველაზე მსუბუქი მისი იქნება!..

დავუბრუნდები გამოცხადებაში მოვლენილ ასულს...

ბევრჯერ აღვწერე და კიდევ გავიმეორებ – ამ ულამაზეს ასულს რომ გამოგზავნის გამჩენელი, იგი დაბლა ჩამოდის, მაგრამ მიწაზე არ დგას, ჰაერშია. იმ დროს იმ აზრზე ხარ, ხელი ჩაავლო, მიუახლოვდები, ის კი ნარნარად მილივლივებს. თუ ძალიან “შეტოპე“,

სადღაც გვირახში შექვრები, მაგრამ მეორე მხარეს ვეღარ გახვალ. ასული გაძვრება და იქედან გიღიმის... უკან თუ ვეღარ გამობრუნდები, ეს აუცილებლად სიკვდილია...

საყოველთაოდ გაგრცვლებულია სახელწოდება მიქელ-გაბრიელი. არავითარი მიქელა და გაბრიელი არ არსებობს. (ნეტა ვინ შეარქვა?...) ეს ‘ეზრაილია’ მუსლიმანურად... სიკვდილის ანგელოზი, ანუ ის ასული, რომელიც ერთი ორმოცჯერ და მეტჯერ ‘შემხვედრია’ სიცოცხლის მანძილზე, დანახვით კი რამდენჯერმე დამინახავს ძილში... ეგებ სხვებიც ისეთს ხედავენ, მე რომ ვხედავ?... არასოდეს მიკითხავს არავისზე...

გამოცხადებაში (მეშვიდე) წყალზე გავლა ჩემი სიცოცხლის ხანგრძლივობის განმსაზღვრელია (თითქმის ათ მეტრომდე გავიარე), ხოლო ეკლესიასთან დაკავშირებით თავს ვიკავებ! ვიცი, რასაც ნიშნავს, მაგრამ არაა სავალდებულო, გავამხილო – ამას ღმერთი ხელმძღვანელობს და არა უბრალოდ მოკვდავები!...

ჩემს ნაწერებს დიდად წაადგებოდა, ერთი სურვილი რომ შემსრულებოდა. ისტორიაში ბევრგან ნახსენები ის ‘ბეთლემი’, რომელიც ყველას თავისად მიაჩნია, (თუ მართლაც არსებობს იგი, ყველა სოფლიდან – დაწყებული ქობულეთიდან, ქედის სოფლების ჩათვლით) და რა თქმა უნდა, ყველასია, ჩვენ მაინც განსაკუთრებულად ვართ დაინტერესებული... ახლა ვრწმუნდები, რომ იქ სამონასტრო კომპლექსია.

იქ, სადაც ‘ნაქილისვარია’, ხშირად მეცხადება საუცხოოდ ნაგები, მიწისქვეშა, უღამაზესი შენობა. შიგ შეხველის სურვილი მინდება, მაგრამ ვერასოდეს შევადწიე... დიახ, ეს ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი უბანია ანუ ოთახები, ან გამოქვაბული. ვინაიდან გამოცხადებით ნანახ იმ ოთახებში ვერ შევდივარ, ესე იგი, მიუწვდომელია და სურვილი აუხდენელი დარჩება – ადგილმდებარეობა ტაბუდადებულია... ასე დაგემოძღვრეს, თუმცა ღვთის იმედს არ ვკარგავთ!...

გამოცხადება მერვე, 2000 წელი. 17.06

„ავიარე საფეხურები და უცხო ადგილას, დიდ სიმაღლეზე დარბაზში მოვხვდი. პურმარილია. ერთად სხედან შევარდნაძე, აბაშიძე და ‘იქაური‘ ჩემი ნაცნობები.

– რატომ დაიგვიანე? – მეკითხება შევარდნაძე.

ვფიქრობ, ნუთუ მართლა?

– ყანას ვთოხნიდი და იმიტომ, – ვუპასუხე.

მან გუულიანად გაიციინა და...

– არ გაჯარიმებთ, მაგრამ კაცური სადღეგრძელო გვითხარი. ავიდე კათხა და... (ჰო, ბაკალი...)

– ქართულ სულისკვეთებას, ქართველ გმირს, ნაქებ ქართულ ხმალს და ქართული გენის მატარებელ ხალხს, ვინც აქამდე მოგვადწვევინა და არც ამის შემდეგ ჭამს სირცხვილს – გაუმარჯოს, – ვთქვი და დავლიე.

გაკვირვებული და მოწონების გამომხატველი მზერა. მერე ტაში... მორიგი სადღეგრძელოც მომიწია.

– ამით იმ ქართველს გაუმარჯოს, ვინც ახალ საუკუნეში პირველი გმირის სახელით იქნება ცნობლი. მე ამის მსურველი და მოსარული ვარ.

აბაშიძემ ჩუმიად დალია, არ მცალიაო და... წავიდა.

შევარდნაძე განაგრძობს:

– შენ პირველ სადღეგრძელოში ხომ ადღეგრძელე ქართველი გმირი, რაღა საჭირო იყო მსგავსის განმეორება? ხმალი ხომ ქართველ გმირებს ეპყრათ, განა გმირები გვაკლია?

– განა ათასჯერ რომ ვთქვა ქართული ხმლისა და ქართველი გმირის სადღეგრძელო, არ ეკუთვნით თუ სირცხვილია?

– კი მარა, ზედმეტი ქება არაა საჭირო.

– თამარისა და სტალინის გარდა საქართველოს სიყვარულით სულგაუღლებილი გმირი ნამდვილად აღარ გვყოლია და აწინდელისა რა მოგახსენოთ – ვთქვი, დავლიე და დავჯექი.

შევარდნაძემ ხელი ასწია ტაშის შემოსაკერვლად, მაგრამ...“

P.S. (რას ნიშნავს ასლანის ჩუმიად წასვლა?)...

დარბაზში შევარდნაძის დარჩენა საქართველოში დიდხანს დარჩენის მანიშნებელი იყო, ხოლო ასლანის ჩუმიად წასვლა საკომენტარო აღარაა.

თუმცა წასვლისას ჩუმიად მითხრა: გამომიარე, რაღაც უნდა გითხრაო!..

გამოცხადება მეცხრე. 2000 წელი. 16.09

ვწერ რომანს ჩვენი გვარის წარმოშობაზე, სადაც თამარ მეფის საღორეთში შემოსვლაც მაქვს აღწერილი.

ნასაყდრალ ადგილას ამჟამად საცხოვრებელი სახლი დგას. როდესაც თამარ მეფეს ფეხი შევადგმევინე საყდარში და ღოცულობდა, იმ წუთებში იმ სახლში ქორწილი იყო, სადაც მეც მიმიწვიეს.

წავედი და მხიარულებას შევეუერთდი.

არ ვიცი, რა კომენტარი მიუდგება ამ მოვლენას, ფაქტია, რომ მზეთამზის სული ტრიალებს ჩვენთან, ვინაიდან მისი ღოცვა და ნასაყდრალ ადგილას ქორწილი, სიხარული, სხვაგვარ განმარტებას აღარ საჭიროებს...

დაღამდა პარასკევი.

„ავდივარ აბრეშუმის გზით“ სოფლის ცენტრისკენ. შორიდან ჯამის ეზოში მდგარი ღამაში ძეგლი შევნიშნე. ადრე იქ დიდი ეკლესია იდგა, სადაც თამარ მეფესაც ულოცია.

სოფელი თითქოს გადავიწყებული მქონდა.

– ვისი ძეგლია იქ? – ვკითხე შემხვედრს.

– ნუთუ აქამდე არ შეგიმჩნევია? ეგ ხომ თამარ მეფის ძეგლია?.

კომენტარი:

ვინაიდან რომანში თამარ მეფე მოვისხენიე, მწამს, რომ მისი სული თავს დაგვეტრიალებს. ფიქრი და გონებით რომ მივწვი, დამთხვევებიც გამიკეთა. რამდენჯერმე ‘ვიხილე’ კიდევ – ზოგი აღწერე და თუ კიდევ გამომეცხადება, ალბათ შემდეგშიც აღწერსა.

P.S. სხვათა შორის, ერთ ქართველ ახალგაზრდას თამარ მეფე უხამსად ჰყავს მოსხენიებული. ჯერ არავის გაუბედავს ამისთანა.

მე კრიტიკული შენიშვნა გავაკეთე, მაგრამ გამოქვეყნებისაგან თავი შევიკავე – სხვემმა ძალიან მკაცრი პასუხი გასცეს. ვინაიდან თამარ მეფის აპოლოგეტობაც მომიწია, ჩანს ‘თვალს მადვენებს’ მისი სული და ხშირად მევლინება.

მწამს, რომ იმ ქართველს ადრე თუ გვიან, თამარის უხამსად ხსენებისთვის ღმერთი შერისხავს, ხიფათს ვერ აცდება.

წმინდანის ისეთ ასპექტში მოსხენიება მკრეხელობაა, მკრეხელს კი სასჯელი ელოდება...

... დღევანდლამდე მთელი საქართველო სულელი ყოფილა და ერთი ეგ გამოჩნდა ჭკვიანი!...

გამოცხადება მეათე, 2001 წელი. 22.02

„სტალინი ატარებს კონფერენციას. მარცხნივ უზის ქუეკოვი და საომარ გეგმას აცნობს, თან თავით თავზე ეფერება.

არ მოეწონა სტალინს ეს მოქმედება და რამდენჯერმე ჩემკენ გამოიხედა (ვინაიდან ქართველი ვიყავი).

უცებ წასვლას დაეშურა, თეთრი, გრძელი პალტო მოახურეს. ნაბიჯები ჩემკენ გადმოდგა, თვალეში ჩამსხვდა და...“

კომენტარი:

რღაც დიდი მინიშნებაა და გამიჭირდება ახსნა, თუმცა მაინც ვცდები... ბევრჯერ ვნახე, ვიცი, რომ მისი სული დასტრიალებს საქართველოს... ჩვენ ვიცავთ, ვეფერებით მის სახელს, მაგრამ რღაც პროცენტები დაერჩით. აწინდელ თაობას სრულიად გადაავიწყებენ მის პერსონას... მაგინებლები გაუმრგვლებიან მას და მისთანებს.

მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი... ამას მისი მტრები (საზღვარგარეთელნი) უფრო ახერხებდნენ, ახლა კი მკვდარს ყველა წიხლავს... (ცხენს ვერაფერი უყვეს და უნაგირს დაუწყეს მტერევაო...)

მისი ძეგლების მოთხრას დაიწყებენ, იქნებ გასამართლებაც მოინდომონ. აი, ესაა ადამიანების ვირუსული დაავადება...

შეიძლება ვინმემ დიდი ამბით უდიერად მომიხსენიოს, რადგანაც მის სახელს პატივს ვცემ... ხომ მეცხადება, დაცული ვიქნები ალბათ... ადრეც ვთქვი – უხამსად მოხსენიებისთვის, ღვთის წინაშე პირშავად წარსდგებიან, მე კი არ მინდა მათ სიაში ვიყო!..

ბევრჯერ ვახსენე თანამდევნი სული. აქვე მოგიხსენებ. ქედის საშუალო სკოლაში ვიყავი საქმეზე. ვეშვები კიბეზე. ჯერ არავისთვის მიკითხავს ვინაობა.. ქუსლების კაკუნით მომდევს ბავშვი. მუსიკალობა ვიგრძენ კაკუნში... მიკარნახეს – ვინაობა ჰკითხეო (რაში მჭირდებოდა?..). მივბრუნდი და...

– ვისი ხარ გოგონი?

– ნანასი, მეც ნანა მქვია. პატარა ნანაკოს მეძახიან. მესუთე კლასში ვარ... ეს ბავშვი ჩვენს ლიტერატურულ სალონში რამდენიმე დღეში ახლოს გავიცანი... აღმოჩნდა, რომ ანგელოზი დასიზმრებია...

უჩინარმა მოკარნახემ, ანუ სულმა მიმახვედრა ბავშვის არაჩვეულებრივობა... ჩვენს შორის ასეთებიც იბადებიან...

2004 წელი:

ახალსოფელში სტუმრად იყო თბილისელი ექსტრასენსი, ჩემი დისშვილის ნაცნობი იყო და ვთხოვე წამიყოლე-მეთქი.

– კაცებს რომ არ იღებსო?... რა გიყო ახლა შენ?

– შენს ერთად ეზოში შემოვალ და მერე მე ვიცი, როგორ მოიქცევა.

– მიგიღებს?

– მაგ ქალს თუ რამე ესმის, მე ინფორმაციას მივაწვდი და თუ აღიქვამს კარგი, თუ ვერ აღიქვა, მაშინ მატყუარაა...

უამინდობის გამო ველარ შეხვდი.

მე დარწმუნებული ვიყავი, მას ტელეპატიურად გავგესაუბრებოდი და თუ ნამდვილი ექსტრასენსია, ალბათ ნათელმხილველიც, ჩემს მისვლასაც გაიგებდა და ჩემს მიერ გადაცემული ინფორმაციის შინაარსაც მიხვდებოდა... ისე კი, მასთან შეხვედრა “ზემოდან” მიკარნახეს, ხოლო მე ვისიც დავიჯერე, მუდამ მიმართლებდა... დიახ, მიმანიშნეს, რომ ჩვენი აურისათვის რაღაც საერთო სუბსტანცია არსებობდა.

თებერვალი-მარტი, 2005 წელი

ჩაქეში სამუშაოდ მიმიწვიეს. სახლის შიგა ინტერიერში სართულზე ასასველელი ხარატული კიბე გავაკეთე. ვიდრე სამუშაოს შევეუდგებოდი, ისეთი კოშმარი მესიზმრა, ვიცოდი რაღაც მეწყინებოდა... უვანია მოკლეს ჩემი იქ ყოფნის დროს. მეწყინა ნამდვილად...

დავბრუნდი ბათუმში. ღამე დისშვილის ბინაში დავრჩი. დილით აღრიანად აფუსფუსდნენ.

– რა ამბავია, სადღაც მიემგზავრებით მგონია, – ვკითხე მერის.

– ახალსოფელში მანანას ნაცნობი თბილისელია ჩამოსული და თორნიკე მიგვეყავს. (ავადმყოფი ბავშვი ჰყავს მერის... მანანა მეორე დის შვილია).

– მართლა? მეც რომ წამოვიდე, მოვთავსდებით მანქანაში?

– როგორ არა, შეიძლება.

მოვთავსდით მანქანაში. გზაში წავიხუმრე:

– მაი ქალი გასათხოვარია, ჩამიკეთეთ საქმე, მეც რაღაცები იცი და ფულს ერთად გავაკეთებთ, თქვენ კი უფასოდ მოგიწევთ მიღება.

არ უნდა მეტყვა. ვიცოდი, იგი ჩემს ნათქვამს აღიქვამდა, დაინახავდა ‘გულისსარკეში’.

ავათავეთ აღმართი. შორს ფირმა მანქანა დავლანდე ერთ ეზოსთან.

– გენო, ის მანქანა მისია? – ვიღიმი და ვეუბნები.

გაკვირვებით შემომხედა და თან მანქანასთან შეჩერდა კიდევ. ჩამოვედით ძირს. სახლიდან ქალი გამოდის, ძაღლს იჭერს და გვეპატიუება. (ავწარკა უბიათ).

– გაუშვი ქალბატონო, – ვეუბნები მასპინძელს.

– კაციმჭამელია, – მპასუხობს – ავია, დაგკბენო.

– მე არ მერჩის და ჩემთან არც თანმხლებთ. – ვეუბნები, თუმცა არ სჯერა. შევდივართ. მარჯვნივ, შემინული წყვილი კარის მიღმა, დიდი დარბაზის ბოლოში მჯდარი ქალი შევნიშნე და დავაკვირდი.

ქალი შეტოკდა...

მასპინძელმა გამოაცხადა:

– კაცებს არ მიიღებს, მითუმეტეს, თუ ნასვამი არიანო (თუ არ იღებს, მაშ ჩვენი ნასვამობა რაში ენადვლება?!)

– არ ინადვლო ქალბატონო, – ვეუბნები და იქ მყოფებს ვათვალიერებ.

ჩვენი ბავშვი შეიყვანეს სამკურნალოდ. ქალი ჩემ პირდაპირ გადმოვიდა, მინიანი კარების შიგნით.

დარბაზიდან ძველები მიდიან, ახლები გვემატებიან.

ქალს მივაშტერდი, თვალებს არ ვაცილებ, თან ღმერთს შევეხევეწვი – ამ ქალმა თუ რამე იცის, გამოიყვანე და მეღაპარაკოს-მეთქი... ქალმა იგრძნო, რომ ვუცქერდი. უცებ თავი უცნაურად გააქნია და მხერა გამისწორა. რამდენიმე წამს მიმზირა და თავის ისევ უცნაური მოძრაობით მხერა მომაცილა, ასე ვთქვათ – გაუჭირდა თვალის მოცილება.

ჩემი და გამოვიდა ბავშვიანად და აცმევს.

– კაცებს არ იღებს, – გამომიცხადა.

– შენ არხეინად იყავი მაქ. მე ინფორმაცია მივაწოდე, გამოვკა ახლა და ვილაპარაკებთ.

იქ მყოფებმა გაიკვირვეს.

ამ დროს იღება ორივე კარი და ქალი მომიახლოვდა.

– მე შენი ინფორმაცია აღვიქვი და როგორც მიკარნახეს, ისე ვმოქმედებ, ბატონო სერგო – შენი სახელი არავის უთქვამს – ხომ გჯერა და მეც ამიტომ გეახელი.

ხელი ხელს შევაგებე, მაგრამ უცებ მომაცილა (ბიოდენები ჰქონდა).

– ნურაფრის შეგეშინდება, შენ ხომ ღმერთი გიცავს. ყველაფერი კარგად იქნება... კიდევ გეუბნები, ღმერთი შენთანაა...

ჩვენ, სხვათა შორის, მონათესავე აურისა ვართ, ამიტომაც გაგიგე – მითხრა და თავის საქმეს მიუბრუნდა.

ახალმოსულები თვალეგაფართოებულები შემოგვცქეროდნენ ხან მე და ხან –ქალს. ჩემს დისშვილს კი აი რა უთხრა:

– არაჩვეულებრივი ადამიანია ბიძაშენი. გუშინ მივედიოდი და რაღაც ძალამ შემაჩერა. ვხვდები ახლა, მაგას უნდა შევხვედროდი და ამიტომ, ალბათ. ეგ ღმერთის კაცია... ჩვენ ძალიან დავახლოვდებით... მაგან მკითხაობაც იცის და ბევრი სხვა რამეც. თქვენ მაგის ვარსკვლავი გიცავთ, გიფარავთ, მერე რაღა გეშეულებათ... მოაუარეთ ბიძაშენს...

გავდივართ. უკან მოვიხედე. შიშნეულად მიცქერენ.

– ჩემი ნუ შეგეშინდებათ, არ ვარ ბოროტი!.. მაინც შიშნარევი მხერა...

ქალი ისევ იჭერს ძაღლს.

– გაუშვი ქალბატონო, ნუ აწამებ... დამიჯერა! ძაღლი ბუნაგში შეიძურწა. დიასახლისმა გაკვირვებული მხერით გამოგვაცილა.

სწრაფად გაგრცვლდა ჩვენი შეხვედრის ამბავი...

მერის ვეუბნები:

– ბავშვმა რაღაც სიტყვები თქვა. ალბათ ალაპარაკდება მომავალში. ღმერთი შეგვიბრალებს.

– შენს პირს შაქარი...

ირწმუნეთ საოცრებები!

გამოცხადება მეთერთმეტე, 2005 წელი. 105

აბაშიძისა და შევარდნაძის ‘გამოცხადების‘ შემდეგ აბაშიძე ორჯერ ვნახე. სამივე შეხვედრისას მითხრა – გამომიარე საქმე მაქვსო... მართლაც მინდოდა მასთან მოხვედრა, შემეძლო კიდევ,

მაგრამ თავი შევიკავე. (მათი დასასრულის შესახებ წინასწარ ვიცოდი – თითქოს კინოკადრები მქონდა ნანახი).

‘სადღაც შენობაში ვიყავი, მეორე სართულზე. დაბლა მაგიდები იყო გაშლილი. ვიდაცამ დამიძახა. ჩავიხედე – სააკაშვილი უზის მაგიდას.

– ჩამოდი და მარილიც წამოიყოლე – მეუბნება იგი.

– კარგი, მოვდივარ.

ჩავიარე ხის კიბეზე და ზღვაზე გადადგმული ოთახი აღმოჩნდა. მაგიდას ბევრნი უსხედან, ყველა ნაცნობია. მიშა მომიახლოვდა, ორივე მკლავზე ხელები მომიკიდა და, როგორ ხარ სერგიავო – მითხრა“.

რა ხდება?..

დიდი ხანია ოპოზიციაში ვართ. შეიძლება ჩვენგან ვიდაც დაიჭირონ. მე არ დამიჭერენ ვიცი, მაგრამ რა აზრი აქვს ვის დაიჭერენ, ერთი ოპოზიცია არა ვართ?.. თუმცა სიმტკიცე არ იგრძნობა, ჩამშვებებიც გვირევიან!..

აი, სააკაშვილის ნათქვამზე – როგორ ხარო, იმის მომასწავებელია, დაგემლიან. აბა ვინ ვართ ჩვენ. ასლანს ვებრძოდით (არა, მას კი არა, რეჟიმს, რომელსაც შევარდნაძე გვახვევდა თავზე). მერე შევადნაძეს და სააკაშვილსაც... (ერთი რეჟიმის ხალხს)...

აბაშიძემ ‘სათქმელი“ ვერ მითხრა, მაგრამ რეალობაში სხვას დაბარა და გადმომცეს... მერე დაგვატერორეს...

საკაშვილმა ისიც მითხრა – ნურაფრის შეგეშინდებო... არც არასოდეს მშინებია, თუმცა ძმისშვილი რომ ციხეში ჩასვა, ეს არაფერს ნიშნავდა?

იგი იქნებოდა თუ მე, განა სულერთი არ იქნებოდა?..

‘ერთი დრო სულთან –სულეიმანსაც არ შერჩაო“.. და ‘არც შენ შეგრჩება მეფეო“ – ეს სხარტულები თუ მეთაურს არ ეცოდინება, იმ ქვეყნის, იმ ხალხის საქმე ძალიან ცუდად გაგრძელდება და ცუდ შედეგსაც მოიტანს.

გონს მოლით ‘მეფეებო“, აპოკალიფსს ძალით ნუ უახლოვდებით. არაფერი წაგყვებათ იმქვეყნად, ანდა რად გჭირიათ!..

ზაფხული, 2005 წელი.

ვდგავარ სოფლის ბოლოს, გზატკეცილზე და ველოდები ტრანსპორტს. ცოტა ხნის შემდეგ ფეხებთან გველი დავლანდე.

მეტრზე მეტი სიგრძის. გზისკენ გადაცოცებულია ნახევარ მეტრზე, თავი აუწევია და მიცქერის (გველებზე აღერგია მაქვს საერთოდ, დანახვისას ტვინში რაღაც მომწვეს). თავი მოვთოკე, ფეხი დაეუბაკუნე და ვუთხარ წადი-მეთქი. დამემორჩილა, წინ გასრიალდა, შეჩერდა, ისევ მომიხედა, მოიღრიცა კისერი და მიცქერის, ალბათ მაღლიერებით, რომ არ მოვკალი. ასე ხუთჯერ მომიხედა. მეც რა თქმა უნდა გავუბე და გზის მეორე მხარეს გადავაცილე. გზიდან გადასულმა კიდევ მომიხედა და აჩქარებულად მიეფარა თვალს.

მამაჩემის ნათქვამი:

– ქითაბში (მუსლიმანურ წიგნში) წერია, ვისაც მაღლი უნდა, გველი უნდა მოკლას, ვისაც სამოთხე უნდა – ნუ მოკლავსო.

(მაღლს სამოთხე მირჩენია!... მაღლს ნაკლებად აფასებენ).

ცოტა რამ გველზე.

ჯარში წასვლამდე წისქვილში შესული გველი მოკვალი თოფით, რის შემდეგაც თავის ტკივილი დამრჩა... ჩემს ბავშვობაში სახლზე აცოცებულიც უნდა მომეკლა, მაგრამ მამაჩემმა არ მომაკვლევინა – იქნებ სახლის ანგელოზად ჩათვალა?.. ბიძაშვილის გოგომ, ეზოში, სოროში ჩაძვრომისას მოკლა და შეურია...

შიშის გამო ბევრჯერ მომიკლავს... ჯარში ყოფნისას, მინდვრად გაკეთებულ უბრალო ძელსკამზე მეძინა, რაღაცამ შემაშინა და გავიღვიძე. ჯარის შემდეგ მდგომარეობა ისე გამიუარესდა, უფროსმა ძმამ ჩაქვში ხოჯა აბაშიძესთან წამიყვანა. იგი ცნობილი მკურნალი იყო, ღვთის ხელდასხმული. რაღაცები გამიკეთა და... სიზმარში უზარმაზარი გველი ვნახე, მოვიდა და დამელპარაკა: აწე, ჩემი ნუღარ შეგეშინდებაო... მის შემდეგ გველი აღარ მომიკლავს...

გზაზე შეხვდრილი, რომელიც მე მიცქერდა, იქნებ ჩემს გამოსაცდელად გამოგზავნილი ანგელოზი იყო?.. ასეა თუ ისე, იმ გველში ქალის სახე დავლანდე, მაგრამ ვერავის მივამსგავსე, სილუეტად ჩანდა...

რჩევა: ერთდეთ გველის მოკვლას, იგი ბრძენია და ღვთის გაჩენილია... რასაც ჩაიღვნო, იმ ქვეყნად დაგხვდებათ!..

P.S. ამ გველის სილუეტ ქალის სახეში “მედიწელი“ ექიმი შევიცანი, შევხვდი, მივეფერე და მიჩხვლიტა!... ძალიანაც მავნო!... სხვაგან წავედი, სხვებიც არიან ექიმები...

ურწმუნო არა ვარ! მჯერა ღმერთის და ეს საკმარისია... ისე კი, აღარც ხოჯების მჯერა და აღარც ქრისტიანობის მქადაგებლების. ფულის გულისთვის რას არ გააკეთებენ... ანდა რომელი კონფესიის წარმომადგენელს ენადვლება სამოთხეში მოვხვდები თუ ჯოჯოხეთში. ვერავინ დაიფიცებს, რომ ძალიან ვენადვლებით... ისინი ვიდაცის სიკვდილს ელოდებიან გამწარებით, რომ წესი აუგონ და ჭირისუფალს ფული დასტყუონ!...

იტყვიან – ექიმის ენა არჩენსო (არა ყველასი), დავამტკიცე კიდევ. და კიდევ – შენი თავის ექიმი შენვე ხარო... დიახაც – შენ სამოთხეში მოხვდები თუ ჯოჯოხეთში, ისევ შენზეა დამოკიდებული.

ახლა ყველა 'პაკაზუხოზობს'... ამდენ ეკლესიას რომ აგებენ, დამშეული ხალხი ქადაგებით, ბავშვების მონათვლით და სანთლების დანთებით გაძღვება? ეკლესია და ჯამე მადლარი ხალხისთვისაა. , რომ სიმადრისთვის ღმერთს მადლობა უძღვნან. ჰოდა, ეკლესიებსა და ჯამეებს მადლარი ხალხი უფრო ეტანება, ვიდრე ლატაკი.. ნეტა, მათ გულში ჩამახვდა!..

ხშირად აჩვენებენ ტელეეთერით ილია მეორეს, მასზე შემოხვეულ მქადაგებლებს და მთავრობის ისეთ წევრებს, ვინც ათეულათასობით ღარ (თუ დოღარს, ან ევროს, თორემ ღირას და რუსულ მანეთს ვინ გაეკარება) ხელფასს იღებს... შეველენ, აბა არ შეველენ ნენა, სესილიასი არ იყოს. შეველენ, აბა არ შეველენ? .. ღმერთს ეხვეწებიან, ხელფასები შეუნარჩუნოს, თორემ ღმერთმა ხომ იცის რა ხვითობიც არიან... რა წაყვებათ?...

ხელფასები ღმერთს არ დაუწესებია და ჩვენში დარჩეს, – არც ენადვლება... ღმერთის ისე მჯერა, ნეტა ყველა ასე ეკიდებოდეს რწმენას. ერთი რამ კი უდავოა – თუ ვინმე უნებურად ან მოფიქრებულად გულს მტკენს, ღმერთი გულნაკლულად არ ტოვებს – სამაგიეროს უხდის. ჰოდა, ეს უღმერთოები მაინც მეცოდებიან, როცა ვხედავ, რომ ჩემ გამო (არა მარტო ჩემ გამო აღბათ...) ისჯებიან.

ვაფრთხილებ კიდევაც მავანთ – ჩემზე ცუდი არათუ სიტყვიერად, გულშიც არ გაიფლოთ-მეთქი... სამწუხაროდ, ყველა დაზიანდა, ვინც რამენაირი ზიანი მომაყენა – ფიზიკური, მორალური თუ ნაფიქრალითაც...

ყველას თავისებური ხედვა გააჩნია, მე მხოლოდ ვაფრთხილებ, დაჯერება ღმერთზე მიმინდვია!...
ღმერთო, ყველას ჭკუა მიეცი...
– ნუ გახვალთ ღმერთისმიერი რწმენის ზონიდან!..

გამოცხადება მეთორმეტე, 2006 წელი. 13.12

ეკლესიური არა ვარ, მაგრამ მჯერა ყველაფერი. რომ იტყვიან, რელიგია ხალხის დასამორჩილებელი საშუალებააო, არ ვემხრობი ამისთანებით მოაზროვნეებს. მიუხედავად იმისა, ზოგიერთ ქვეყანაში ნამდვილად ასეა, მე მაინც განსხვავებული აზრის ვარ.

მე მუსლიმანი ვარ. არავის დაუძალებია ამ რელიგიის აღიარება – ღმერთს ვემორჩილები და მორჩა!..

თორმეტი დეკემბრის ღამეა. მეცხადება ის, რაც დიდი ხნიდან მაინტერესებდა – ვისი სახელობის იყო საყდარი და ეკლესია, ეს არავინ იცოდა... გადაავიწყეს ხალხს.

‘ვარ ნასაყდრად ადგილას. ვიპოვე მარმარილოს თეთრი ფილა, დაახლოებით ოცდახუთი სანტიმეტრი დიამეტრის. ავიღე, მტვერი მოვაცილე და გამოჩნდა წმინდა მარიამის სახე, მუსლიმანურად ‘ხეზრეთი მერიემი‘.

ვრეკავ მუზეუმის მეცნიერ-მუშაკ სერგო გოგიტიძესთან და ზომა ჩავაწერინე, ხოლო სახვალიოდ მუზეუმში ჩატანა გადავწყვიტე, მუზეუმის დირექტორ ამირან კახიძესთან.

ფილა სადაც ავიღე, მის ადგილას არანფეულებრივი სილამაზის ფონი დარჩა (ისეთი ფერები, პირველ სამ გამოცხადებაში რომ ვიხილე).

ფილის უკანა მხარეს ამობურცული, რელიეფური, სამი შიშველი ქალის ფიგურა იყო გამოსახული. ვერ შევიცანი, მაგრამ ვიაზრე, ანგელოზები არაინ-მეთქი. გავიფიქრე – ეს ხომ ხატია-მეთქი. წამოვიღე. დაპატარავდა იმ ზომაზე, უკანა ჯიბეში ჩავიღე. ქვემოთ, ღელესთან ჩემი ცოლი და მესამე ქალიშვილი მხვდებიან. ვახარე და ვაჩვენე – წმინდა მარიამის სახე ვიხილე –მეთქი და... შემობრუნების შემდეგ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახე გამოჩნდა. კვლავ შევატრიალე და იესოს სახე გამოჩნდა. (ისე, გოგიტიძე მეკითხება, ქრისტეს გამოსახულება ხომ არ იყო). ღელეზე კარგი, რკინის ხიდი გაეკეთებინათ.

ხიდის გადაღმა მხედებიან: ვაჟა, ხუსეინ და თემურ სამნიძეები და კიდევ სხვები. მათაც ვაჩვენე და ნანახით ღირსეულად გათამამებულმა წავიტრახახე – სამი ათასი წლის წინანდელიამეთქი!..

ღამის ოთხი საათია...

... იქნებ ვინმემ სკეპტიკურად განმიცხადოს – ეს მხოლოდ სიზმარიაო... არა, ეს სიზმარი არაა, გამოცხადებაა. და თუ ამას სიზმრად მიიხნევთ, იყოს თქვენებურად, ოღონდ იცოდეთ – ყველა არ ნახულობს..

ღარდად მქონდა და ამისრულა ღმერთმა ნახვეწნი, ამომეცნო საყდრისა და ეკლესიის სახელობითი წმინდანები, ანუ ვისი სახელობისა იყო ორივე სალოცავი. მექმნება აზრი და მტკიცედაც მწამს (სკეპტიკოს მოკრიტიკეებს თავიანთი ადგილი ექნებათ ისტორიაში...), რომ ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობისა იქნებოდა (იქნებ, მისი უშუალოებითაც იქნა აგებული), ხოლო საყდარი წმინდა მარიამ მაგდალინელისა, გამომდინარე იქედან, რომ საყდართან ნახულ ბარელიეფზე პირველად წმინდა მარიამის სახე ვიხილე.

რაც შეეხება იესოს სახებას:

გამომდინარე რეალობიდან, მასიურად ვრცელდება მართლმადიდებლური მიმდინარეობა, ბოლოსდაბოლოს ისევე, როგორც ისლამი მიიღეს ძალზე გვიან საღორეთლებმა, ადრე თუ გვიან ქრისტიანობასაც მიიღებენ ალბათ!

თუმცა სად გვეჩქარება?!

ამ გამოცხადების ძირითადი არსი ჩემდამი ღვთისმიერ დახმარებაში ჩანს. მე კვლავ ველოდები სხვადასხვა მითითებებს...

ღამთხვევები უბრალოდ არ ხდება. წინა დღით უჩინარ, მაგრამ ჩემთვის უპირობოდაც სულს, ჩემს მამოძრავებელ ძალას ღექსი მივუძღვენი... თეთრ სამოსში წარმომედგინა სწორედ... მაგრამ ვინაიდან სამი წმინდანი (სამი გრაცია) ერთად ვიხილე, ვგრძნობ, რომ ისინიც მიცავენ...

13 დეკემბრის ღამისეული ხილვა ღამთხვევა კი არა, ჩემი ღვთისადმი თხოვნის ბეჭედ-დასტური იყო წმინდა ანდრიას ხსენების დღესასწაულთან დაკავშირებით.

9 საათი და 15 წუთი – ტელევიზიით გამოაცხადეს – დღეს მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს წმინდა ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნის საზეიმო დღეს...

აი, ჩემი გამოცხადების დედააზრი და გამართლებაც...
მე მწამს... მე მჯერა... ვისაც არა გწამთ, ღმერთმა დაგიფაროთ,
ხოლო თუ არ გწამთ, როგორ დაგიფარავთ?!
მე მაინც სიკეთეს გისურვებთ!..

თანამდევნი სული, 2007. 6.01.

მივდივარ მეზობელთან. ყოფილ მადანსადნობთან ახლოს.
იღუმალმა ხმამ ჩამომხახა (ეს მერამდენედ?..) სახელი 'ანეტი'.

ვფიქრობ – რა ხდება?

ვისთანაც მივიღოდი, შეეძინათ შვილიშვილი, რომლისთვისაც
'ანეტი' დაურქმევიათ.

ასევე, ჩემს ძმისშვილს შეეძინა მეორე ვაჟი და იღუმალმა ხმამ
'ანრი' მამაცნო...

P.S. ღამის 21 საათსა და 30 წუთზე ცაში ავიხედე. ისეთი
არაჩვეულებრივად განათებულ-გაბადრული საღვსე მთვარე
გადმოჰყურებდა დედამიწას, თითქოს იხვეწებოდა – რაც გინდათ
მთხოვეთ და შეგისრულებთო... თითქოს ადამიანის სახე მიეცა და
იღიმოდა... შესალოცია ერთი, უფრო სწორად , ნამაზის დროს
ჩასაკითხავი – ჩავიკითხე და მთვარეს ხვეწნა გაეუგზავნე – მავანი
პიროვნება ფანჯარასთან მიიყვანე და შენზე აყურებინე-მეთქი...
ვიცილოდი, ამ პიროვნებას მთვარე (ცივია...) არ უყვარდა და შეხედვაც
ერიდებოდა, არადა, თავად ღვთიურია...

ვიძინე მშვიდად. დილით ვესტუმრე. მარტო დამიხვდა (სხვათა
შორის, ანგელოზს შევადარე – რაღაც ღვთისეული სცხია). წმინდა
მარიამის ხატთან როცა ღოცულობს, ხან მარიამის სახეს შევეყურებ,
ხან მისას... ერთმანეთის მჯღობები არიან... (ღმერთო მაპატიე)...

შემპატიჟა, ყავა დამიდგა და შევეყვით საუბარს. უცებ:

– წუხელ მთვარეს რა ელაპარაკე? – ვკითხე.

დაფეთებული შემომხვდა.

– ვაიშე, შენ რა იცი, რომ ფანჯარასთან დიდხანს ვიდექი და
მთვარეს გუცქერდი, არაჩვეულებრივი მეჩვენა, თანაც ხომ იცი, რომ
მთავრეს ვერ ვეგუები... არ ვიცი, რა მოხდა.

– რა ვიცი კი არა, მე გამოგიწვიე მთვარის მეშვეობით.

– რომელი საათი იყო?

– თერთმეტის ნახევარი.

– ჰო, ზუსტად ეგ დრო იყო... რა – ჯადოქარი ხარ?.. მაშინებ!..

- ჯადოქარი არა ვარ, ღმერთი თხოვნას მისრულებს ხანდახან.
 - რა ეხვეწე?
 - არაფერი ისეთი, მთვარეზე რომ გეცქირა... ჩემი ძალა მოვსინჯე!
 - საკვირველი კაცი ხარ!...
- არ ვიცი მომატყუა თუ არა, მაგრამ წრფელი გამოხედვა ჰქონდა და დაუფუჯერე!

უცნაური დამთხვევები ბევრჯერ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში. ღმერთი რომ მწყალობდა და მინიშნებებსაც მიკეთებდა, ამას ხომ ცხადად ვგრძნობ. მიყვარს სამყარო, მისი შეუცნობელი ‘სიღრმით’ და ხანდახან ვწვდები კიდევ ამ სიღრმეებში. კრიტიკული მომენტები ბევრჯერ მქონია ბავშვობაშიც და შემდეგშიც. ცხოვრება კი ყველაზე მატად შემაყვარა მეთექვსმეტე კლასში რუსული ენის მასწავლებელმა, დამრიგებელმა მერი ცენტერაძემ. გვარი განაგონიც არ მქონდა. მისმა დარიგებებმა სიცოცხლე და ცხოვრება ზღაპრულ სივრცედ გადამიშალა... მან მე სიცოცხლე შემაყვარა... გვარიც შემაყვარა და თავიც... ხანდახან ისეთი მომენტები მაქვს, გვარი კი არა, ყველაფერი ზიზღივით მითრევს სიძულვილის მორევში, მაგრამ წამიერად თავში ამოტიტივდება მერი ცენტერაძის დარიგებები – გულში ბოროტების მარცვალი არ გააღვივო, გიყვარდეს ადამიანი და სიწმინდე ყოველნაირად დაიცავიო... თუ ღვთის წინაშე მართალი ხარ, უკან არასოდეს დაიხიო, მუდამ პირნათელი იქნები და გამარჯვებულიო... მისი დამოძღვრა ყოველთვის შედეგიანი იყო...

გვარ ცენტერაძეს – გულით ძეგლის ტიტულით ვატარებ და სამარეშიც ალბათ უდრტვინველად ჩაველ!...

ღმერთო, დაგვიფარე ცოდვილებიც და უცოდველებიც!...

ბავშვობიდან რაღაც ძალას ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი, რა იყო. მოწიფულობისას ჩავწვი უცნაურობების არსს, მაგრამ მის აღიარებას მაინც მოვერიდე, თუმცა ერთი უცნაურობა მაინც ამეკვიატა – სულ ცაში ვიმზირებოდი (ისევე, როგორც ყველა მეოცნებე).

ზესამყაროდან რაღაც ბრძანების მსგავსს ველოდი... მაშინ, როცა „მფრინავი თეფშები“ აზრად ცოტას თუ ჰქონდა, ვგრძნობდი და ველოდი, რომ ერთ დღეს გაცხადდებოდა.

(1988 წელში ვიხილე მხოლოდ...)

მე მათ ნამდვილად ველოდები... უცნაურობა კი ასეთი იყო – რა დანადგარსა თუ ელექტრომოწყობილობასთან აღმოვჩნდებოდი, მწყობრიდან გამოდიოდა, ცოტა ხნით მაინც (კიდევ კარგი, თვითმფრინაში არ „ვემოქმედებდი“ ასე, თორემ კარგ დროს გავატარებდით... ისე კი, სადაც მიკროსქემებია ჩამონტაჟებული, იქ რაღაც ხდებოდა ყოველთვის...

არიან ადამიანები, მგზავრობაგანი, რომლებმაც არ იციან თავიანთი ორგანიზმის თავისებურება, თვისებები, რომლებიც უნებურად ზემოქმედებენ დანადგარებზე და... ღმერთო დაიფარე ასეთებისაგან ყოველივე!...)

ამდენად ვერიდებოდი ყოველთვის მსგავს შემთხვევებს და ღმერთს ვთხოვდი, აერიდებინა ჩემთვის ავი რამე!. (არა მარტო ჩემთვის...)

აი, ერთი უცნაურობაც – თუკი ვინმეს მონახულებას დავაპირებდი, რომელიღაც დღეს ან რიცხვში, მანამდე მათ გარდაცვალების ამბავს ვიგებდი.

ჩავეკეტე თავისთავში, ხასიათი ვიცვალე... ვეღარ ვახმაურებდი – ზიზღის შემეშინდა... ასეა დღესაც – თუკი ვინმეს მონახულებას (რა თქმა უნდა მოხუცებულის და თანაც ავადმყოფის) დავაპირებ, ან ჩემ მისვლამდე კვდება, ან კიდევ – მონახულების შემდეგ!

ვერ ვხსნი რა ხდება...

უცნაურობათა მოზღვაგების შემდეგ, ხშირად შევწუხებულვარ ფიზიკურად. თავის მოკვლა მკრეხელობა და ცოდვაა, ეს ვიცი. ვცადე ამ ცოდვის ჩადენა... ღმერთი მიცავს ყოველთვის – მე ხომ პერანგით ვარ მოვლენილი სამყაროში.

ამ უცნაურობებს ახსნას ვერ ვუძებნი და არც თუ ხშირად მაინც ვამხელ... ძალიანაც არ სჯერავთ, მაგრამ მე ხომ ვიცი?..

ხშირად მეც ზიანი მადგება, ალბათ ზედმეტი ენერგია მიგროვდება, რისი განმუხტვის მეთოდები არ ვიცი და ალბათ ესაა უცნაურობების მიზეზიც... ხიფათი კი მრავალჯერ მქონია...

რომ არ იფიქრონ შარლატანიო და სკეპტიკურად არ განეწყონ, ამიტომ დუმილი ვამჯობინე... დრო დადგება ალბათ და სადინარი

მიეცემა ჩემს კარმულ ცნობიერებას, რაღაც უნარს.. (თუმცა ამისთვის ხანი აღარ მეყოფა, სიბერე თავისას მოიტანს!)

აღლო, ინტუიცია, წინასწარჭერების უნარი ასე თუ ისე გამაჩნია. ზოგიერთ მოვლენას ვიცი როგორი დასასრული ექნება, რასაც ხშირად ვამბობ ხოლმე. ვთქვი უკვე, სეკუპტიკოსი ძალიან ბევრი გვირევია და არც იჯერებენ, მაგრამ ჩემს ნათქვამს გვიან, შედეგში ხელავენ!.. თუმცა, გვიან!..

ვერ ავსხენი ერთი საკვირველება: რაც წინასწარმეტყველური ჩანაწერი გავაკეთე, იმას უკვე ვაწყდები პრესაში, ინფორმაციის სახით. დამებადა ეჭვი – ვიღაც უჩინარი თვალს მადვენებს ალბათ და ვიღაცას შთაუნერგავს ჩემს ინფორმაციებს ან მთლად უარესი (იქნებ უკეთესი?..), თავად იყენებს ჩემს ნააზრევს-მეთქი. იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ არსებობენ ასეთი კიბერჰაკერებიც!..

ახლა ამ თქმასთან დაკავშირებით გაგიმხელთ სუპერუცნაურობას, რაც ხდება კომპიუტერის მეშვეობით: თუ ვინმეს დაზიანება სურთ (რა თქმა უნდა, შესაბამისი შესაძლებლობის მქონეს...), იმ ადამიანის სურათს მოათავსებენ კომპიუტერში, დანარჩენი კი მათ ცოდნაზეა დამოკიდებული...

...ჩემი ინფორმაციები, რაც ნოველებად ვაქციე უკვე, ესებოდა 2007 წელს, ნაწილობრივ 2008-ში გადავიდა, რაც თავისთავზე ვიწვნიე და საქართველოსაც უბედურებად გადმოემხო, 2016 წელზე, 2034, მთვარის შესაძლო გაუჩინარებაზე და სხვა – ასე თუ ისე ჩანაწერები მაქვს, წერილებიც მქონდა მზად, როცა მათ რაღაცნაირი ფორმით უკვე გამოქვეყნებულს ვაწყდებოდი გაზეთ 'იღუმალების სამყაროში' (რომელშიც 2005 წლის №22-ში გამოქვეყნდა ჩემი ერთი სტატია 'როდის უნდა ველოდოთ აპოკალიფსს', რომელსაც ამ წიგნშიც მოვაქცევ), მთლად ისე არა, როგორც ჩემს ნაწერებში მაქვს, მაგრამ მთავარი არსი მინიშნებული იყო სხვების ნააზრევში. დამთხვევები კი არსებობს, მაგრამ ამდენი?..

ეს ყველაფერი, ასე თუ ისე, მაღიზიანებდა კიდევ და ახლაც ასე ფიქრობ – ზედმეტი ხომ არ იყო ჩემი გამოჩენა –მეთქი, მაგრამ არა, დაე, რაც უნდა ის იფიქრონ ჩემზე – ჩემს სათქმელს, რასაც მინერგავენ, სხვა ხომ იმ სიზუსტით ვერ იტყვის, რასაც მე?..

... ვინც სასიკვდილოა, მას მამცნობენ რამდენიმე ხნით ადრე, ოღონდ განსაკუთრებული ნიშნით და ისიც ძილში.

იქნებ შემედავონ, ძილი სიზმარია და სხვა არაფერი, ან სულაც ჩაყოლილი ფიქრების ზმანებაო. ეს უბრალოდ ვიდაცების ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ, ჩემთვის კი წინასწარმეტყველური ხილვაა...

არასოდეს ამოვა გულიდან დედაჩემის სიკვდილი, წინასწარ იმ ხის წაქცევით მამცნეს, რომელიც სინამდვილეში საფლავში ჩააყოლეს.

ჩემს ყოფიერებაში მსგავსი ამბები მრავლადაა.

ადამიანს ინდივიდუალური გარემო და აურა გააჩნია, ამიტომ ერთის კარმული მონაცემები და წინასწარმეტყველება, სხვისთვის სკეპტიკური აღმოჩნდეს იქნებ...

ძილს, სიზმარსა და გამოცხადებებს შორის არსებითი განსხვავება დიახაც არის... უბრალოდ, სიზმარი მირაუჟითაა, ძილი კი – გონების მოსვენება... გამოცხადებები დიახაც არსებობს და თავისი შინაარსით თითქოს სიზმრის ანალოგიურად გამოიყურება, მაგრამ ვინ როგორ გაიგებს... სათანადო ახსნაა საჭირო, მაგრამ რა ეშველებათ ურწმუნოებს, სკეპტიკოსებს?...

1982 წელში მოვეყვი ავარიაში. მაყურებლის პოზიციიდან გადარჩენის შანსი ნამდვილად არ იყო. გადავრჩი, მაგრამ ტვინში ამაველ არტერიას მიაღება ზიანი, რისი მიზეზითაც ჩემი შესაძლებლობების რაღაც ნაწილი დაგვარგე. გადავწყვიტე, ყველაფერზე ჩამექნია ხელი, მაგრამ როგორც ვთქვი, ღმერთმა არ გამწირა... დროდადრო შემახსენებენ “ზემოდან“ და მაშინ უმცდარად ვმსჯელობ.

მაგანთ ჩემი ‘პაუზა“ სკლეროზის სინდრომში გადაქვთ, ასე უნდათ, მაგრამ მე ხომ ვიცი, ამ პაუზებს რისთვის ვაკეთებ... არ მაქვს სკლეროზი და მაგანთა გასახარად ძალათი ავიკიდო?... ასაკი თავისას აკეთებსო, კი ბატონო – მეც ჩემსას ვაკეთებ. ყოველივე, რისი დაფარვაც არ მიმანია მიზანშეწონილად, რისთვის დაფარო?... დაჯერება?... ეს მათზე მიმინდვია... ვინც დაიჯერებს ხომ კარგი, ვინც არა – ეს მათი პრობლემაა!..

ამ დაჯერება – არ დაჯერებაზე ერთ პოეტს გავიხსენებ, რომელმაც გულის ოპერაციის შემდეგ მომიხახულა და ცოტა საუბრის შემდეგ მითხრა – ემოციებს ხარ აყოლილიო... ჯერ ერთი მან არ იცის სიტყვა ემოციის მნიშვნელობა და მეორეც, ვუპასუხე – შენ რომ არ გჭირს რამე, ამიტომ ასე გგონია-მეთქი... ხომ გაგიგონიათ

“სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირით“, ასე აქვს წარმოდგენილი იმ, ცინიზმით გატენილს...

შემდეგში, თვითონ მას ტვინის შერყევა ჰქონდა (დაემატა...), წუწუნებდა და მისი სიტყვებით ვუთხარი – ემოციებს ხარ აყოლილი-მეთქი, ეს კი სინამდვილე ვუთხარი. ვედარაფერი მიპასუხა (მე მაწყენინა და თავად მცირედ დაისაჯა).

რისთვის გავიხსენე?.. სხვისი ჭირი თუ არ გაითავისე, ისე მუცელზე ხელის მოსმა ვერაფერი სახარბიელოა...

ახლა ჩემს ადლოს უნდა შევეხო.

წინათგრძნობის, ინტუიციის ძლიერ გამოვლინებას რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი.

1966 წელში, ქ. კალინინგრადში, არმიაში სამსახურისას მოვინახულე ჩემსავით მოსამსახურე ქედელები – კაკო ჯაყელი (მუსიკოსი მომღერალი) და ჩემი სოფლელი, თანაკლასელი – მუხამედ ქადიძე. ერთმანეთს როცა ვშორდებოდით, სურათები გადავიღეთ. განშორებისას ჩავილაპარაკეთ: ეჰ, ჩვენი სამეუღლიდან ვინ დარჩება ცოცხალი, ვინ იცისო (თითქოს ფრონტზე მივდიოდით). არ მომეწონა ამისთანა აკვიატება და გასამხსენებლად მაინც ვთქვი: რასაც ფიქრობთ ბიჭებო, მაგისა გჯერათ-მეთქი?..

თუმცა, ხომ უნდა გამოვაკლდეთ ქვეყანას, როცა იქნება?!

... პირველად თამაზი (მუხამედი) გამოგვეცალა ხელიდან – ტრაგიკულად დაიღუპა, შემდეგ ასევე უდროოდ კაკო მიყვა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თამაზმა, მე და მისი ძმის ცოლის ძმამ ბათუმში ვიმხიარულეთ. შემდეგ ზღვისპირა პარკში სურათები გადავიღეთ და მაშინაც ამისთანა ჩალაპარაკებას ჰქონდა ადგილი!..

ჯერ თამაზი გამოგვეცალა, შემდეგ – საშა...

2015 წელში მოვხვდი ქ. ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში. სამი ვიწექით – ზვარელი ქობულაძე, ვაიოდან გორგილაძე და მე. გორგილაძეს ქალიშვილი ადგა თავზე... სარკმლიდან დიდი ბუზი შემოფრინდა. ხელი მოეუქნე და ისევ სარკმელში გავარდა.

– ეზრადი (სულის ამრთმევი ანგელოზი) შემოფრინდა და გავაგდე-მეთქი, ჩავილაპარაკე. ვიდაცას წაიყვანს-მეთქი, ესეც დავამატე... ნანამ გაიკვირვა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

უხალისოდ მივგორდი და ვთქვი გულში – ვინ დარჩება ცოცხალი?..

ერთ თვეში ქობულაძე გამომეცხადა ტელევიზორში, ნეკროლოგში...

ნანას ვუთხარი, მამაშენი დიდხანს იცოცხლებს-მეთქი.. ვიგრძენი – რამდენიმე თვის სიცოცხლე რომ ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ხომ ვერ გავუმხედლი? ვერც გავიმეტე... თუმცა ღმერთმა ხომ იცის, რა როგორ წარმართოს!.. ამ სამეულიდანაც მე დავრჩი!..

ამჯერად სულ სხვაგვარი რამ მოხდა.

ამხანაგი მყავდა, ისტორიკოსი – სიმონ გოგიტიძე (სიმონ – ბერძნულ-ლათინურად, ებრაულად – “შიმონ“ (ღმერთმა ისმინა). ინსტიტუტში ვიჯექი პროფესორებთან. ცოტა ნაქიფარი იყვნენ. სიმონმა ერთი გოგოს მისამართით რაღაც წაიხუმრა (მოსწონდა). პროფესორებიც მას წაეხუმრნენ. მეც მივუბრუნდი და...

– სიმონ, ამისთანა რამეებს სიკვდილის წინ გაიფლებენ გულში, თორემ სახალხოდ არ იტყვიან, რა მოგივიდა, რა ხდება?

ბიჭებმა ჩაიცივნეს.

ამის შემდეგ მალე ვესტუმრე, სადღაც მარტის ნახევარში. იმ დღეს რაღაც შევამჩნიე, მაგრამ არაფერი მიკითხავს. კილომეტრზე გამომაცილა და ისეთი, რამ მკითხა, მეუცნაურა, თუმცა რეალობა იყო. აქ არ ჩავწერ. ჩემ გარდა არც არავის ჰკითხავდა, ვიცი. ასახსნელი არაფერი იყო, თუმცა მეუცნაურა – იმხელა მანძილზე არასოდეს გავუცილებივარ. შეკითხვა ცხოვრებისეული იყო და გულიც მეტკინა, შემეცოდა კიდევ, მაგრამ არ ვაგრძნობინე... ბოლო შესვედრა იყო ჩვენი, ესეც ვიგრძენი, მაგრამ მანაც ვერ გავიმეტე.

15 აპრილს დაბადების დღე მქონდა, ზარებსაც ველოდი და აღარ დამირეკავს მისთვის, ავადაც ვიყავი. საღამოთი კი ნეკროლოგში გამოაცხადეს... ცეცხლი მომეკიდა. გამახსენდა მისი ნათქვამები – ახლა ვხვდები, ტრაგიზმი რომ ღვიოდა მის არსებაში... ცხოვრებისეული უკუღმართობები ბევრ ვაის აჩენს თავში... ოპერაცია უშდეგოდ დასრულდა!..

ჩვენი დაცილება ტრაგიკულ ფონს შეიცავდა... გასვენების დღეს მეც სტრესი მივიღე – რაღაც აირია თავში... მე საუკეთესო მეგობარი დაგკარგე, სამეცნიერო სამყარომ კი უნიჭიერესი დოქტორი... აცხონოს ღმერთმა!..

ერთხელ მეზობელი ქალი ვინახულე. გავეხუმრე – ადექი, დატრიალდი, შენებურად, რაის ავადმყოფობაა-მეთქი და... ველოდები, მუდამ სხვა ხომ არ მოკვდებო, მიპასუხა... გულში გავიფლე – საგზური ამოწერილი აქვს უკვე-მეთქი. მალეც დაგვტოვა!..

კმ, რას ვიზამთ, ზოგ-ზოგები უნდა წავიდეთ, ზოგი რიგით, ზოგიც – ურიგოდ!...

აღლო, რაც სხვა რამეებსაც ეხება, თუმცა ამინდის გამოცნობის საკუთარი აზრი რომ გამაჩნია, ნაწერის ბოლოსკენ დაიჭერს ადგილს...

...ჩემგან აღმოსავლეთით კუდიანმა კომეტამ გადაიქროლა. ვოქვი-ავღანეთს რაღაც მოუვა-მეთქი (არავითარი მიზეზი არ არსებობდა და თუ ვინმე რამეს გეგმავდა, არც ეს ვიცოდი). დილით ტელევიზიამ ამერიკული აგრესიის ცნობა მოგვაწოდა... ერაყზე თავდასხმაც ასევე ვიცოდი!

ზამთრისპირად ლუსკუმა დრუბლებმა გადაიქროლა ადრინდელი კომეტის მიმართულებით, ვოქვი – ავღანეთში გათოვდება-მეთქი და... ავღანეთისთვის უჩვეულო თოვლი მოვიდა.

წინა ფურცლებზე ვახსენე თამარ მეფისა და სტალინის ერთად გამოცხადება.

მათი სიკვდილის თარიღებს შორის შვიდას ორმოცი წელია გასული. ამდენი საუკუნის განსხვავებით, ორივე ერთად როგორ და რატომ უნდა გამომცხადებოდა?... ეს ღვთის საქმეა, მე კი შევეცდები, ავხსნა:

‘ერთ დიდ, ძალიან ღამაზ ნახატებიან ოთახში ტალანიდან ერთად შემოვიდნენ. უკან ანაფორიანი ადამიანი მოჰყვებოდა – მასში შოთა რუსთაველი შევიცანი. მოვიდნენ ახლოს და ტკბილად მესაუბრნენ.

სადღაცადან ხმა მომწვდა: ესენი მოციქულთა მსგავსი წმინდანები არიან და მესიას მოჰყვებიანო...“

ეს იყო მგონი მესამე შეხვედრა. პირველი 1967 წელში იყო, მეოთხე გამოცხადებად ეს მაქვს აღნიშნული. მათი ნაუბარი სადღაც მქონდა ჩაწერილი, მაგრამ ვეღარ მივაკვლიე, თუმცა აქ მთავარი აი, რა არის: – ხომ ამბობენ, სიზმრად იმას ნახავ, ვისთანაც ხშირი კონტაქტი გაქვსო – ამას ვეთანხმები, მაგრამ მე ისინი ხომ არ მინახავს ფიზიკურად, ე.ი. სიზმართან კი არა, გამოცხადებასთან გვაქვს საქმე...

სხვათა შორის, ჩემს ჩანაწერებში ხშირად მყავს მოხსენიებული სამივე, მათი სული რომ დამტრიალებს, ამისა ნამდვილად მჯერა!..

მსგავსი ამბავით ცოტას გადავუხვევ:

სასახლე გადავითხრევიანე ტრაქტორს. იმავე ღამეს გამომეცხადნენ 1924 წელში გარდაცვლილი მამაჩემის ბიძაშვილები, ძმები – ისმაილი და მამუდი. მამაჩემის ბაბუის, იგივე მათი ბაბუის

საფლავი არ ვიცოდით სად იყო. (იგი ქველმოქმედი და წმინდანი იყო, ღოცვაში გარდაიცვალა). დაახლოებით ვიცოდი. სადაც სასახლე გავთხარე, იქვე აუთვისებელი ნაპირი იყო დატოვებული. ისმადმა და მამუდმა დამიძახეს და მითხრეს: სასახლე რომ გაამზადე, იქ ბაბაუა შანის საფლავი რომაა, თუ იციო. მე დავეთანხმე – ვიცო-მეთქი...

მამაჩემი ათი წლის წინ გარდაცვლილი იყო, თორემ გაიხარებდა. ესეც რისთვის მოვეყვი – ადამიანი, ვინც არასოდეს გინახავს და ძილში მოგაკითხავს – ეს გამოცხადებაა...

... სტალინისა და თამარის გამოცხადება რუსთაველის თანხლებით: ხომ ეძებენ თამარისა და რუსთაველის საფლავებს დღევანდლამდე და საძებარი იქნება მუდმივად. ვერც იპოვიან, იმიტომ რომ... ისინი საფლავში ფიზიკურად არც არსებობენ. სად არის იესოს ან მუხამედის საფლავი?... არავენ იცის და მჯერა ვერასოდეს გაიგებენ – ისინი წმინდანები იყვნენ და ცად აამაღლა ღმერთმა.

ისეც ეს ორი პიროვნება. მოციქულების საფლავებს თუ ასახელებენ და თავს ევლებიან, ეს რელიგიებს სჭირდებათ მასების რწმენისათვის.

საფლავი ის ადგილია, სადაც ძვლები უნდა არსებობდეს. არის ამ მოციქულების ძვლები საფლავებში?... არ არსებობს!...

თამარ მეფე და რუსთაველი ადამიანში განსახიერებული წმინდანები იყვნენ, მოციქულთა მსგავსნი (რომ არა ეს, თამარ მეფის ნამოდვაწარს თუ გადაავლებთ თვალს, ვერ შეძლებდა – მას ღმერთი ეხმარებოდა).

ახლა დავაკვირდეთ – რომელ რელიგიებშია გადმოცემული ჯინთა (ქაჯთა) შესახებ, თითქოსდა ხმალი-იარაღით მებრძოლნი?..

არსადაა და ეს მხოლოდ ზღაპრებში შეიძლება წაიკითხოთ – რუსთაველს კი ნამდვილად ქაჯებზე ჰქონდა საუბარი... და, მისაღები ის მოსაზრება, რომ რუსთაველიცა და თამარიც მოციქულთა მსგავსნი იყვნენ...

რელიგიური მოძღვრებიდან ცნობილია, რომ ჯინები ღმერთს წარმოშობილი ჰყავს ცეცხლისა და ჰერისაგან, რომელთაც სივრცესა და დროში გადაადგილების საოცარი უნარი გააჩნიათ... ამგვარად გადაადგილდებოდნენ იესოც და მუხამედიც (ღმერთო მაპატიე...). ასეთ დონეს მიეკუთვნებოდნენ თამარიც და რუსთაველიც. თუ არა

ჯინთაგან წარმოშობა, რუსთაველი უკვდავ პოემაში ქაჯების შესახებ ვერ ისაუბრებდა და არც თამარქალს მოიხსენიებდა პოემაში.

ჯინების საფლავები კი დედამიწაზე არაა ცნობილი!..

ეს გადახვევები თითქოსდა შესავალად მივეცი იმ უცნაურობებს, რომელთაც ამის შემდეგ მოვეყვები!

თუმცა მანამდე კიდევ გავაკეთებ ერთ გადახვევას:

ბუნებაში ძალიან ბევრი უცნაურობა ხდება. ვერაინ ჩაწვდება იმ საიდუმლოებებს, რაც ხდება, ახსნას ვერ მოუძებნი. თუმცა ვიტყვი, რომ ახსნა მაინც აქვს – ვისაც გულში ბოროტი განზრახვა აქვს, ეს სატანისეულია და თუ ქმედებაში გადავა, სატანაც ხელს უწყობს (საკვირველიცაა!..).

ბევრი რამ გამამხდა თავს, ბევრ ვიღაცას გავცნობივარ და ვითარებიდან გამომდინარე, ბევრი რამ შევისწავლე კიდევ.

ჩემი დის მეზობლად დიდაჭარელი კაცი ცხოვრობდა, რომელმაც ციხეებში გაატარა საუკეთესო წლები. ციხეში ტალანტებიც ხვდებიან, ფენომენალებიც და პროფესორებიც. მათგან ისეთი რამ აითვისა, ნებისმიერ ექიმს შურდა მისი... ხოჯიობას ეწეოდა, ამოფარებული იყო ამ “მანტიას” და შეუძლებელს აკეთებდა. ბოროტებას კი არასოდეს სჩადიოდა და ხალხის სატკივარებს შეელოდა.

ამგვარად, მეც ბევრი რამ შევითვისე. მავანნი მეხვეწებოდნენ – მესწავლებინა მათთვისაც.

მე ღმერთი მწამს და ბოროტებას არ გავაკეთებ...

ერთი ქალი მეხვეწა, რაღაც მესწავლებინა. თვითონ პირწმინდა მუსლიმანი იყო (ვასათხოვარიც...), მაგრამ სიბოროტე გაბედა მაინც...

ამომგლიჯა გონებიდან ერთი საიდუმლოება:

– ქალბატონო, უდიდესი ცოდვაა ამის გაკეთება, ჩვენ ხომ ბოროტები არა ვართ?..

– მასწავლე და მაი ცოდვა ჩემს კისერზე იდოს...

... კეთება ძეწინის (ტირიფის) ტოტებზე, დილით, ისე, რომ გამკლელი არაინ იყოს, თანაც დგაა ჩასაკითხავი, თანაც უკუღმა, რომელიც უდიდესი ცოდვაა. გააკეთა იმ ქალმა ეს ცოდვა.

მეორე დღეს მინახულა:

– გუშინ დილას გავაკეთე, წუხელ კი დედაჩემი დამესიზმრა შიშველი, ძუძუებს იგლეჯდა და მიყვრა – რატომ მაწვალებ შვილო და გამიქრა თვალთაგან. დილით ოფლში ვცურავდი. ვირწმუნე, რომ ცოდვა გავაკეთე, მივედი და გავხსენი...

ტირიფის ტოტებისგან ნაწნავით კეთდება და ის დვა უკუღმა უნდა ჩაიკითხო შეიღჯერ, რომ რომელიმე დღეს იმოქმედოს, ამ ქაღმა კი ეს ჯუმა დილას (პარასკევს) გააკეთა... ჯერ ერთი, რომ პარასკევი მუსლიმანთა ერთად ლოცვის დღეა, იმ დღეს არც საქმე უნდა გააკეთო ადამიანმა და ამისთანა ცოდვა?!

ის ტოტები მალე გახმა.

არ ვიცი, ვის შურს ძიობდა მაშინ, მაგრამ ღმერთმა დედამისი მოუვლინა სიზმრად, მიახვდრა ცოდვის სიმძიმე და დაეხმარა.

ამის გარდა ბევრი რამ ვიცი კიდევ, თუმცა ისინი ჩემთან ერთად მოკვდებიან. კაცი გველს (და ნებისმიერ სულიერს) აღარ ვკლავ და ცოდვებს გავაკეთებ?!. თუმცა ხომ არიან მავანნი, ვინც ასეთები იცის... ჰოდა, დღესაც კეთდება ბევრი რამ...

ხომ გაგიგონიათ – მონუსხესო (ჯადო გაუკეთესო)... ჩემს თავზეც გამოვცადე ამისთანა რამ და შემდეგში ვისწავლე კიდევ, თუმცა არასოდეს გამომიყენებია...

... ასე თუ ისე, ინტუიციაც ძლიერი მაქვს – თითქმის მიზანში ხვდება ნაფიქრი. ფეხბურთი ჭირით მეჯავრება, მაგრამ ბევრჯერ ამომიცვნია ანგარიში, თუმცა სათავისოდ არასოდეს გამომიყენებია. მავანნი ხომ ფულებს იჯიბავენ ამით, მე კი ჩემი ოფლმონაწრედი სახსარი ყველაფერს მირჩევნია.

მამა იტყოდა (და წამიკითხავს კიდევ) – ფული ცეცხლის დადარიდან უნდა გამოიღო (ზოგმა – ლომის უკანალიდანო – ვინც ამას იზამს, ღმერთმა შეარგოს)... დიახაც! თუ ქარმა მოგიტანა საარსებო რამ, ისევ ქარი გახვეტავს და ცარიელ-ტარიელი დარჩები!

...ჩემს ბავშობაში, ჩვენს ირგვლივ უცნაურობებს ჰქონდა ადგილი.

ეს აუხსნელია... საერთო სახელწოდებაა მისი ‘ყარაყურა“... რას წარმოადგენს იგი? სატანა, ოჩოპინტრე, ალქაჯი?... რაც გინდათ ის უწოდეთ – ისინი ნამდვილად იყვნენ.

აი ეპიზოდები მათი გამოჩენისა: მეზობელმა ქაღმა კარის ქვეშ დარჩენილ ღრიტოში ნახვრეტიანი შავი ხელი შენიშნა. იცოდა რა იყო და მაშით ნაკვერჩხალი დაადლო. იწივლა და გაიქცაო. შემდეგ კი ძაღლებმა ატყეს გნისი. ეს მოჩვენება კი არა , ადამიანის შავი ლანდია – უსხეულო, უხორცო (როგორც ჯინები), რომელსაც თუ შეეხები, ვერაფერს აღიქვამ, ძაღლები კი ხედავენ და უყეფენ კიდევ... ამავე სახლში ბევრჯერ განმეორდა მისი გამოჩენა.

მამა გვეტყოდა – ღამით როცა შეგაწუხებს ეს არსება, ლოცვები უნდა ჩაიკითხო და მოგშორდებოდ... ბავშვობიდან ნაზიარები ვიყავი ლოცვებს (არაბულად). მასსოვს ასეთი შემთხვევა: ბუხრიან ოთახში, უძრავ ტახტზე (სექსზე), მამის გვერდით ვიწექი. როცა უნდა ჩამძინებოდა, ბუხარში ჩამოკიდებულ თუნგზე (გუგუში) ჯაჭვის მირაწკუნების ხმა მომესმა. იმავე წამს თავთან გაჩნდა გარმონის ხმის მსგავსი ხმიანობა, პარალელურად ფხვებზე დამაწვა და ზემოთ წამოვიდა ის რაღაც უჩინარი (სული?...). გულთან რომ მოაღწია, სიმძიმემ მოიმატა. წავიკითხე ლოცვა (ღვა) და იგიც მომეშვა. ისაა აღსანიშნავი, რომ ამ დროს შებოჭილი ხარ და ვერ ინძრევი...

ეს ხდება ორმოცდაათიან წლებში. ჩემი უფროსი ძმა რაღაცებს აწყობდა სახლის კედლებზე, რომ ისინი დაზიანებულიყვნენ, მაგრამ ლანდს რამეს დააკლებს ვინმე? მე ახლა მჯერა, რომ სწორედ ამ ლანდებმა იმსხვერპლეს იგი...

ამ ლანდებს ღამით მოსიარულენი (კრებებზე) დიდხანს ხელავდნენ.

ისევ მცირე გადახვევა:

ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა ამბობდა, რომ ისინი ადამიანები არიან და დაფრინავენო... როგორ არ დაიჯერებ, რომ ალბათ მთელი მსოფლიო აღიარებს მის ფენომენს.

მეორეც: ჩემი გვარის წარმომშობი წინაპარი, ქრისტიანად დამარხული ბებია, ავისმდომელებმა 97 წლის ასაკში, ჯერ აწამეს და მერე საყდრის კარებში ჩამოჰკიდეს. ეს მოხდა 1837 წელში.

მესამეც: 1914 წელში, ჩემს ბაბუას აკაცებმა ტყვეით მოუსპეს სიცოცხლე. (ბაბუა ხასანი მაშინ 88 წლის იყო). მის საფლავზე დიდხანს ნათება იყო, ამბობდნენ...

ჰოდა, ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე – იმ ბებიისა და ჩემი ბაბუას, ხასანის სულები ხომ არ გვახსენებდნენ ხანდახან თავს?.. არაა გამორიცხული, იმიტომ რომ ბაბუა შანიც წმინდანი იყო... (დედაჩემიც...). მკვდრებს კი საკადრისი მოვლა-პატრონობა აკლიათ... გუღნაკლებები კი თავის ადგილსამყოფელს ყოველთვის დასტრიალებენ...

ჰო, ლანდებს ღამღამობით ხელავდნენ-მეთქი... მე ამის შემოწმებას ვერ დავიწყებდი – ზოგს ალბათ შიშის გამო ელანდებოდა და სხვა...

ეპიზოდი რისი თვითმხილველიც ვიყავი, ხდება 1951 წელში.

ძმის სიკვდილიდან 7-8 თვეში. ამ ძმის მომდევნო, ანუ მესამე შვილი, მზის დაკვრის მიზეზით დაავადებული, იწვა დიდ ოთახში, სადაც ყველა ვიყრიდით თავს, იქვე წვებოდნენ (ათი სული ვიყავით). მაშინ ელექტრონათურას ძალიან დაბალი, ნავთის ლამპის მსგავსი ბუშტვა ჰქონდა. აივანზე გამავალი კარი, რომელიც ჩამოკეტილი იყო ძველებური კაუჭაბოლოიანი საკეტით, რომლის უკანაც, კარსა და დირეს შორის მცირე ღრიტოც იყო, თუმცა რაც შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ღრიტო არაფერ შუაში იყო. კლიტე ახტა და ჩამოეკიდა, კარმაც უკან დაიხია, მაშინ, როცა მას არაფერი ქაჩავდა. იმ წამსვე ჩემი და შეწუხდა და აკვნესდა. მიხვდა მამანემი, თუ რა იყო, ჩასაკითხავებით მოიცილა 'დაუპატიუებელი სტუმარი'. ბავშვი ვიყავი, ხუთი წლის, არ ვიცოდი, თუ რა იყო შიში და აივანზე გავედი, სადაც ძირიდან ვერავენ ამოვიდოდა და ვერც გაბედავდა მამანემის შიშით. იქ არავინ იყო... დღესაც ვერ გამიგია (დემეტოს ვეხვეწები, მიმახვედროს ყოველივე) მოხეტიალე სული ვისი იყო და გვაშინებდა, თუ უბრალოდ გვაგრძნობინებდა, რომ აქვე იყო. თუ მარტო მიხვედრებაზე იყო, აღარც უნდა ვეზიანებინეთ... ბევრჯერ ვიფიქრე – ბაბუანემის სული იქნებოდა, იმიტომ, რომ მისი მოკვლის სანაცვლოდ შური არავინ იძია, რომელიც ფაქტიურად უკვე შეუძლებელიც იყო ვითარების გართულების გამო.

მოხეტიალე სულებზე ძალიან ბევრჯერ შევსწრებივარ საუბარს. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ხომ სახეხეა?

სკოლის დამამთავრებელ კლასში რომ გადავედი, უკვე გამართულად ვწერდი ლექსებს, ფელეტონებს თუ პატარ-პატარა ნოველებს, ჩანახატებს, (რომლებიც სახეზე აღარ მაქვს, მამანემმა ორი საერთო რვეული გამინადგურა), რომელთა დანიშნულებებსაც გვიან ჩავწვდი – ამას მამაზეციერი მკარნახობდა ჩემი თანმხლები ანგელოზის მეშვეობით, სხვა რამეს ვერ დავარქმევ ჩემს ნამოღვაწარს და გაკეთებულ მადლს თუ ქველმოქმედებას...

არასოდეს მქონია წაბაძვის სურვილი და მცდელობა, ყველაფერი თავისთავად მოდიოდა გონებაში, ანუ ღვთის ძალით ხდებოდა ყოველივე და აი, რატომაც. ბავშვობიდან მორწმუნე ვიყავი და პატარაობისას მამანემს ბათუმის ჯამეშიც დავყვებოდი სალოცავად... ახლა ვიღაცები გაიკვირვებენ კიდევ – ეგ ხომ მუსლიმანურიაო. კი ბატონო – ასე მიბრძანა შემოქმედმა... მერე რა, რომ არაქართული რწმენა მაქვს.... ეს კი ნამდვილად მწამს – რა რწმენითაც დაიბადე და გაიზარდე, იმითვე უნდა მოკვდე!... დიას, წმინდა მორწმუნე ასე

წარსდგება ღვთის წინაშე. რა ენაზეც შეეხვეწები ღმერთს, იმ ენას შეიწყნარებს. ერთი საკვირველება კი ათასუცნობიან განტოლებასავით მაქვს ტვირთად... რატომ ჰგონიათ ქართველებს, რომ ღმერთს არაბული ენა დააფიწყდა და მაინცდამაინც ქრისტიანულ სარწმუნოებაში მეპატიუებიან?... რაც ღმერთმა მიკარნახა, იმ აზრზე ვარ და ერთ მტკივნეულ პრობლემაზეც მივუთითებ ქართველ ქრისტიანებს – თუ ისლამი ამოსადირკვია საქართველოში (რასაც უკვე ვეღარაფრით შეძლებთ, ამისათვის უძღურნი ხართ!), მაშინ ისლამისტებს რისთვის ვპატიუებთ საქართველოში საცხოვრებლად? ან უფრო უარესი – ქალებს უგზავნი თურქეთშიც და აქვეც, ჩვენს ქრისტიანულ სამოთხეში?!

პოლიტიკაში გადავიჭარი უცნაურობებიდან, თუმცა ამაზე დიდი უცნაურობა რაღა იქნება – საქართველოში შემოსული უცხოელების (უმეტესად თურქების) ბავშვები კალიებივით რომ მრავლდებიან?... თუ ნეტა უბრძანებთ თურქს, დაბადებული ბავშვი ქრისტიანულად მონათლოს?

ისევე დავბრუნდვ სარწმუნოებაში...

ყველა ერთ ენაზე ვერ იქადაგებს, ვერ ილოცებს. მუსლიმანობას თავისი ენა გააჩნია, ქრისტიანობას თავისი და სხვა რელიგიებსაც. ყველა ღვთის მოვლენილია და ყველაფერი ღვთის საქმეა, რა თქმა უნდა, და არა უბრალო მოკვდავებისა... არც ერთი სარწმუნოების აპოლოგეტი არა ვარ, ოღონდ რაც გწამს, იმის სიმტკიცე არ უნდა მოიშალო ადამიანმა – ღმერთს ვერავინ მოატყუებს და ნურავის დააფიწყდება – თუ მუსლიმანობა გარედან შემოსულია, ქრისტიანობასაც ამ სარწმუნოების თანაფარდად მივიჩნევ – არც ერთი არაა ქართული სარწმუნოება... ხოლო ცოდვები და დარღვევები ნებისმიერი სარწმუნოების მიმდევრებშია.

ხშირად მიწევს გადახვევა, მაგრამ დედააზრი არ სხვაფერდება. რუსებს ერთი თქმა აქვთ – ё́сть же́сть и́и нѣ́тъ и́и нѣ́тъ и́и нѣ́тъ (ყველა თავისებურად აფრენსო). ასეა ეს და ჩემს ნაწერებს თუ ბევრი სკეპტიკოსი გამოუჩნდება – აი, დარდი, მე ვწერ ღვთის ნებით და არა ფანტაზიით ან ვინმეს კარნახით, ან თავის განდიდებისთვის! (ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ!) ის, რაც გადაძხდა, წინასწარ ვიცოდი კიდევ – ღვთის ძალას და ნებას ვერავინ გაექცევა, რაც დაგეგმილი აქვს, იმას მოაწვეს ნებისმიერს!...

და კიდევ...

რაც აქამდე ვწერე, ყველა ნაწერში ღვთისმიერი, ნებისითი თუ უნებლიე, მინიშნებები მომრავლდა, მათ ურთიერთშეჯერებით კი ერთ შედეგამდე მივედი – რაც ადამიანს გონებაში მოუვა, რაც კი გადახდება, რაც შეემთხვევა – ყველაფერი ღვთისმიერია... ნათელი ბნელის გარეშე ნათელი არ იქნებოდა, ან დღე რომ არ ყოფილიყო, ღამეს ღამე არ ერქმეოდა... (ახლა ვიცი ჩაეჭიდებით გამოთქმას, გლახა რომ არ ყოფილიყო, კარგს ფასი არ ექნებოდაო – ეს ადამიანთა (ჭორიკანათა) მოგონილია, მაგრამ მაინც სწორია, თუმცა ესეც უნდა დავამატო – ადამიანს ყოველთვის სხვა ჰგონია დამნაშავე, გზასაცდენილი, ზნედაცემული... ასეთ ანდაზასაც შეგახსენებთ: რაც საკუთარი თვალთ არ დაგინახავთ, ნუ დაიჯერებთ... იქნებ ჩემი თვალები თქვენსაზე მეტად ხედავს, მაგრამ ხანდახან დუმილია ოქრო!... ყურებსაც ნუ ენდობით – იმდენ ჭორს იტევს, ღმერთმა იცის, ჰოდა, ამიტომაც არიან პატარები. კიდევ კარგი, ადამიანს სპილოსთანა ყურები არ აქვს!...).

მინდა გამოვთქვა მოსაზრება. ამას ვერც ვერავინ უარყოფს და ვერც დაამტკიცებს. ვანგა ხომ ამტკიცებდა, ადამიანები დაფრინავენ... იქნებ, რომელიმე პლანეტა დასახლებულია მართლა, რაღაც პერიოდში დედამიწას დაუახლოვდა და ჩამოფრინდნენ კიდევ ისეთი, გამჭვირვალე ლანდისფერი ‘ადამიანები?’ არაფერია გამორიცხული, კოსმოსი, გალაქტიკა ხომ ჯერაც ვერაა გამოკვლეული სრულყოფილად, ამდენად მოულოდნელობებს დიასაც ექნება ადგილი დროდადრო.

უინტერესო ადამიანებს კუჭის პრობლემაზე უხდებათ ფიქრი, დამკვირვებლებს კი ისე ამოხდებათ სული, ვერაფერს გაიგებენ ღვთის უცანურობებიდან... კი, ყველას გვინდა გავიგოთ იქ, ‘ზემოთ’ (თუმცა ასეთი ზემოთა-ქვემოთა არ არსებობს) რა არის, რა ხდება, მაგრამ ჩვენ ღვთის ეზოში დავეძებთ რაღაცას, რაც ნებადაურთველია!...

ახლა გადავხედოთ ახლო თუ შორეულ მომავალს. ესენი, რასაც აღვწერ, ისევეა ნაკარნახევი, როგორც აქამდელი!

მე არც ნოსტრადამუსს ვბაძავ და არც ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, მაგრამ ის, რაც იღუმალმა მოსაუბრემ ნაწყვეტ-

ნაწევრტ ჩამასმინა, მინდა ფურცლებზე დავიტანო... (დმერთმა ქნას, რომ არარეალობა იყოს!..)

2034 წელს მოხდება დედამიწის დამუხრუჭება, რაც მსოფლიოს შეაბარბაცებს, ანუ დაწეებული 2025 წლიდან (ნოსტრადამუსით) კატაკლიზმებს ექნება ადგილი. დედამიწა თავის ორბიტაზე დამუხრუჭდება გალაქტიკური (კოსმოსური) ძლიერი მაგნიტური ველის მოქმედებით, უკიდურეს შემთხვევაში, – შეიძლება შეჩერდეს კიდევ.

შეჩერების მომენტი გამოიწვევს დედამიწისეული შინაგანი ძალების გააქტიურებას, ანუ ადგილი ექნება სიღრმიდან რყევებს. ეს კი ალბათ დამანგრეველი მიწისძვრის მსგავსი იქნება. შეჩერება გამოიწვევს პანიკურ შიშს, რაც ადამიანთა უეცარ და მასობრივ სიკვდილიანობას გამოიწვევს. ვერ ვიტყვი, მსოფლიო განახევრდება-მეთქი, მაგრამ რაღაც ამის მსგავსი, თუ უფრო უარესი არა, – გველოდება. შეჩერების მომენტი ადამიანის ფსიქიკაზე დაფიქსირდება, ანუ ადგილი ექნება ცნობიერების დაბინდვას. ორგანიზმში გამოიწვევს კატასტროფულ ცვლილებებს, შესაძლებელი იქნება, დღეს არსებული განუკურნებელი დაავადებების სრულიად მოსპობა. სრულ ატროფიას განიცდის გონებრივი შესძლებლობები.

დედამიწის დამუხრუჭება კოსმოსში გამოიწვევს არეგ-დარევას. გაიზრდება დედამიწის მაგნიტური ველის მოქმედების დიაპაზონი, რის შედეგადაც დაირღვევა კოსმოსური ბალანსი, ეს კი უკურეაქციით დედამიწაზე მოახდენს ზეგავლენას. ამ წელში შესაძლოა დედამიწამ დაკარგოს თანამგზავრი – მთვარე. დედამიწის მომენტალურად მიზიდულობის ძალის მკვეთრი მერყეობა გზას გაუხსნის მნათობს, თავი დაადწიოს 'ტყვეობას'.

არ ვიცი, ვინ როგორ გაიგებს, ან ვის როგორ ესმის – ერთ დროს (ნოემდე) დედამიწა საპირისპირო მხარეს მოძრაობდა ორბიტაზე, ანუ მზე ამოდიოდა 'დასავლეთიდან'... დაინტერესებული ადამიანები ამას უთუოდ ამოიკითხავენ მეცნიერულ ნაშრომებში...

მზის დასავლეთიდან ამოსვლა ანუ დედამიწის საპირისპირო მხრით ბრუნვა წარღვნის შემდეგ რომ მოსალოდნელია, მოცემულია 'ყურანის' სურა ენლამში. გვ. 149, ჰადისი 158. (განმარტებაში).

რა მოხდება აღნიშნულ წელს?

მოსალოდნელია დედამიწა თავდაპირველ საწყის ბრუნვით მოძრაობას დაუბრუნდეს... პლანეტისთვის სუღერტი იქნება, საიდან გაანათებს მზე...

ადამიანებისთვის კი?

იმ პერიოდამდე, როდესაც შობადობა უნდა შეწყდეს (2080-2085წწ) საკმაოდ დროა და, ადამიანებს, ანუ გადარჩენილ (მსოფლიოს) საშუალება ექნება ცოდვების მონანიებაში გაატაროს დარჩენილი წლები.

მანამ, ვიდრე შობადობა შეწყდება, ქვეყნიერებას მოვევლინებიან უცნაური არსებები. მეცნიერება და მედიცინა უძღური იქნება ყოველგვარი ანომალიის შესწავლის საქმეში. ნურავის შეეპარება ეჭვი. რაც დაეწერე – ეს ასე იქნება. ვინც არ დაიჯერებს, თავად დაამტკიცებს, შორს არაა ის დღეც, თუმცა 2007 წლამდე (შეტვობინება) მოვა დედამიწაზე, რომელსაც ან არ გაამყლანებენ, ან ვერ მიხვდებიან და ეს მოხდება შემოდგომის პირად...

საშიშროება კი ყველა დროისთვის ის იქნება, რაც ყურანში წერია: ხე-მცენარეები აყვავდება, ნაყოფს კი არ მოიცემა, ან მოსაწვეად გამზადებული მოსავალი ბუნებრივი მოვლენების გამო ვეღარ დაბინავდება და ხალხი მშვიერი დარჩება ან დაიხოცებაო.

(ბლექფია, ამ საუკუნეში დედამიწის მოსახლეობა თითქოს რამდენიმე მილიარდით გაიზრდებაო...). ჩემო კარგებო, ახლა ჩემს ნათქვამს უნდა შევეწინააღმდეგო – როგორც ვამჩნევ, ჩინელები ისე გამრავლდებიან ყველა ქვეყანაში, ტევა აღარ იქნება და... აი, ის მილიარდებიც, რომელთა მიღწევის პრაქტიკა ჩინელებს აქვთ უკვე... მამაჩემმა ქითაბში ამოიკითხა: ქვეყნიერებას ევფუჯ-მევფუჯი დაეპატრონებაო... ეს ევფუჯ-მევფუჯი (ნაყარ-ნუყარი თითქოს უშნო, პატარა ტანის და სხვა... ასეთებიც არიან სინამდვილეში) ჩინელებია და სხვა არავინ!..

რა მოხდება შემდეგ?

დამუხრუჭების შემდეგ, რომელიც არავინ იცის რა დროით გაგრძელდება (ეს ღმერთზეა დამოკიდებული), ჩამოვარდება უცვარი სიცივე, რომელიც პანიკურ შიშს დაემატება და თავისთავად ადამიანთა „გაყინვას“ ექნება ადგილი, ხოლო როცა კვლავ გააგრძელდეს დედამიწა ორბიტაზე სვლას, უცაბედი სინქარის აღება ინერციადაკარგული დედამიწისათვის უდიდესი კატაკლიზმებით გამოიხატება. კერძოდ, ადგილი ექნება არნახულ ცუნამსა თუ ტაიფუნს, – დაზარალებიან (ვაი და უი!..) ზღვისპირა და მაღალმთებში მოსახლე ადამიანები. წყალი გადარეცხავს დაბლობებში ყველაფერს, მოხდება აფრიკის კონტინენტის დაჭაობება, მთიანი მასივების ჩამოშლა, რამდენიმე ქვეყნის დაძირვა – კატაკლიზმები საყრდნს გამოაცლიან ქვეყნებს. ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი წყალქვეშ

აღმოჩნდება. წამოიწვევს მთლიანი ევროპა და აზიის კონტინენტი. შესაძლოა დიდი მდინარეების ნაწილობრივ დაკარგვა, გააქტიურდებიან ვულკანები. ყველაფერ ამათ გამოიწვევს დედამიწის ‘ადგილიდან მოწყვეტა’, ანუ სიჩქარის აღება. ყველაზე მეტად ეს მომენტია შემაშფოთებელი, (ვისთვის სულერთია და ვისთვის არა, თუმცა რაღა აზრი ექნება!), ან რომელია დამამშვიდებელი!..

ცნობილია, თუ რას განიცდიან კოსმონავტები სტარტის დროს, ვიდრე კოსმოსში ააღწევდნენ...

არც მეტი, არც ნაკლები – ასე იქნება დედამიწის ხელახალი სიჩქარის აღების მომენტში და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს – წელიწადს 365 დღე აღარ ექნება – ზედმეტად აჩქარებული დედამიწა ამ დღეებს სწრაფად გალევს და ასე იქნება მანამ, სანამ ღერძის ირგვლივ ზესწრაფი ბრუნვისათვის მოემზადება, ეს კი აპოკალიფსის პრელუდია იქნება...

მზის ირგვლივ სწრაფად ბრუნვა გამოიწვევს მზესთან მიახლოებას, ანუ დედამიწისეული ორბიტული მრუდის კიდევ გამრუდებას, ვინაიდან მზეს მიახლოებული დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივაც აჩქარებით დაიწყებს ტრიალს. ყველაფერი ესენი მეტყველებს პლანეტის გადახურებაზე. ნოეს დროინდელი წარდგნა მოსალოდნელთან შედარებით გაზაფხულზე მდინარის უცვარ აღიდებას შეიძლება შევადაროთ. გადახურება ანუ სიცხე წარდგნის ერთ-ერთ ელემენტში – ცეცხლში გაიგივდება, დაიწვება დედამიწაზე ყველაფერი, თუ რა თქმა უნდა, მთლიანად ფერფლად არ იქცა. არსებობს ჰიპოთეზა (და იქნებ სინამდვილეცაა...), რაიმე დაბრკოლების მიზეზით დედამიწა რომ შეჩერდეს, ის უზარმაზარი ენერგია, რაც მას გააჩნია, იქცევა სითბოდ, გადაახურებს მას, იქცევა გავარვარებული გაზების უზარმაზარ ღრუბლად. ამ დროს გაიზრდება მზის მიზიდულობის ძალაც, დედამიწა ჯერ ნელა შემდეგ კი წამში 600 კილომეტრი სიჩქარით დავარდება მზეზე და იქცევა ფერფლად.

შიშის სინდრომი მთლიანად უნდა გამოირიცხოს – იგი ნულის ტოლფასი იქნება, ვინაიდან ღვთის სამჯავროს წინაშე ყველა და ყველაფერი უძლურია. აკი, სულ ამას ქადაგებს მსოფლიოს ყველა რელიგიური მოძღვრება – გეშინოდეთ, ილოცეთ და მოინანიეთო. (მოსანანიებელი?.. თუ დავფიქრდებით, ყველას ‘მოგვეძვეება’...).

დროა, ადამიანებმა ერთმანეთს მოეუფროთხილდეთ და ერთად აღვაკლინოთ სავედრებელ-მოსანანიებელი, ვიდრე გვიან არ არის,

თორემ ცალფეხსამარეშიჩადგმული ადამიანი აღარაფერს აკეთებს მეტს – ისედაც ემუდარება ღმერთს!

უნდა იფიქრო გაფუჭებამდე, მერე ფიქრს და განსჯას აზრი აღარ აქვს!..

რატომ მაინცდამაინც ავის წინასწარმეტყველი ვარ? სულაც არაა ასე...

ეს ღვთის ნებაა...

ბევრჯერ გაეუღვიძებოვარ შუაღამისას რაღაც ძალას (ეს არაა ეჭვის მომგვრელი) და თითქოს რადიოდან ჩამესმოდა, აიღე საწერი და წერეთ... ერთხანს ვერ ვხვდებოდი, მერე კი ვწერდი – მოთხრობებს, ლექსებს, ბრძნულ აზრებს და ყველა ამათში დავინახე ის აზრი, რისთვისაც მალვობდნენ და მიბრძანებდნენ.

ეს განმეორდა ცხადშიც და ბოლოს იყო პარადოქსული მომენტიც, რის შემდეგაც დავიწყე ფურცლების შევსება. არ მინდა იფიქრონ თითქოს ბოროტი სული ვიყო. რაც მიკარნახეს, ამის დამალვა არც მიცდია, ვინაიდან ის რაღაც ძალა მოსვენებას არ მაძლევდა... ნურც ამის გაცხადებას შეხედავენ პანიკური შიშით – ვერაფერს დაგვეხმარება, თანაც მალე მიგვახვედრებს მამაზეციერი!..

კიდევ ერთი რამ – ჩამინერგეს თავში კოღური ციფრი “9“. ეს მინიშნება კი ასეთია: ასე თუ ისე ეს ციფრი უბედურებათა მაუწყებელია. ამის შესახებ სტატია იყო მოთავსებული გაზეთ ‘იღუმალებათა სამყაროში“, და აქვეც შევიტან, ხოლო მინიშნების არსს ასე გავამარტივებ: $2034=2+0+3+4=9$. ისევე როგორც ზემოთ ნახსენები რიცხვები: 2025, 2007. ამათი ჯვამი სათითაოდ 9-იანია, ხოლო ეს ციფრი თუ უბედურების მაუწყებელია მართლა, ამას ღმერთი სხვებსაც მიახვედრებს ალბათ... ისე კი, მაგალითები ძალიან ბევრია!..

მომავალში იქნებ უკეთეს წამინერგავენ“, თუმცა ყველა პირობით ეს არ მოხდება – აპოკალიფსისკენ, თუმცა სწრაფად არა, მაგრამ მაინც მივექანებით, ამას ყველა გრძნობს... ვერც შიში გვიხსნის და ვერც გამბედაობა.

ეგპ, როდის გვიქადაგა რუსთაველმა ეს... ისიც გრძნობდა, რომ დღევანდელი უკუღმართობები აუცილებლად შეაწუხებდა სამყაროს, შეაჩოჩოლებდა ადამიანთა ცნობიერებას.

ბიბლიასა და ‘ვეფხისტყაოსანში“ ამოუწურავი სიბრძნეა, აუხსნელ-გაუშიფრავი, რომელიც დღევანდლამდე პერიოდს და ამის

იქითასაც მოიცავს... ასევეა ნოსტრადამუსის ცენტურებიც, თუმცა იმათ ხედებიან და შიფრავენ მაშინ, რომელიც უკვე მომხდარია...

ისე კი, წინასწარ ცოდნა ვერაფერი ბედენაა – მაინც ვერაფერს ვიზამთ ღვთის გარეშე.

ღმერთმა დაგვიფაროს!..

ზემოთ შევეხე მოხეტიალე სულთა გამოცხადებას, მოვლენას, ხან ლანდის სახით (ყარაყურა), ხანაც განსხეულებულად, თუმცა ჩვენ ხომ არ ვიცით მომენტში მავანი ვინაა. პუბლიკაციებში მსგავსი ფაქტები მრვალადაა... რამდენიმე ხნის წინ ასეთი ამბავიც დაირხა: სასაფლაოზე შესანდობრისთვის შეყრილ ჭირისუფლებს ჭამის დროს ვიღაც სწვევიათ, თუმცა მისი ვერც მოსვლა და ვერც წასვლა აღუნუსხავთ. ასეთი ამბები უფრო ხშირად სასულიერო პირებთან ახლოს და მათთან ფიზიკური სიახლოვითაც გამოიხატებოდა. მაგალითების მოყვანას არ დავიწყებ, ძალიან ბევრი დაწერილა ამისთანები... არ არსებობს (თუმცა გამონაკლისებიც ჰყავს ღმერთს) უცოდველი სასულიერო პირები. მჯერა, რომ მათი უმეტესობა რაღაც ცოდვების შემდეგ, თითქოს მონანიების მიზნით, სამლოცველოებს აფარებს თავს... მოთხრობებში აღწერილი მაქვს და აქაც გავიმეორებ – სამლოცველოში უცოდველმა უნდა შეაბიჯო და სხვათა ცოდვების მონანიება უნდა ეხვეწო მამაზეციერს, თორემ ცოდვიანი თუ შეხვედი და ეხვეწე, რატომ გგონია, რომ გამჩენი შენს ცოდვებს დაიტოვებს?

ახლა ერთი ასეთიც: თუ გინდა, რომ განსხვავებული რწმენის ადამიანი შენს რწმენაზე გადმოიყვანო, ეს უნდა მიაღწიო უაღრესად პატივსაცემი აგიტაციით და არა ჯიქური ქადაგებით. იყო ასეთი შემთხვევა: მე და ერთი პროფესორი მივეახლეთ სასულიერო პირს. როცა ჩემი მისალმების ჯერი დადგა, ჯვარი გამომიწოდა სამთხვევად. თვალებით უარი ვაგრძნობინე და იცით რა მითხრა?... ვერ მოგატყუეო!.. ამის შემდეგ ჩემგან საკადრისი მიიღო! სხვისგან მოვისმინე, მაგ სასულიერო პირმა მითხრა, სადაც ფუღია, იქ უნდა მოყუნდეო!.. ამის შემდეგ გინდ გააკეთეთ კომენტარი, გინდ არა, მთავარი კი აი, რა მინდოდა მეთქვა – ასეთი ადამიანები ცოდვას ჩაიდენენ, მაშ რას იზამენ და ის მოხეტიალე სულებიც, ამათგან განაწყენებული, თუ რაღაც მიზეზით უარყოფილები, სიკვდილის შემდეგ მოხეტიალე სულებად ბრუნდებიან, ზოგი განსხეულებულიც და შურს ძიობენ...

მერე კი იწყება კვლევა-ძიება და, თუ ‘დაბალი ღობე’ ნახეს, აუცილებლად, უმართებულოდ დასჯიან..

დავუბრუნდები ცხრიანის საკრალურობის ახსნა-განმარტებას. ქვეყნად ბევრი ანომალური მოვლენა ხდება. ჩემშიც ბევრი უცნაურობა მოხდა, რაც აღვწერე უკვე, თუმცა არა ყველაფერი და ახლა 9-იანთან დაკავშირებით ჩემი ვერსიაც უნდა დავამატო!

როდის უნდა ველოდოთ აპოკალიფსს ანუ ცხრიანში ჩაშიფრული ბედისწერა

პლანეტის მოსახლეობის წინაშე ბევრჯერ დამდგარა ყოფნა-არყოფნის მომენტი. ცნება – აღსასრული მრავალჯერ შეხებია გონიერთა ფსიქიკას, მაგრამ მისი ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ვერაინ შეძლო. საკითხი ყოველთვის დიად რჩება...

რამდენიმე წლის უკან ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე სტატია პილინდრომის (ბერძ. ‘მოვრბივარ უკან’) ვარიანტზე, რომელიც გვაუწყებდა, რომ 2002 წლის 20 თებერვლის (02-თვე), 20 საათსა და 02 წუთზე (?) უნდა დაწყებულიყო აღსასრულის საწყისი, ანუ აქედან იწყებოდა პალინდრომი.

ამ წელს დედამიწას ექვსი მილიონი მილის (ანუ დაახლოებით 12 მილიონი კილომეტრი?..) დაშორებით ჩაუქროლა ასტეროიდმა, რომელიც აშკარად და დიდხანს ჩანდა ხილულ ცაზე. მეცნიერები რატომღაც (ალბათ შიშის გამო) არ გამოეხმაურენ ამ ფაქტს, რომ პანიკა არ გამოეწვიათ? ასტეროიდის ხელოვნურად აცილების არავითარი შანსი არ იყო, ამიტომ პანიკას დუმილი არჩიეს...

ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციფრები მატერიალური სამყაროსგან დამოუკიდებლად არსებობენ, მაგრამ არც უარყოფდა აზრს, რომ რიცხვებში მუდავნდება ნივთთა არსება, სამყაროს ორგანიზაცია, პარმონია, რომ სამყაროს რიცხვები მართავენ. აქედან გამომდინარე, მათემატიკური გამოთვლებიც უსასრულოა.

ვიდრე ცივილიზაცია განვითარების მაქსიმალურ დონეს არ მიაღწევს, ალბათობა ყოველთვის იქნება.

მაიას ცივილიზაციის ხალხთა გათვლით, მსოფლიოს აღსასრული 2012 წლის 21 დეკემბერზეა (?) გათვლილი. მათი კალენდარი ამ

წლით მთავრდება (რა იცოდნენ, ამ წელს რომ არჩევნები ჩატარდებოდა საქართველოში და რა ეგონათ – ქვეყნიერების დაღუპვა ჩვენგან დაიწყებოდა?.. (2016წ). ალბათობის თეორიის მიხედვით, შესაძლოა ეს მონაცემიც მცდარი იყოს, მსგავსად ორი ათას ორისა, ვინაიდან საკითხი უფრო სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვს: რომ სცოდნოდათ მაიას ტომის ხალხს მათი მიწისპირისგან აღგვის შესახებ, აუცილებლად აღნუსხავდნენ და ზუსტ ცნობებს დატოვებდნენ. ვინაიდან ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება მათი გაქრობის ამბები, არც ეს თარიღია უტყუარი და სარწმუნო.

2002 წელს უნდა დამდგარიყო აპოკალიფსი... მსგავსი თარიღი განმეორდება 2112 წლის 21 დეკემბრის (მე-12 თვე) 21 საათსა და 12 წუთზე, ანუ 2112 წლის ბოლოს. ეს არა მარტო ციფრებია, არამედ აღსასრულის მოახლოების ნიშანიც. ამ ციფრთა ჯამი ასეთია: $2+1+1+2=6$, $2+1+1+2=6$, $2+1+1+2=6$. ანუ 666... ეს ნიშნული, გაგრძელებული ვერსიით, “შეცვის რიცხვია“ ანუ ანტიქრისტეს კოდური ციფრი, იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით: ანტიქრისტეს სახელი “შეცვის ნიშნის“ ქვეშ იმალება!..

მოდით, გავხსნათ საიდუმლო: ყველაფერი ღმერთს ემორჩილება: „ღაა ილააჰე ილელელოოჰ“ თერამეტი ასოა, სამი ექვსიანის ჯამი, ხოლო $18=1+8=9$ (ცხრიანი დავისხომოთ!)

პითაგორა თვლიდა, რომ 6-იანი სრულყოფილი ციფრია, რომელიც იყოფა 1-ზე, 2-ზე და 3-ზე. მომდევნო სრულყოფილი ციფრია 28, თავისი ღერძის ირგვლივ მთავარის მოქცევის სრული ფაზა, შემდეგ 496 და ა.შ. (დაიხსოვით – $28=2+8= 10$, $496=4+9+6= 19=1+9=10$. ათიანი...)

მეცნიერთა მათემატიკური გაანგარიშებები, პროგნოზები და აპოკალიფსური წინასწარმეტყველებები 2112 წელს უახლოვდება! ასეა კი?..

მოსწავლეობისას ლექტორმა, ვისი ვინაობაც აღარ მახსოვს, ასტრონომიის ლექციის ჩატარებისას ასეთი რამ გაგვიმჟღავნა: 2125 წელს დედამიწას მოიტაცებს მზე და ფერფლად აქცევსო. (არ ვიცი სად ამოიკითხა). მსგავსი ამბავი მამცნო მამაჩემმაც, სკოლის დამთავრებიდან შვიდი წლის შემდეგ – 1971 წელს, მაგრამ არ ვიცი რომელ ისტორიაში ამოიკითხა (არადა, ჰქონდა ამისთანა წიგნი, რომელიც განძეულის ერთად სადღაც ჩაფლდა ტყეში (მისი ბიძაშვილი აბეზღებდა ორგანოებში), შემდეგ სისხლი ჩაექცა ტვინში და ვერც დაილაპარაკა, ვეღარც გვანიშნა.

– შვილო, დუნის დაქცევამდე (ე.ი. ქვეყნის აღსასრულამდე) 153 წელია დარჩენილიო. შევაჯერე ლექტორისა და მამაჩემის ნათქვამი და დაემთხვა – $1971+153=2124$ წელს.

რჩება ასახსნელი საიდუმლო, რომელსაც მსჯელობისას შევეცდები... თუ ვიმსჯელებთ იმ თვალსაზრისით, რომ მათემატიკური გამოთვლები მიმდინარეობს 1-დან 10-ის ჩათვლით, მაშინ დასკვნა აქედან: თუ 1-იანი ყოველგვარი დასაწყისის გასაღებია, მაშინ 10-იანი არის დასარული ციფრებისა და ყველაფრისა, ვინაიდან ანგარიშში 9-იანის შემდეგ მოდის.

ერთიანი საწყისია სიცოცხლისა (მზის სიმბოლოა) და ყველა ციფრისა. მთელი ხილული სამყაროს ათვლის წერტილი ერთიანშია (ამომავალი მზე) მოქცეული. მასში ყველაფერია გაერთიანებული – აქტიურობა და პასიურობა, ბოროტება და სიკეთე, ნათელი და წყვდიადი, სიცოცხლე და სიკვდილი, მამაკაცი და ქალი... ერთიანი ყველაფრის საწყისია.

ვითარცა ნათელი – ჩრდილის გარეშე, ხმა – ექოს გარეშე, ისეც სამყარო ხილულ-უხილავით, არ არსებობს ერთიანის გარეშე.

რიცხვები მართავენ ადამიანთა ბედს, ამიტომ მათ ყოფენ ორ ჯგუფად, ბედნიერებისა და უბედურების მომტანად, კეთილად და ბოროტად. ამიტომ, რაიმეს გასაკეთებლად ციფრთა ჯამს იყენებენ. დაგუბრუნდეთ 2125-ს.

ციფრობრივი ჯამი $2+1+2+5=10$, ხოლო ზემოთნახსენები 2124-ის ციფრობრივი ჯამი $2+1+2+4=9$ -ს... პლანეტის აღსასრულის წელი თუ მართლაც 2125-ია, მაშინ 2124, რომლის ციფრობრივი ჯამი 9-იანია, უბედურების მაუწყებელი, წინამორბედი ყოფილა.

რაც შეეხება ციფრ 9-ს.

გავრცელებული ვერსიით, ყოველგვარი უბედურების საწყისი ციფრი 9-იანია... მაგანნი ამ ციფრს საკრალურად მიიჩნევენ, მაგრამ სხვათა აზრით საწინააღმდეგო შედეგი გვაქვს.

რამდენიმე მაგალითი, რომ ეს ციფრი ასე თუ ისე უბედურებათა ბუდეა:

1. ბერია (მის ავ ნასაქმარებს არ ჩამოვთვლი) დაბადებული იყო 1899 წელს. ციფრობრივი ჯამი: $1+8+9+9=27=2+7=9$. ცხრიანის არსებობის გამო იგი ბარაბად მონათლეს... უფრო მეტიც – გაუგონარი ამბებიც მიაწერეს.

2. მსოფლიო ფიგურა – სტალინი. მიიჩნეოდნენ, რომ იგი დაბადებული იყო 1879 წელს. მიკვლეული საეკლესიო ჩანაწერით

იგი 1878 წელსაა დაბადებული. თითქოსდა, რადგანაც ცხრიანები ურევია დაბადების თარიღში, ამაზრზენი ამბები მიაწერეს, რაც უმართებულოა. $1+8+7+9=25=2+5=7$, შესაბამისად, მეორე ციფრთა ჯამი ტოლია 6-ის. თუ დავეყრდნობით პითაგორას, 6-იანი ბედნიერი ციფრია... (სტალინმა ბედნიერება მოუტანა მსოფლიოს)...

3. გამსახურდია დაბადებული იყო 1939 წელს. აქაც ორი ცხრიანია და თითქოს უბედურებები მოაწია საქართველოსო.

ციფრთა ჯამი: $1+9+3+9=22=2+2=4$ -ს. ხოლო ოთხიანი უბედურ ციფრად არ ითვლება.

(აი, შევარდნაძემ კი მოაწია მსოფლიოს უბედურება: მსოფლიოს კომუნისტებს საბჭოთა კავშირის დაშლით იმედები მოუსპო... არც ერთ დამპყრობელს არსად ისეთი ზიანი არ მოუტანია, რამდენიც შევარდნაძის ქმედებამ გამოიწვია... არეულია მსოფლიო და არც არასდროს დაეწყობა... დუღს, თუხთუხებს და მსოფლიო ხალხები, ქვეყნები ზიანდებიან და ყოველივე ამერიკის „დახმარებით“ ხდება!..)

ერთი განმარტება 9-იანზე:

ყოველგვარი ციფრი ან რიცხვი გამრავლებული 9-ზე, ციფრთა ჯამში ყოველთვის 9-ს იძლევა. რაღაც კანონზომიერებიდან გამომდინარე, შესაძლოა სწორედ 9-იანზეა აგებული სამყარო ყველა ასპექტით, ბედნიერება-უბედურებით, სტიქიებითა და კატაკლიზმებით.

ცხრიანის სატანისეულობა (თუ საკრალურობა?) ნაწილობრივ უღერს შემდეგ სიტყვებში: ცხრათვალა მზე, ცხრა მთას იქით, ცხრა ძმა, ცხრაკარა, ცხრაუღელი, მეცხრე ცა, ცხრა ცთომილი, ცხრაკლიტული, ცხრა წყარო (ერთგან ცხრაძთვარიას ეძახიან), ცხრაჭკუა და რამდენიც გნებავთ სხვა...

თუ 2125-ს მივიუღებთ იმ კუთხით, რომ ციფრთა ჯამი ტოლია 10-ის და ერთიანი ციფრთა დასაწყისია, 10-იანი კი დაბოლოება, მაშინ შედარებათა შემდეგ ათიანი ქვეყნის დასასრულად უნდა მივიჩნიოთ!.

თუ ყველა წინამორბედი ციფრული ჯამები და მოვლენათა რეალური (უბედური) მსვლელობა გოლგოთას გვაახლოებს, ე.ი. 2125 წლამდე ყველა წინამორბედი ახსნა 9-იანს უკავშირდება, ამდენად, სავსებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღსასრული 2125 წელია და არა, როგორც თვლიდნენ 1998-2002 წლები, არც სამი ექვსიანი – 2112 წელი. თუმცა ნავარაუდვეი სამი ექვსიანიც ციფრობრივ ჯამში ისევ და ისევ 9-იანია.

ახლა საყოველთაოდ გავრცელებული ვერსია, ანტიქრისტეს კოდი -666, პალინდრომული ვარიანტის 2002 წელი უსაფუძვლო გამოდგა (ასე აგვიცილებოდეს ყოველივე...). მეორე მოსალოდნელი გათვლილია 2112 წელზე. სწორედ ამ წელზე მოდის აბუელითი 666. ეს თითქოს ანტიქრისტეს კოდია...

განა მართლაც ასეა?... ეს ჯერჯერობით!..

რაოდენ მისტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს და სკეპტიკურად გამოიყურებოდეს, უნდა გამოვთქვა მოსაზრება ჩემი მესამე გამოცხადებიდან გამომდინარე, რომელიც არ სცილდება მეხსიერებას და კავშირშია გარესამყაროსთან.

ზემოთ მქონდა საუბარი გამოცხადების შესახებ, რომელიც მინიშნებაა მომავლის მდგომარეობაზე და თუ მეცნიერთა გამოთვლებს, წინასწარმეტყველებებს და ამ გამოცხადების არსს შევაჯერებთ, დედამიწას ცეცხლი (მზე) დასწავს და ფერფლად აქცევს, ან შესაძლოა, მხოლოდ ცოცხალი სამყარო განადგურდეს.

სამი ძირითადი გამოცხადების შემდეგ ხილვები, როგორც აღვნიშნე, ბევრჯერ მქონდა... ბოლო მოვლენებით ვიცოდი შევარდნადისა და აბაშიძის ასპარეზიდან გასვლის იძულებითი მეთოდების შესახებ.

ამის აცილება არ შეიძლებოდა... (მათ შესაძლოა ღვთის სასჯელი ელოდებათ)...

იქნებ გაგიჩნდეთ კითხვა – თუ ამდენი ვიცი, რატომ ვერ ვსაზღვრავ, თუ რა ელოდებათ მათ... მე იქნებ შევცდებ, ღვთის საქმეა ეს და იგია უცდომელი!..

...ამერიკის სოფელ ფატიმაში (ეს სახელი შემთხვევითი არ არის) მოვლენილ ღვთის მოციქულთა საცნაურობანი საკვირველებაა. ღვთის წარმოგზავნილთა გამოჩენა თუ გამოცხადება ქვეყნიერების აღსასრულზე მიგვანიშნებს... მოწმე ლუსიას აღწერილობებს თუ დაეუჯერებთ, ქვეყნიერების არსებობას ცეცხლი დაამთავრებს, ანუ მოსრავს ყოველივეს. ბიბლიაშიც წერია – „ანგელოზების მახვილის დაკვრით მთელ სამყაროს ცეცხლი ედება“.

რადგან ეს ღვთის ნებაა, სხვა პლანეტაზე სიცოცხლის ძებნა ამაოა, ვინაიდან ამგვარი ნაბიჯები გამჩენელის საქმეებში შერევის ნიშნავს, რაც დაუშვებელია (თუ განადგურება გადაწყვიტა ღმერთმა, რა შეუშლის ხელს ან რომელ გადარჩენაზე ყურადღების გადატანა?!)

ნოსტრადამუსის მიხედვით 2025 წელს დედამიწას ელოდება საშიშროება. ცენტურიებში იგი ახსენებს ცრიატ ვარსკვლავს. ეს

სხვა არაფერია, თუ არა გიგანტური ასტეროიდი, რომელიც ამ წელში დედამიწას მიუახლოვდება! კოსმოენერგეტიკოს – ნატო ობოლაშვილ-ხარებავას წინასწარმეტყველებას თუ დავეყრდნობით, რომელიც 2028 წლისთვის ასტეროიდის დედამიწაზე დაჯახებას ვარაუდობს, იქნებ ესაა ის ცრიატი ვარსკვლავი? მაშინ გამოდის, რომ 2025 წლიდან 2028 წლამდე დედამიწა ჯერ ბურუსში (ცრიატი...) გაეხვევა და შემდეგ ვინ იცის, რა მოხდება. ასე თუ ისე, მაინც ჯამური ცხრიანია უბედურების მაუწყებელი $2+0+2+5=9$ -ს. თუ აღნიშნულ წლებში დედამიწა კოსმოსში გაურკვეველი მიმართულებით არ გაფრინდა, (ნოსტრადამუსმა: 2023 წელში დედამიწა ორბიტიდან გავაო...), მაშინ აპოკალიფსს (თუ გავცდით 2034 წელს) 2125 წელს უნდა ველოდოთ.

თუ ავითვლით 2005 წლიდან, 200 წლის შემდეგ (ვანგათი) დედამიწაზე ხელმეორედ წარმოიშობა სიცოცხლე (200 წლის შემდეგ), იქნება ერთი სარწმუნოება, სრული ჰარმონია და იქნებ ღმერთიც ხილული იქნეს... (არც არაფერია გამორიცხული).

ვანგას წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე, 2125 წლიდან მთელი 70-75 წელია საჭირო დედამიწაზე სიცოცხლის აღსადგენად, რაც სავსებით შესაძლებლად ჩასათვლეელია და თუ პალინდრომის არსს ჩავწვდებით, პლანეტაზე ისევ და ისევ (ექსპერიმენტის სახით), პირველყოფილი ცხოვრება დაისადგურებს!...

იქნებ სწორედ 70-75 წელი სჭირდება არსთაგამრიგეს, სამთხევში ან ჯოჯოხეთში ხალხის (სულების) გადასანაწილებლად?!

(აკი დედამიწა ფერფლად იქცევაო...)

ახლა გავიხსენოთ ‘ნოეს კიდობანი’.

ბუნებაში არსებობს სამი სტიქია: ცეცხლი, წყალი და ჰაერი – (ქარი, ტორნადო, გრიგალი, ქარაშოტი, იზაბელა და სხვა). არასრული მონაცემებით (7600 წლის წინათ) პირველი განადგურება სუხსიანმა, ყველაფრის წამლეკავმა ქარმა მოიტანა, რომლის შემდეგაც ყინულმა დაფარა დედამიწა (იმ გამყინვარების ნარჩენები დღესაცაა...)

მეორე წარღვნა ეკუთვნოდა წყალს. ბიბლიური თქმულებით, ეს ეპოქა ნოეზე (ნუხ-ფეილამბერი) იყო გათვლილი. ქვეყნიერების აღსასრული რიგით მესამე სტიქიაზე – ცეცხლზე მოდის, რომელიც ალბათ გარდაუვალი იქნება და თანაც პლანეტისთვის ბოლო!

მეცნიერთა გათვლებით, გლობალური დათბობა დაწყებულია და თუ შინაგანი ‘წვაც’ დაემატა ზედაპირულს (კოსმოსურს). დედამიწის ფერფლად ქცევაც მოსალოდნელია (დათბობის შედეგად

ციმბირში (ოდესლაც ზღვა იყო ალბათ) გაყინული თევზი გაცოცხლდაო, მამონტი გუშინდელი დაღუპულივით საჭმელმოუნებელი იპოვესო...)

...ადამიანებმა არ იცოდნენ თუ რას უქადდა ცეცხლი, თორემ არც მის გამოყენებას შეეცდებოდნენ. რომ სცოდნოდათ, ერთ დღეს ჯოჯოხეთის კერძად იქცოდნენ, ცეცხლს საერთოდ არ გაეკარებოდნენ, არადა, კაცობრიობამ ცეცხლის გამოყენებით რა დონეს მიაღწია?... იგივე ცეცხლია მაინც კაცობრიობის მტერი – დონე აღარ განირჩევა...

ახლა რაც შეეხება ორი სტიქიის ერთად ყოფნას. ცეცხლი და წყალი ერთად ვერასოდეს მოთავსდებიან. მათი ჰარმონიულობა არაფრით არ შეიძლება. ჰოდა, რადგანაც 666-ს სატანის რიცხვად მიიჩნევენ და მესამე აღსასრულიც ცეცხლს უკავშირდება, ამიტომ ზემოთქმულიდან გამომდინარე – ცეცხლი იგივე სატანაა და 666-ც ცეცხლის ნიშანია და სხვა არაფერი...

მაშ, ანტიქრისტეს კოდი – 666.

თუ დავიყვანთ ერთნიშნა ციფრზე (რადგან სამყარო 1-დან 0-ის ჩათვლით ციფრებსა აგებული), მაშინ $6+6+6=18=1+8=9$.

ჩანს, რომ უბედურებათა ციფრული კოდი ისევ და ისევ 9-იანია. მაშ 2124 წელი დასასრულის (სავარაუდოდ 2125) წინა წელი ხომ ციფრულ 9-ს იძლევა, გამოდის, რომ ანტიქრისტეს კოდური ციფრი არა 666-ია, არამედ 9-იანშია განთავსებული, ხოლო თუ ყველა უბედურებები მართლაცდა 9-იანს უკავშირდება, მაშ ესეც სარწმუნოა, ვინაიდან ყოველგვარი ნავარაუდევო სატანისეულ 9-იანზეა გადაჯაჭვული.

საძებარი კოდი – 666

თუ ციფრულ ჯამს დავეყრდნობით, 6-იანი მოდის შემდეგ წლებზე – 2004-ზე, 2013-ზე და 2022-ზე და ა.შ. აქვე შევნიშნე, რომ ყოველი მომდევნო რიცხვი ციფრულ 6-იანი ჯამით, მოდის 9-იანი ინტერვალით. 2004-დან 2013-მდე 9 წელია და ა.შ.

ვინაიდან 2025 წელს (2023...) მოსალოდნელია დედამიწის ორბიტიდან გასვლა, ფაქტია კატაკლიზმებს უფრო ადრე ექნებათ ადგილი.

მაშ 2022 წელი?

ეს მეორე ექვსიანია 2004 (2000-ის შემდეგ...) 2013 ეს კი ნიშნავს, რომ აპოკალიფსის საწყისიც ეს თარიღი იქნება (საერთოდ ყველა ნიშნით, დაწყებულია უკვე!..)

მესამე ექვსიანი მოდის აღსასრულის წინა პერიოდზე 2112–2121 წელზე. თუ ქვეყნიერების განადგურებამდე რამდენიმე წელს კატაკლიზმები იმპინვარებს, არცაა გასაკვირი, თუმცა მანამდე, ვიდრე ქვეყანა დაიქცეოდეს, შობადობა შეწყდება (40 წლით ადრე...), ანუ $2125 - 40 = 2085$ წელს... ესეც უბედურება... საიდან მოიტანე?! ვინ თქვა?

ჩამოვწერთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი:

1. $2022 = 2+0+2+2=6$ 2031; 2040..
2. $2085=2+0+8+5=15=1+5=6$ 2094
3. $2112=2+1+1+2=6$ 2103
4. $2121=2+1+2+1=6$ 2121, 2130...

თავი მოიყარა ოთხმა ექვსიანმა, თუმცა დედამიწის აღსასრულს 6666 უფრო გვაახლოვებს.

მუსლიმანურ სამყაროში ასეა – 1400-სს გაეცდები, 1500-სს ვერ მივადწევო... 2025 წელი ჰიჯრის 1445-ს უდრის. 1500-მდე 55 წელია 2025 წლიდან ანუ ეს შობადობის შეწყვეტას – 2085 წელს უახლოვდება?!

თუ შობადობა შეწყდება, ეს თავისი არსით უკვე ქვეყნის აღსასრულის მიმანიშნებელია (დუნიის დაქცევამდე 40 წლით ადრე შეწყდება შობადობა, სებმა (ჩვილმა, ყრმა ბავშვებმა) ანუ ორმოცს სანამ მიადწევენ, არ უნდა უყურონ აპოკალიფსსო!..)?!

1830-იან წლებში მოღვაწეობდა იღუმენი, წმინდა კალინიკე.

მისი გამოცხადებიდან გამომდინარე, ქვეყნიერების აღსასრული ადამიდან 7500 წლის შემდეგ მოხდება. ადმიდან დღემდე გასულია 6831 წელი, დაეუმატოთ დარჩენილი 120-ც (2005-დან 2125-მდე), იქნება 6951 წელი.

თუ ვერწმუნებით წმინდა კალინიკეს, მაშინ აღსასრული ნამდვილად მოახლოებულია. ამუამად ქვეყნიერების დასაბამიდან (?) 7513 წელია (2005). 7500 გადავლახეთ და წარღვნას, აღსასრულს ვუახლოვდებით ყოველდღე, თუმცა ადამიდან 7500 ძალიან შორსაა... ცდომილებები ყველა ანგარიშშია, მაგრამ თუ დავეყრდნობით დღემდე ფიქსირებულ, ზემოთ ჩამოთვლილ მიახლოებით წლებს, 6666-იც სარწმუნოა?! საეჭვო და არადამაჯერებელი მსჯელობაა ესეც.

ექვსიანი წმინდა ციფრად ითვლება, ვინაიდან ღმერთმა ქვეყნიერება შექმნა მეექვსე დღის დასასრულს. მაშ, რატომ მიეწერება ქვეყნის აღსასრული ანტიქრისტეს? თუ 666-ზეა საუბარი, მოდის არა პიროვნებაზე, ან განსაკუთრებით რომელიმე წელზე, არამედ

ეტაპობრივად საშიშროებად პერიოდებზე. ხოლო პითაგორასეული 6-იანის შეფასებიდან გამომდინარე, ეს ციფრი უბედურების გამომწვევად არ უნდა მივიჩნიოთ! რჩება ისევ 9-იანი...

დავბრუნდეთ ისევ წარსულში...

წინასწარმეტყველება (არაბული ისტორიით), რომ ქვეყნის დამაქცევარი (არაბ. დეჟჯალი), იგივე ანტიქრისტე – 666) შამიდან უნდა გამოვიდესო. ისტორიიდან ცნობილია უძველესი ცივილიზაციის აყვავების ხენიგში მყოფი ქალაქი – სახელმწიფო **შამბალუკა**, რომელიც დღევანდელი ახლო აღმოსავლეთის შუაგულში მდებარეობდა. თუ 666-ს, სატანას რიცხვს ცეცხლთან გაგვიგივებთ, ის ცეცხლი იქნება მოგიზგიზე ნავთობის ხანძარი, რომელიც მსოფლიოს იქნებ მახლობელი ქვეყნიდან ანუ შამის ტერიტორიიდან დაატყდება?.. ეს ცოტა სექსტიკურადაც გამოიყურება, მაგრამ ქვეყნიერებაზე არაფერია მოულოდნელი და თუ სიცოცხლის გამანადგურებელი ბირთვული (ნეიტრონული) იარაღი აღმოსავლეთის რომელიმე პოლიგონიდან ააფრინეს საბოლოო გაწირვისთვის, მაშინ შეიძლება ვირწმუნოთ შამიც, დეჟჯალიც, ცეცხლიც, სატანაც და რაგინდარაც!..

შამბალუკა – ერთ დროს აყვავებული სახელმწიფო, მჯერა, რომ მისმა აგბედითმა სახელმა დააქცია. (იქნებ ზღაპარივით გამოიყურებოდეს, მაგრამ...) სახელწოდება ცხრა ასოსგან შედგება. იქნებ, მოქმედი ვულკანივით ჯერჯერობით მიძინებულია ეს 9-იანიც, რომელმაც შესაძლოა კაცობრიობის არსებობას წერტილი დაუსვას!

მავანთ და მავანთ ყურადღება გამახვილებული ჰქონდათ 1998 წელზე (სამი ცხრიანი, ჯამში ცხრა), მესამე მსოფლიო ომის დაწყების სავარაუდო თარიღზე (მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს!..) ეს წელი ემთხვევა სტალინზე დასმული შეკითხვის – თუ რამდენ ხანს გაძლებდა მშვიდობა – დიდი დიდი 45 წელს ჩემი სიკვდილიდანო, პასუხის დამაგვირგვინებელ თარიღს.

1998 წელი, ღვთის წყალობით სიცრუე დარჩა, მაგრამ 2002 –ის ჩათვლით, მსოფლიო ბევრი უბედურებებით იყო გადატვირთული, რასაც ზოგიერთის ვარაუდით სათავე 1917 წლის რევოლუციამ (ორი ცხრიანი...) დაუდო. $1+9+1+7=18=1+8=9$ -ს.

რატომ ეს თარიღი?..

თუკი ახლო წარსულს გადავხედავთ, 1989 წლიდან ფაქტობრივად ყველაფერი აირია. აქაც ციფრული ჯამი 9-იანია. $1+9+8+9=27=2+7=9$

და კიდევ 9 აპრილიც... გამოდის, რომ 9-იანები უბედურებათა საწყისიცაა და დაბოლოებაც, ვინაიდან 9-ის შემდეგ ათობით სისტემაში დაბოლოება 0-ია, ხოლო 0-ზე ხშირად 'არაფერს' იტყვიან, ანუ ეს ნიშნავს, რომ 9-იანის, ე.ი. 2124-ის შემდგომ აღარაფერი დარჩება...

(ძველისძველ, ავგაროზისეულ წარწერას 'აბრაკადაბრა'-ს ავადმყოფი 9 დღეს ატარებდა კისრით, მეათე დღეს კი გადაადგებდა...)

ახლა გაეიხსენოთ 9 იანვარი, 9 აპრილი, 9 მარტი და ბევრი მისთანა, რომლებმაც სისხლი მოუტანა ხალხს.

რამდენიმე ისტორიული თარიღი, 9-იანში განთავსებული:

1917 წლის რევოლუცია, რომელმაც მილიონები შეიწირა.

1953 წელი. გარდაიცვალა ი.ბ. სტალინი. ფაქტობრივად აქედან დაიწყო მსოფლიო ქაოსიც.

1989 წელი. 9 აპრილი. უბედურება საქართველოსთვის. მსოფლიო არეულობის დასაწყისი, რომელიც დღესაც გრძელდება.

სოხუმის დაცემის დღე, 27 სექტემბერი $2+7+9=18=1+8=9$.

2025 ცირიატი ვარსკვლავის, ანუ დედამიწის ორბიტის მოსალოდნელი გამრუდების აღმნიშვნელი.

2124 წელი, მოსალოდნელი და ალბათ სარწმუნოც – კაცობრიობის აღსასრულის – 2125-ის წინარე, კატაკლიზმებით წინამორბედი წელი.

ზემოთ თქმული, მამანემისა და ლექტორის გამოთქმები:

ჩემი გამოცხადების 1971 წლის ციფრობრივი ჯამი არის – 9, მამანემის მიერ მოწოდებული ინფორმაცია – 153 წელია დარჩენილი (1971 წელში), ციფრობრივი ჯამი არის 9. ლექტორის ნახსენების წინარე წლის -2124-ის ციფრობრივი ჯამი ტოლია 9-ს.

$1971 + 153=2124$. თითოეულის ციფრობრივი ჯამი ხომ 9-იანია.

დამთხვევები, ვფიქრობ, გამორიცხულია, რჩება ისევ რაღაც კანონზომიერება.

აღნიშნული 6666, რომელიც გაანგარიშებით და გათვლებით დადგენილ (მიახლოებით) ქვეყნის აღსასრულს, 7500-ს უახლოვდება. იქნებ ეს რიცხვია ავისმომასწავებელი და ქვეყნიერების აღდგენას დასჭირდება არა 70-75 წელი, არამედ ის 800-ზე მეტი წელი, რომელიც სხვაობაშია, ან იქნებ ვანგაც მართალი იყო?..

მაგრამ არა მარტო სიმბოლური მესამე წარღვნა მოხდეს (2125), არამედ შეიძლება მესამე წარღვნიდან მოხდეს დედამიწის აღორძინება და რამდენიმე ასწლეულის შემდეგ, ე.ი. 7500 წელში

მართლაც მოხდეს კატასტროფა, რაც ათასეულობით გამოთვლებიდან გამომდინარეობს, ეს კი იქნება მასზე მობინადრეთა გამოისობით დატრიალებული ცოდვების საზღაურად.

როგორც ვნახეთ, 9-იანები დამლუპველად მოქმედებენ და სწორედ 9-იანია წინასწარმეტყველი უბედურების, მსოფლიოს აღსასრულისა. თუმცა წარდგნამდე ბევრი წყალი ჩაივლის. ყველა გაანგარიშება ცდომილების ფარგლებშია, მაგრამ ხელალებით უარყოფაც არ შეიძლება, ამდენად, თუ სამყაროში ყველაფერი ციფრულ კოდებშია მოქცეული და განზომილებათა მცდარობაც ნულს უდრის, მაშინ უნდა დაველოდოთ 2022-2025 წლებს, მათემატიკურ და ეპოქალურ კანონზომიერებათა მორიგ თარიღს, აპოკალიფსს, გოლგოთას, წარდგნას.

P.S. 2003 წლის ნოემბრის (მე-11 თვე) არჩევნები ჩატარდა უბედური 9-იანის გავლენის სფეროში. $2+0+0+3+11=18=1+8=9$, მოვლენები ყველამ გავითავისეთ, მაგრამ 9-იანი სადმე მაინც იჩენს თავს.

2004 წლის 26 იანვარს სააკაშვილი შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას... თუ მივუდგებით იმ კუთხით, რომ იგი 9-იანის გავლენის ქვეშაა მოქცეული, შესაძლოა ვივარაუდოთ შემდეგი: $2+6+1=9$ -ს. თუ ვიანგარიშებთ მთლიანად, ასე აისახება: $2+0+0+4+2+6+1=15=1+5=6$. აქ თავი იჩინა 6-იანმა, მაგრამ სააკაშვილის გაპრეზიდენტებას არავითარი საერთო არა აქვს მსოფლიო არეულობასთან.

... დედამიწა დაიპყრო ადამიანმა, კოსმოსსაც შეუღო კარები. ღვთის საბრძანებლის კანონებს უხეშად შეეხო ადამიანი. მამაზეციერი კი ამდენ კადნიერებას არ აპატიებს!..

რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ დედამიწას ავაცილოთ უბედურება?..

ა რ ა ფ ე რ ი !

ეს ღვთის ნებაა და არავის ძალუძს მასზე წინ აღდგომა...

სათქმელს დავასრულებ ექვსხაზიანი ლექსით. თუ ბედნიერია ეს ციფრი, მაშინ გაგვიძღვეს სამოთხისსაკენ:

ი-ქნებ სულები გადავირჩინოთ,
ლ-ოცვით, ქველ საქმით, მადლის ძიებით,
ო,-ვევდრენით უფალს ცოდვილნო,
ც-ეცხლს გადავურჩეთ მონანიებით.
ე-ვედრეთ, ვიდრე არ არის გვიან,
თ-ორემ ჯოჯოხეთს შევეწირებით!..

(გამოქვეყნებული იყო გაზეთ 'იდუმალების სამყაროში'...). 2005 წელი.

მცირე გადახვევა, ფრაგმენტები ათასწლეულების მიღმიდან...
... ქვეყნიერება ციფრებში:
... ღმერთმა ქვეყნიერება შექმნა 7 დღეში, 5604 წელს.
ნაანგარიშებია ჩვენს წელთაღრიცხვის 1-წლამდე.
... იუდეველთა კალენდრით 5774 წელია (2016).
 $5604+2016=7620$ წელს. ამდენი წელია გასული ქვეყნიერების შექმნიდან!

... ნიუტონის გამოთვლით, იესოს მოხვლა ნავარაუდევია 2060 წელს.

... ნოსტრადამუსით: ადამიდან ქრისტემდე 4757 წელია გასული.
ქრისტედან სამყაროს დასასრულამდე 3797 წელია დარჩენილი.
სამყაროს დასაწყისიდან (ადამიდან) დასასრულამდე 7970 წელია განსაზღვრული. $4757+3797=8554$ (აქ ცდომილებებია).

... 2023 წელს დედამიწა აცდება თავის ორბიტას (!!).

... 2055 წელს სიცოცხლე დასრულდება?.. (საეჭვოცაა და დასაჯერებელიც). წინა გაანგარიშებები აბათილებს ამ მოსაზრების სისწორეს.

ნოსტრადამუსმა ეს იწინასწარმეტყველა 1555 წელს და მიუთითა – 500 წლის შემდეგო, ანუ 2055 წელი სამყაროს შექმნიდან ხდება 7055 წელს... (ცდომილებებია...). ზემოთ უკვე მითითებულია დასასრულის თარიღი 7970 წელი.

... ადამიდან დღემდე: $6841 \text{ წ.} - 2016 = 4827 \text{ წ.}$ (ცდომილებაა).
სამყაროს შექმნიდან 2016 წლამდე = 7016 წელს.

... თუ ორი მილიონი წლის წინანდელი ჩონჩხი იპოვეს, მაშ 6841 წელი საიდან აიღეს?..

... ღმერთი ეშმაკს დაატყვევებს 1000 წლით. მაშინ 2055 წელს + 1000 = 3055, თუმცა ამ წელში ეშმაკი მცირე ხნით გათავისუფლდება და მას სამუდამოდ გაანადგურებს კაცობრიობის დამაარსებელი.

...ნოსტრადამუსით ქრისტემდე 4757 წელია... ლადო ალფენიძე წიგნში 'საწუთრო', ლექსში 'ერშალაიმი' მიუთითებს, რომ 5747 წ. დადგა სამყაროს შექმნიდან 1986 წელს.

$4757+1986=6743$. ვინაა მართალი? ცდომილება 4 წელია. შეუსაბამობა... $5747 - 1986 = 4761 \text{ წ.}$ ანუ იყო არა 1986 წელს,

არამედ 1982 წელს... თუმცა ასეთი პატარა ცდომილებები უმნიშვნელოა.

... ყველა სხვადასხვაგვარად ანგარიშობს, ზოგან კორექტურული შეცდომებიცაა და ეს იწვევს ცდომილებებს, საერთო ჯამში კი აღამიანს ასე თუ ისე, მიახლოებით ეცოდინება თარიღები, იქნებ აღარავისაც აღარ აინტერესებს... აბა, რისთვისაო კომპიუტერები... რა გგონიათ, იქ არ იქნება შეცდომები?!

... აღამიდან ნოემდე – 1242 წელი იყო შუალედში.

... წარღვნიდან აბრაამამდე (იბრაიმ ფეილამბერი) = 1048 წელი.

... აბრაამიდან მოსემდე – (მუსა ფეილამბერი) = 516 წელი.

... მოსედან დავითამდე – (დაუთფეილამბერი) = 670 წელი.

... ხოლო ქრისტემდე = 1947 წელი.

ჯამში იძლევა = 5470 წელს. აქვე ამბობენ, რომ უზუსტობაცაა – 240 ანუ 2055 წელი არ არის სიცოცხლის დასასრული!..

... ჰიჯრის კალენდარი იწყება 622 წლის 16 ივლისიდან.

როგორ ვიანგარიშოთ, დღეს რომელი წელია?..

ჰიჯრის კალენდრით ყოველ 33 წელიწადში 1 წელი აკლდება, ანუ $2016 - 622 = 1394$. $1394 : 33 = 42$, $1394 + 42 = 1436$ წ. $1436 = 2016$ წ.

... ასურული წელთაღრიცხვით 6766 წელია დღეს. ახალი წელი 1 აპრილს.

... ებრაული წელთაღრიცხვით 5777 წელია 2016 წელი.

... ჰიჯრით 2025 = 1445 წელს (აი, აქ არის 1400-ის გავცდებით...)

15 აპრილი ჩემი დაბადების დღეა, უფრო სწორად გატარების. მეგობარი მყავს, ისტორია – არქეოლოგიის დოქტორი – სიმონ გოგიტიძე, უნდა დამერეკა, გადავიფიქრე. 16-ში ნეკროლოგში ვნახე – 15-ში გარდაცვლილა, ჩემი დაბადების დღეს. რაღაცამ გამიბრინა ტენიში!.. გაბრუებული ვარ, ისედაც ლოგინზე ვიყავი რამდენიმე დღე...

19-ში აჭარაში გლოვის დღე გვაქვს... ამ დღეს გავასვენეთ ოგიც.

ცუდად აღვიქვი ამ დღეს ყოველივე... 2016 წელი უბედურებით დამთავრდება... დმერთმა ქნას, სიცრუე დარჩეს ყოველივე, მაგრამ რატომღაც ასე მჯერა... გაფრთხილების მსგავსი სიგნალი მივიღე...

სანამ დავამთავრებდე მოცემულ საწიგნო მონათხრობს, მანამ მინდა დავამატო რამდენიმე, სათაურიანი (იქნებ ნოველა დავარქვათ?...), პატარ-პატარა მოთხრობების სახით ჩანაწერებიდან ამოკრებილი, შემდეგში დასასტამბად გამზადებული – ალბათ ჩანახატები, ანუ უცნაურობებით თუ წინასწარმეტყველებებით გაჯერებული ისეთი მოკლე ეპიზოდები, რომელთა შესახებაც უკვე მქონდა საუბარი... არ ვფიქრობ, რომ ზედმეტი იქნება. ისინი უცვლელად, ცალკე წიგნად დაიბეჭდება...

ჰიპოთეზა შეიდ ცოცხალ პლანეტაზე

ბევრჯერ მსმენია, დედამიწის გარდა კიდევ ექვსი პლანეტაა, სადაც სიცოცხლე არსებობსო. იქნებ დედამიწის გარდა კიდევ იყოს ადამიანებით დასახლებული, იქნებ “ზეგონიერი“ პლანეტაც, მაგრამ დანარჩენი ხუთი იყოს თითოეული სახეობით დასახლებული ანუ – ერთი ნადირებით, მეორე – ყველა სახეობის ფრინველით, მესამე – თევზებით და სხვა წყლის ცხოველებით, მეოთხე – მწერებით და ბაქტერიებით, მეხუთე – მხოლოდ ფლორით...

არსებობს ამ შეიდი პლანეტის წარმოქმნის ჰიპოთეზაც, რომელიც უკავშირდება უზარმაზარი მასისა და მოცულობის მქონე პლანეტის დაშლას შეიდ პატარა პლანეტად, ან მზის დაშლას...

ავიღოთ ბლანტი, შემკვრივებული ფორმის სფერო, შუაში გავუყაროთ ღერძი, მივანიჭოთ ზესწრაფი ბრუნვა. დავინახავთ, რომ სფერო ღერძის გასწვრივ შებრტყელდება და შესაბამისად მეტად გამოიბერება. თუ სფერო რბილი მასაა, ან გაზისებრი, ან სითხე ბლანტი ფორმაში, მისგან ბურთულები გამოიყოფა და დაიწყებენ როგორც ძირითადი მასის, ასევე თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნვას – წარმოქმნიან საკუთარ ორბიტას და მთავარი მასის ირგვლივ ან წრიულად, ან ელიფსისებურად იტრიალებენ დამოუკიდებლად...

მექანიკის კანონებითა და სხივური გარდატეხით მიღებული ცდებით დადასტურებულია, რომ მზესა და დედამიწას ერთნაირი შედგენილობა აქვთ, ოღონდ მზეზე მიზიდულობის ძალა ძალიან დიდია – ადამიანის წონა იქნებოდა ოთხასი ტონა, ერთი ცალი ვაშლი კი ოთხ ტონას აიწონიდა... შედარებისთვის, სხვადასხვა ვარსკვლავის მიზიდულობისა თუ მასის განსაზღვრისათვის ერთ მაგალითს დავასახელებ – კასიოპეს თანავარსკვლავედის ვარსკვლავ

კეიპერადან აღებული ასანთის კოლოფისოდენა მასა დედამიწაზე აიწონიდა 250 000 000 ტონას... დაუჯერებელია არა?... გვაკვირებენ ასტრონომები!..

ქიმიური ცდებით დადგენილი, მზისა და დედამიწის ერთნაირი შედგენილობის მიხედვით, ის ექვსი პლანეტაც ამათი მსგავსია, თითქოს ხილული და ცნობილია, თუმცა ვარაუდობენ მეცნიერები, რომ – მათზე სიცოცხლე არაა...

ზემოთაღნიშნული, მზის ზესწრაფი ბრუნვის მომენტში გამოეყო დედამიწა მზეს (პირობითად), დაიწო ბრუნვა მზის ირგვლივ ორბიტაზე და საკუთარი ღერძის გარშემოც.

თუ მზე გავარვარებული მასაა, მისგან მოწყვეტილი ეს პლანეტებიც ცეცხლოვანი მასა იქნებოდა, გავარვარებული გაზის მსგავსი. ისმება კითხვაც – როგორ გამკვრივდა დედამიწა?... ამას ალბათ მილიარდობით წლები დასჭირდა... (ეს დანამდვილებით არავენ იცის, გამოთქმული ვერსიები და ვითომ ფაქტები, ყველა მიახლოებითია და ვარაუდის დონეზეა და საკვირველება ისაა, ამდენ და ამ სიმძიმე პლანეტებს როგორ მართავს ღმერთი და... არ არსებობს ღმერთიო, თითქოს!.. ვაი მცოდნელებო – აბა, რა ძალაა, რაც ყოველივეს ამოძრავებს?!)

რატომ არ გარდაიქმნება მზე?..

იმიტომ, რომ უზარმაზარი მასა აქვს და გარსი ჯერაც გაზისებურია. თუმცა გარდაქმნა ნამდვილად ხდება – ამას პროტუბერანცები გვამცნობენ... ისიც ცნობილია, რომ გაზი კოსმოსში თხვევად მდგომარეობაშია და სხვა სითხეები კი კრისტალდებიან. იქნებ, დადგეს მზის გარდაქმნის პროცესიც... მაგრამ თუ მზის სიღრმიდანაც (სადაც თხუთმეტი მილიონი გრადუსია), ამავე ტემპურატურის გარეთ გამოტყორცნა მოხდა, დედამიწას და ალბათ სხვა პლანეტებსაც, ფერფლად აქცევს. მაშინ მზეც ჩაქრება და დედამიწის მსგავს პლანეტად იქცევა!.. (ყველაფერია მოსალოდნელი!) ერთ გადახვევას აქვე გაგაკეთებ – თუ მზე დედამიწას მიიტაცებს ოდესმე და ფერფლად აქცევს... იქნებ ეს იქნება მოკვდავთა შეგნებაში ჩაფიქსირებული ჯოჯოხეთი ანუ „ჯეკენემი“ (არაბულად)!..

... ხდება ისეც, რომ დედამიწასა და მზეს შუა კომეტა ან სხვა ციური სხეული გაივლის, დაკვირვებებით ცხადია, რომ მზის სხივების გარდატეხა არ ხდება, ესე იგი, ისინი ცეცხლოვანი მასისგან შედგებიან. ცეცხლის ალში კი სხივების გარდატეხა არ ხდება... დიახ, ზოგი ცთომილი და კომეტა მზესავით გავარვარებული ცეცხლოვანი

სფერო (ცნობისთვის ერთი მაგალითი: სირიუსი მზეზე ორჯერ დიდია და ჩვიდმეტჯერ უფრო მეტად ანათებს...

ერთ დროს, თუ დედამიწა მზეს მოწყდა, ესე იგი, მაშინ მანათობელი იქნებოდა, რომელიც შემდეგ ჩაქრა. ის ექვსი პლანეტაც ანალოგიურნი იქნებოდნენ, მაგრამ თუ დედამიწა „გაქცავდა“, სამაგიეროდ იმ პლანეტებზე ჯერ არაა მიკვლეული სიცოცხლე (სავარაუდოდ არც სხვა პლანეტებია ცნობილი... იქნებ ისინი მზის სიტემის მიღმა არიან?! (სხვა გალაქტიკაში).

როგორ გარდაიქმნა დედამიწა?

თუ გავარგარებული იყო და შუაგულშიც დუღდა, შესაძლოა დუღილის პროცესმა გარეთა შრეები გამოარღვია, ჩააქრო აალებული გაზი და გარდაიქმნა იმ სახედ, როგორიც დღესაა. საკითხს თუ მივუდგებით იმ კუთხით, რომ დუღილის პროცესი დღესაც ხდება დედამიწის შუაგულში, იქნებ კიდევ გამოარღვიოს რაც გამკვრივებული მასაა და დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას. მაგრამ წინანდებურად კოსმოსი მას ვეღარ გაამკვრივებს, იმიტომ, რომ ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ურთიერთქმედებით იქნებ სულაც დაიწვას... ეს აბსურდად გამოიყურება, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ახლა სხვა თეორიაც...

რომ მოხდეს სასწაული და დედამიწა კომეტის ცეცხლოვან კუდში მოხვდეს (ამხელა კომეტა არ არსებობს), მაშინ დედამიწაზე ტემპერატურა კატასტროფულად მოიმატებს, რომელიც დედამიწაზე არსებულ ყინულის საფარს გააღნობს (მაშინ დედამიწა 60 მეტრი სიმაღლის წყლით დაიფარება), და ვიდრე წყლებს ამოაშრობდეს, მანამ თავისთავად წარღვნა მოხდება...

გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ დედამიწას კომეტა ან ასტეროიდი უნდა დაეცესო. ეს გამორიცხებულია. თუ ის სხეული, რომელიც არ ბრუნავს, მბრუნავ და მოძრავ სხეულებს შეეჯახება, მბრუნავიდან შორს გაიტყორცნება. ხოლო თუ მბრუნავ დედამიწას მასავით მბრუნავი და მოძრავი ციური სხეული შეეჯახება, მაშინ მოხდება ორბიტიდან მათი გადაადგილება და ტრაექტორიის გამრუდებაც (ეს ვინ იცის, რას გამოიწვევს).

კომეტა, რომელიც შესაძლოა შეეჯახოს მთვარეს, მისი ნელი ბრუნვის მიზეზითა და ჟანგბადის, დამცავი ფენის არ არსებობის გამო, იქნებ მისი ბრუნვის სიჩქარემ მოიმატოს კიდევ და საკმაოდ დიდი მანძილით ან დგვიახლოვდეს, ან დაგვცილდეს. ორივე ეს შემთხვევა დედამიწისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ისმება კითხვა – რამ ჩააქრო ცეცხლი სხვა პლანეტებზე?

ჯერჯერობით ყველაფერი ნათელი არ არის, მაგრამ...

ცდებით დადგენილია, რომ გაზების შეერთებით სწორად აალებაც ხდება, მაგრამ არის ისეთი სახეობის გაზები, რომლებიც აქრობენ ცეცხლს. აი, ასეთი გაზის ამოფრქვევით ჩაქრა დედამიწის გარშემო შემონთებული ცეცხლი და გადაიქცა შემდეგ ჰაერად, ატმოსფეროდ, იონოსფეროდ, ლითოსფეროდ, ტროპოსფეროდ... თუმცა, ეს პროცესები ხომ ზებუნებრივ ძალებს ემორჩილება, ანუ ღმერთს, და ადამიანები უძლურნი არიან მართონ მსგავსი გლობალური პროცესები. სწორედ ამიტომაც ხდება ხოლმე წარღვნები და ათასგვარი კატაკლიზმები.

მომდევნო (რიგით მეოთხე) წარღვნა ცეცხლით მოხდება და ქვეყნიერებაზე სიცოცხლე და ბუნება ნაცრად იქცევა...

ეს გარდაუვალია... გამოთვლებით მანამდე 110 წელზე მეტია დარჩენილი და ამ წლების განმავლობაშიც ათასგვარი უბედურებაა მოსალოდნელი.

და ბოლო კითხვაც: ასეთ ნალოლიავებ დედამიწას თუ ავაცილებთ იმ საფრთხეს, რომელიც ელოდება?..

არა! არ არსებობს ასეთი ძალა... ერთადერთი, იქნებ ღმერთმა დაგვიხდოს... მაგრამ ეს არ მოხდება!..

2010 წელი.

... ანუ წამმზომი ჩაირთო...

ღვთის კანონებში ჩარევა ადამიანთა გაჩენისთანავე დაიწყო, მაგრამ ხელყოფა მაშინ დაიწყო, როდესაც გამოიგონეს ადამიანთა გასაწყვეტად ისეთი ნივთიერებები, როგორცაა – დენთი, პიროქსილინი, წყალბადი და ბევრი სხვა, ფეთქებადი საშუალება.

პირველი ასეთი ცდა მაშინ მოხდა, როცა თოფი და ზარბაზანი გამოიგონეს, მაგრამ ადამიანთა მასობრივად გაჟლეტის ცდა იყო 1945 წელს, როცა ამერიკის ბომბდამშენმა იაპონიის ქალაქებზე ხიროსიმასა და ნაგასაკუზე ატომური ბომბები ჩამოჰყარა, რითაც ამერიკის შეერთებული შტატები მიანიშნებდა არამართო მსოფლიოზე ბატონობის განზრახვაზე, არამედ უხეშად შეიჭრა ღვთის კანონებშიც.. ხალხთა ამოწვევტა მანამდეც ხდებოდა “ჩვენი” უახლესი “გმირების” – ალექსანდრე მაკედონელის, ნაპოლეონ ბონაპარტისა და ადოლფ ჰიტლერის და სტალინის ეპოქაშიც.

უკანასკნელი ხუთასი წლის მანძილზე ას მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა მსოფლიოში, სწორედ ფეთქებადი იარაღის გამოყენებით, რომელიც თითქოს წვეთია ზღვაში, თუმცა მიყვავთ მოვლენებს...

იაპონიაში ჩამოყრილი ბომბების შედეგად დღესაც იღუპება ხალხი...

ქვეყნიერებაზე ხდება სტიქიური უბედურებები, კატაკლიზმები, ეპიდემიები, პანდემიები – ყველაფერი ესენი გვაახლოვებს ქვეყნიერების აღსასრულის საწყისს. აღარ გამოვედგენები სტატისტიკას, თუ რამდენი ადამიანი რით დაიღუპა, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ომების შედეგად გამოწვეული განადგურებები ღვთის კანონებში უხეშად ჩარევის მცდელობებია და ამას არავის აპატიებს...

ჩვენ გვიხარია, რომ ვარსებობთ. სიცოცხლე სიხარულია, მაგრამ ამ სიხარულს სიმძიმე იცავს ახლავს, იმდენად, რამდენადაც ქვეყნიერებაზე ყველაფერი წყვილადაა – სიცოცხლეს სიკვდილი ახლავს, ნათელს – ბნელი, ბედნიერებას – უბედურება და ასე შემდეგ.

მსოფლიო უნდა დაიღუპოს, ეს გარდაუვალია, მაგრამ ამ დაღუპვაში ადამიანთა როლი განსაკუთრებით კოლოსალურია...

რამ დაღუპა ძველი ცივილიზაციები?

ისეთმა მიღწევებმა, რომელმაც განარისხა მამაზეციერი. სურვილი კი იყო ღმერთთან მიღწევა და მისი განადგურებაც, რომ ადამიანებს თავისი ნებით ესტუნავათ... ეს ასე არ მოხდება!

ვინც საკუთარი სიცოცხლის გამჩენელს შეეწინააღმდეგება და შეებრძოლება კიდევ, მას გამჩენლის მადლი მოესპობა და იმ გზაზე შედგება, რომელიც უფსკრულისკენ მიდის... ეს უფსკრული კი უზარმაზარია, სადაც ქვეყნიერებაა მოთავსებული.

უფსკრული... ეს ჩვენი ცნობიერებაცაა, რომელიც ყოველ წამს აღსასრულს გვიახლოვებს... დიას, წამშობი ჩართულია და არასოდეს გამოირთვება მექანიკური წამშობივით... ტაიმაუტები გამორიცხულია!..

მაიას ტომის კალენდარი 2012 წლამდეაო... არა, ეს ასე არ არის... შეცდომა ღვთის გარდა ყველას მოხდის! ზოგიერთების აზრით, მაიას ტომის კალენდარი უფრო შორს მიდის, ასევე ნოსტრადამუსისა და ბევრი სხვათა. ისინი ღვთის გაჩენილები იყვნენ და ღმერთმა იცის, როდის რა გააკეთოს...

ზოგიერთ საინტერესოს მეც გაგაცნობთ:

მსოფლიო მათემატიკურ გამოთვლებს ემორჩილება. ქვეყნიერებაზე ყველაფერი ციფრებზეა აგებული, თვლა და ანგარიში ღმერთმა ჩააგონა ხალხს, მის გარეშე კი არაფერი ხდება საერთოდ!..

ზოგიერთის კვლევა-ძიებაში 2013 წელზე, თითქოს აღსასრულია დაკოდირებული... ეს პანიკაა!.. ყველა ცოცხალისათვის ის თარიღია აღსასრული, როცა იგი კვდება... უგუნურთა გამოისობით კი სისხლისღვრა ყოველთვისაა მოსალოდნელი.

2016 წელი ნამდვილად საშიშია, ასევე 2024-2025 და 2034-იც... იმის შემდეგ 2125-ია ქვეყნიერების დაღუპვის თარიღი!..

საქართველოში ციფრი ცხრიანი გააღმერთეს... 49-წლიანი ხელშეკრულებათ, 99, 199, 299, 499 – ლარიდან დაწყებული ფასებით და სხვა... ცხრიანი – უბედურების მომტანია.

უმეტესი უბედურებისა ცხრა რიცხვში და ცხრიან თარიღში ხდება. მსოფლიოს ამოხრებლებიც ამნაირ რიცხვებში არიან დაბადებულნი... ცხრიანი ციფრების წარმოქმნა ტყუილად გვიხარია, მათ უბედურება მოაქვთ!.. არგუმენტები გნებავთ? ცოტათი გაისარჯეთ და არგუმენტებს თავად მიხედვით, საზღაპროდ კი ნამდვილად არ გვაქვს საქმე!

2013 – მხეცის ნიშნის ქვეშ იმყოფება (666 – მხეცის ნიშნის ქვეშაა). ეს წინასწარმეტყველ იოანეს ეკუთვნის... ციფრთა ჯამი ექვსია. $2+0+1+3=6$. რატომ გვინდა მაინცდამაინც ანტიქრისტეს კოდი? ამოატრიალეთ ექვსიანი, იგი ცხრაა... რაც არ უნდა ვაბრალოთ კოდ 666-სს, იგი მაინც ცხრიანია ჯამში: $6+6+6=18=1+8=9$ -ს...

დღეს მსოფლიო დაავადება – ‘ინტერნეტი’ ცხრა ასოსგან შედგება. ესეც ბოლოს უბედურებად მოგვევლინება. ციფრი ცხრიანი ადამიანის კარმის ერთ-ერთი ნაწილია და მისი დამცველიცაა თითქოს. იგი ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის საწინააღმდეგოდ მიმართულ ფსიქიკურ მოშლილობებზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან 9-აპრილს (ძველი სტილისთ 27 მარტს... $2+7=9$) ვარ დაბადებული, ამ კარმულმა ცხრიანმა კიდევ გამომადგა და კიდევ მაზიანა... საერთოდ, ცხრიანი უბედურებათა წინასწარმეტყველია, ყველა სფეროში უბედურება მოაქვს და აცილებაც ალბათობის ქვეშაა.

სხვათათვის აუბედითი (თარსი?) 13, ჩემთვის ბედნიერად დაუნათლია კარმულ ცხრიანს. ხშირად მიწვევს ციფრ 13-თან შეხვედრა და არასოდეს მარცხი არ მომსვლია.

... 2004-ის შემდეგ 2013 –მორე 6-იანია. მესამე ექვსიანი 2022 წელი იქნება. ეს სამი ექვსიანი გვაახლოებს 2025 წელს (ჯამით ცხრიანია), როცა დედამიწის ყოფნა-არყოფნის (რომელსაც 2000 წელს მიაწერდნენ, აქედან დავიწყე 666-ის ათვლაც...) საკითხი სათუო იქნება (ნოსტრადამუსით – ‘ცრიაცი ვარსკვლავის წელი“)...

ვერსად გავექცევით ამ ცხრიანს, ამიტომაც დმერთს უნდა ვეხვეწოთ, ავაცილოს არა ციფრი -9, არამედ უბედურებები...

მსოფლიო ხანძრები განა შემთხვევითია? არა, იგი კანონზომიერებას ემორჩილება და ნურავის მივაწერთ... გონიერები კი ვართ, მოსაზრება გვაკლია და მსოფლიოც გაჯიუტებულია, ხოლო ჯიუტობაში ის იმარჯვებს, ვინც ძლიერია, ჩვენ კი ალიზ მიწასავით ავიზილებით... ნამდვილადაა ამის ნიშნები!

დმერთს, სილითა და ცემენტით, ვერავითარ ჩვენს გადამრჩენს ვერც სასახლეს აფუგებთ და ვერც სამლოცველოებს. ჩვენს ცოდვებს ვერავითარი შენობებით ვერ გამოვისყიდით. ხუხულები დმერთს არ სჭირდება, იმიტომ რომ ჩვენ მას ვივიწყებთ!..

როგორ თუ არ გვახსოვსო – აბა, სამების ტაძარი რისთვის აიგო, ან სხვა სალოცავებს რისთვის ვაგებთო... ტაძარი – თვით ადამიანია დმერთისთვის, შენობა არაფერს ნიშნავს სრულიად!..

სიცოცხლე დმერთმა მისცა ნებისმიერ ადამიანს, “შენ“ კი კლავ მათ... გააბტიებს განა ამას მამაზეციერი, როცა მის მიერ დაწესებულ ვადას ხელოვნურად უსპობ ადამიანს?!.. დიახ, დენთისა და ავი ჩანაფიქრით ხელში დაჭერილი დანით, ან სულაც ქვით უნდა გამოუყვანო წირვა იმას, ვინც თვალში არ მოგდის?!

იგივე გელოდება “შენც“.

მიწისძვრებით, ვულკანებით, წყალდიდობებით, ქარიშხლებით, ცუნამით... ნუთუ, კიდევ ვერ ხვდებით, უგუნუნო, რომ დმერთი ამით გვაფრთხილებს?!

დაწყნარდით და დაწყნარდება ბუნებაც!

კოსმოსში რომ შავი ხვრელები გაჩნდა, ეს არაფერია? ისინი ჩვენს მიერაა გაკეთებული... დიახ, რაკეტების ცეცხლმა გააჩინა ისინი, დაწვა ოზონით... არაფერიც შეგვეშალოს – ეს ხვრელები ყოველთვის არსებობდა, იქიდან ‘იჭვრიტება“ არსთაგამრიგე და ყველაფერს ხედავს, ვერსად დავემალებით ამ ხვრელებს.

რა გგონიათ, ახლა რომ მსოფლიოს მერვე საოცრებას – 25 სართულის სიმაღლისა, 40-კილომეტრი სიგრძისა და 18-კილომეტრი სიგანის გემს აგებენ, ის იხსნის ადამიანებს?... ჰერმეტიული იქნება,

და ყველაფერი შიგ ექნებათ, უანგბადსაც წარმოქმნიან შიგ, მაგრამ როდემდე? განუხსაზღვრელი საშუალება იქნება? გამოიღვეთ ყველაფერი და თუ შიგ მსოფლიოს უმაღლესი რასის (სულ თერთმეტია) ელიტარული უძრაველობა შეაფარებს თავს, რა გგონიათ, 'ნოეს' ხანა დაუდგებათ მათ და, ჰგონიათ, დედამიწას გაამშვენებენ?..

მანამდე ერთმანეთს გადაჭამენ იმ გემზე და აღარც დედამიწაზე ექნებათ გადმოსასვლელი – ის მკვდარი იქნება... (უმაღლესი რასის ერებიდან მხოლოდ ორი ერთი მონაწილეობს გემის აგებაში – ინგლისელები და ფრანგები). ზღაპარი და უტოპიაა ყოველივე, ფანტაზიურად ფანტიკების ტვინის ნაჭყლეტი იქნება ყოველივე და იცით რატომ?.. დედამიწა ფიზიკურად განადგურდება, ფერფლად იქცევა და ნურავინ შეეცდება მის სხვა ჭრილში დანახვას!.. (ოფიქროთ, ის გემი სად წავა, რა მოუვა?!)

დაველოდოთ 2016 წელს, 2025 წელს, 2034 წელს და მიხვდებით... პანიკა?... გამორიცხებულია, იგი როდის იყო გადამრჩენი!

ადამიანებს პანიკური შიშის გრძნობაც გაუქრათ. ყველაფერი სტიქიურად მოხდება... რომელი ქვეყნები იხდიან პარაკლის სხვა ქვეყნების დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად და თავის გადასარჩენად. თუა დაწესებული მექაში ერთი დღე, რომ იმ დღეს მაინც სხვა ქვეყნებში დატრიალებული უბედურებებით გამოწვეული დაღუპულების სულებისთვის ილოცონ?.. არა, არსად არ ხდება ამისთანა რამ, არადა, ნამდვილად საჭიროა და ღმერთი ამითაც მოგვხედავდა... აი, 'სხვას რომ მუცელი ასტკივდება, შენაც უნდა მოისხა ხელიო', – ეს მარტო ანდაზა არაა და მართლა მუცელზე ხელის მოსმაზე არ მიგვანიშნებს.

დედამიწაზე ტემპერატურამ მოიმატაო... თუ ერთ ნახევარსფეროს მზე ხრუკავს, მეორე ნახევარსფეროზე წყალდიდობებია, მიწისძვრები, ქარიშხლები და ამის გამო ადამიანები, ქვეყნები ზიანდება, ინგრევა, ზარალდება და თავიდან ასაღორძინებელია ყოველივე. რა გგონიათ – ეს ბუნების ჭირვეულობაა? თუნდაც ასე იყოს, აბა შევუშალოთ ხელი!..

ღმერთი, არსთაგამრიგე, უზენაესი გვსჯის!.. ნუთუ მისახვედრი არაა? გამოსავლის პოვნა შეიძლება?.. რა თქმა უნდა, მაგრამ სიჯიუტეს რა ეშველება?..

დაეტიოს ამერიკა თავის ადგილას, გაუქმდეს მალტის ორდენი – 300-თა კომიტეტი, შეწყდეს ომები, დაგუზავდეთ სამყაროს!..

რუსეთმა გაგვანადგურაო...

მაშინ მოვთხოვოთ პასუხი ოსმალებსა და სპარსეთს, რომელნიც გვაოხრებდნენ. განა დიდი დრო გავიდა მათი ბატონობიდან? შევიტანოთ სარჩელი და საერთაშორისო სამართლის განჩინებით ავგინაზღაურონ ის ზარალი, რაც მოგვაყენეს, დავაბრუნებინოთ გაყიდული ტყვეები... არ შეგვიძლია/ კო, რა თქმა უნდა...

რუსეთი არ გვინდა და თურქეთი და სხვა ქვეყნები გვინდა – უგზავნეთ ქალები და ახარხარეთ მთელი მსოფლიო ჩვენზე!..

რატომ გადაუხვიე თემს?.. ყველაფერმა ამან მოიტანა შედეგად კატაკლიზმები. ნუთუ ესეც არ გინდათ, რომ გაიგოთ?..

უსირცხვილობა, შეუბრალებლობა, გაუტანლობა, ზნეცემულობა, გარყვნილება, ურწმუნობა (მარტო პირჯვრისწერა ვერაფერი საქმეა), კაცთაკვლა, ხელოენური შიმშილობა, ომები, სნეულებები, ჯანდაბა და დოზანა... აი, ამათ გამო გვირისხდება ღმერთი... აბა, მიდით და მოსთხოვეთ პასუხი!.. უგუნურებო, მოახლოვდა ჩვენი მკაცრად დასჯის თარიღი. ჩვენ არ მოგვესწრება, მაგრამ მომავალ თაობას ხომ უნდა ჰქონდეს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება?.. კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე წერია წიგნებში, რომ ‘ათას ოთხასს გავცილდები, ათას ხუთასს ვერ მივალწევო’. (1431 დადგება მალე). ვინ თქვა ეს – წიგნმა? არა, ნაწინასწარმეტყველება და თითქოს დედამიწამ გაგვაფრთხილაო... ანუ 2061 წლამდე (ცხრიანია ჯამით) ძლივს უნდა მიადწიოს, ხოლო თუ ათას ხუთასს ვეღარ მიადწია, მაშინ (70 წელია დარჩენილი) 2061 ან 2070 –ია ის თარიღი, რომელიც ათას ხუთასს ვერ დაასრულებს.

რატომ 2070 წელი?... (ჯამში ცხრიანია!..)

ნაგარაუდევ, დედამიწის ფერფლადქცევის წელ – 2125 წლამდე, ანუ ძველით ათას ხუთასამდე, მხოლოდ 2070-ია ჯამით ცხრა, უბედურების მომტანი ციფრი. არის კიდევ სამი რიცხვი – 2079, 2088 და 2097, მაგრამ ქვეყნის დაქცევამდე 40 წლით ადრე დაბადება აღარ მოხდებაო... ცდომილება ძალიან მცირეა!..

უფრო დაწვრილებით უკვე განვიხილეთ სტატიაში – ‘როდის უნდა ველოდოთ აპოკალიფსს ანუ ცხრიანში ჩაშიფრული ბედისწერა“ – გაზეთი ‘იდუმალების სამყარო“ – 01.07–07.07 2005 წელი.

და რა გველოდება?

აი, ის რითაც ახლა ვიხრუკებით – მზე ნაცრად აქცევს დედამიწას... ასეა ნაწინასწარმეტყველები, რომელიც წიგნებში და გამოკვლევებშია...

... წამზომი ჩართულია!..

2010 წელი.

ბოროტების ბოლო

კომუნისტური წყობილების პერიოდში ნორმალური ცხოვრება იყო იმ ტერიტორიაზე, რომელსაც დანარჩენი მსოფლიო შემოღობილს უწოდებდა. იმ წყობას ყველა ერთნაირად არ უცქერდა, მაგრამ ხომ ვიცით, რომ არიან ობიექტური და არაობიექტური შემფასებლები და დამფასებლები.

იყო საერთო წესრიგიანობა... თუ წინა პერიოდი სიძნელებით იყო დატვირთული, სამაგიეროდ იმდენ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ერთმანეთის მხარდამხარ და ხელჩაკიდებული რომ სწევდა ცხოვრების ჭაპანს, ეს ხომ სინამდვილე იყო...

იყო მშვიდობა, დისციპლინა, ურთიერთვაგება, მაგრამ... ყველაფერთან ერთად იყვნენ მექროთამეები, წამგლეჯლები, აფერისტები, სპეკულანტები, თადლითები და სხვადასხვა ჯურის მანეველები... თუმცა, მთავრობა ყველა ასეთს ებრძოდა და უსწორდებოდა, მაგრამ მანკიერება მაინც ივითარებდა ფესვებს.

ისმება კითხვა – თუ ისე ძლიერი იყო სახელმწიფო, რატომ ვერ მოსპევს მანეველობა და მანკიერება?

საყოველთაოდ ცნობილია – ბელადმა სტალინმა უზარმაზარი, მართლაცდა კავის რუსეთი ატომის სახელმწიფოდ აქცია და... შურიანმა და საბჭოთა ქვეანაზე დამტერებულმა დანარჩენმა მსოფლიომ სტალინის აღზევება ვერ აიტანა და ქვეყნის მონაპოვრით ტკობა არ დააცალეს. სწორედ ამის შემდეგ ამუშავდა მთელი ძალით ჯოჯოხეთის მანქანა მსოფლიოს ნომერ პირველი მტრის აღენ დაღესის მეთაურობით. შედეგი კი სახეხეა...

გაანია ვინ როგორ აღიქვამს უტოპიას, მე კი ვიცი, რომ სინამდვილეა... აი, რა მსურდა მეთქვა:

საკლმეურნეო შრომაში მოპოვებული წარმატების საფასურად კომუნისტური პარტიის რიგებში უნდა შევეყვანე კომკავშირს. (მინდოდა ნამდვილად...). კლმეურნეობიდან საერთო კრების ოქმის ამონაწერი უნდა წარმედგინა, რომელსაც იძლეოდა იმ დროის

პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ცნობის გაცემის სანაცვლოდ მდივანმა ქრთამის ერთ-ერთ სახეობაზე დამაკვალიანა. პირში წყალი ჩავიგუბე, როგორც იტყვიან და, ეს ამბავი არ გავამხილე, არადა, ვიცოდი ასეთი ქმედებისთვის, კომუნისტური წესდების დარღვევის გამო ალბათ ციმბირში უკრავდნენ თავს და არც მისი ადგილსამყოფელი იქნებოდა ცნობილი. ამ ინციდენტის შემდეგ კომუნისტური პარტიისკენ აღარ გამიხედავს იმის გამო, რომ პარტია უკვე ასეთი ვაიკომუნისტებისგან შედგებოდა და უკვე მაშინ ვიფიქრე – კომპარტია ადრე თუ გვიან დაიშლებოდა. ეს სტალინსაც ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები, ხოლო რომ ეცოცხლა ცოტახანს მაინც, ძალიან ბევრად წინ ვიქნებოდით მსოფლიოში.

ჩემი სათქმელი მხოლოდ ეს იყო – ამ პარტორგს სამართლიანად მიუზღავდნენ სამაგიეროს, მე კი, თუმცა მართალი ვიქნებოდი, მაგრამ ჩამშვების სახელს მომაკერებდნენ. თუმცა დავამატებ – იქნებ ჩემს საწინააღმდეგოდ შეატრიალებდნენ საქმეს და იქნებ მევე დამსჯიდნენ... მის შემდეგ კი აღარ გამჩენია სურვილი ასეთი კომუნისტების გვერდით დგომისა. ისე კი, წვერი რომ ვყოფილიყავი (ბევრი შანსი გამომიარა) სადმე კარგ ადგილზე მოვთავსდებოდი, მაგრამ დღევანდელ ცხოვრებას რომ ვუყურებ, არ ღირებულა ბრძოლა და თავის ტეხა... ის პარტმდივანი ღმერთმა მაინც დასაჯა იმ ცოდვებისათვის, რაც გლეხების, (ცეცხლის მეზობლების) წინაშე ჰქონდა ჩადენილი. ჯერ შვილი არ მიეცა (ნაჩალიშარი და ნაწყველიც იყო...) და იშვილეს (მათს საუბედუროდ და სოფლის სავალალოდ!), თუმცა... მალე დედაც გარდაეცვალა, ცოლი ტრაგიკულად გამოეცალა ხელიდან და ღვთისგან დასჯილი მათხოვრულად მოკვდა.

ხალხთან ჩადენილი ცოდვა და დანაშაული არ აპატიო ღმერთმა! ბოროტების ბოლო – ამ ქვეყნად მათხოვრული ყოფაა, იმ ქვეყნად კი – ალბათ ჯოჯოხეთი!

... ნუ იქნებით ბოროტები, აკეთეთ კეთილი საქმე და ნუ ელით ქებას და ტაშისცემას – მას ღმერთი მოგამადლებთ...

ნუ ივლით სატანის გზით!...

2010 წელი.

**უზენაესის კარნახით
(შემოკლებით)**

სამოცდაათიანი წლების შემდეგ ჩემში რაღაც მოხდა: მესამე გამოცხადების შემდეგ ყავაზე მკითხაობა ჩამინერგეს “ზემოდან”. უხილაგმა და იღუმალმა ხმამ შთამაგონა (ღვთიურმა) მელაპარაკა და მიმახვედრა – რჩევა მიმეცა მსურველებზე. სხვათა შორის, ბავშვობიდანაც ვილაც უჩინარი მახვედრებდა – ამინდს, ფათერაკს და ბევრ რამეს.

ღმერთის ძალიან მჯერავს, მისი სახელის ხსენების გარეშე ნაბიჯს არ ვდგამ, ღვთით ვიძინებ და ვიღვიძებ. ხშირად ვკითხულობ ლოცვებს (მაგრამ მაინც არასაკმარისად – ზღვაში წვეთია!..) და ღმერთს თუ რამე ვთხოვე – მისრულებს კიდევ – პატარა წარმატებებს, ხიფათის აცილებას, ამინდის ცვლილებას და სხვა. ერთი წამითაც არავინ იფიქროს, რასაც აღწევს, ეს თავისითაა – არა, ბატონო, თუ ღმერთს არ ნებავს, ვერც ვერაფერს მოეწევი!

ყავაზე მკითხაობა ვახსენე...

ძალიან ხშირად, ვამთხვევ თუ მართლა ვხვდები, ეს მე არ ვიცი, მაგრამ უზუნაესი იმას მოაფლენს, რასაც მათქმევენებს. ძალიან არ მიყვარს ყავის ფინჯანში ცქერა, მაგრამ ისე შემიძინდებიან, თავს ვეღარ ვიძერენ, არადა, მწარე სიმართლის თქმა რამდენად სასიამოვნოა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ!.. ზოგი დაგაფიცებს კიდევ – სწორი მითხარიო, და მაშინ უხერხულობაში ვვარდები... ოჯახაშენებულო, თუ ჩემი გჯერა და მოხვედი, დაფიცება რაღა საჭიროა?!

მოვიყვან რამდენიმეს მაგალითისთვის (ყველას არ ვიხსომებ). ნათესავმა მთხოვა – რაღაც მითხარიო. ჩავიხედე ფინჯანში, არ მომეწონა და დავდგი.

– გაფიცებ, მითხარი რაც არი – არ მომეშვა ფატი (დისშვილის მუღი იყო).

– ერთ თვეში თქვენს სახლში ტირილს ვხედავ... და სხვა რამეებიც ვუთხარი.

– ვაი, ავად არავინაა და... რა ვიცი, რა ვიცი...

სამაგიეროდ მე ვიცი, სასიკვდილოდ ვერავინ გაიმეტა (ბუნებრივიცაა). ოცდამერვე დღეს (ვითვალე...) ძმა მოუკვდა – საღსალამათი, წამოიქცა და მოკვდა!..

„ყავით მოწამლულებს“ თავს ვარიდებ. ისედაც ვხვდები ღვთის კარნახით. ფინჯანი არაფერ შუაშია, სატყუარაა მხოლოდ.

ერთხელ მეგობრის მეუღლე მეუბნება:

– გუშინ რომ ქალი გაჩვენეთ, ზაპოროუეში კომპიუტერში გაატარეს და ორი წელი მისცეს სიცოცხლის გარანტია, კიბო აქვს საწყალს, თვითონ არ იცის (იმ ქალს ვიცნობდი ერთი სკოლიდან).

– ეგ ქალი ათ წელზე მეტს იცოცხლებს... ცდება კომპიუტერი!

– კომპიუტერის არ გჯერა კაცო?!

– მე ღმერთისა მჯერა, კომპიუტერი ციდან არ ჩამოუტანიათ, ადამიანმა მოიგონა, ადამიანები კი – ცდებიან.

– ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ... ნამდვილად იცოცხლებს?

– ჰო, ათ წელზე მეტს, მგონი ცამეტს!.. ეს ღმერთის საქმეა!..

იმ დღის შემდეგ მართლა ცამეტი წელი იცოცხლა (ბოლოსდაბოლოს ადამიანი კვდება ხომ?!).

სხვათა შორის, ხშირად მალაპარაკებენ, მე კი გასამრჯელო არასოდეს ამიღია.

... ერთ ნათესავს ვუთხარი, არააჭარელზე გათხოვდები-მეთქი... მეგრელი ჩამოსიდა. მეორე ნათესავს ბინის შექმნის თარიღი დაგუსახელე, დაემთხვა...

ერთმა გოგომ – როდის გავთხოვდებიო... ავისტოს თვრამეტში-მეთქი. ერთი დღე არ გადაცილებულა... ძალიან მწარე კი ის იყო, დედის ძმის სიკვდილი წინასწარ რომ მამცნეს!

მაგალითები ბევრია და ნურც გაიკვირებთ, ნურც გაზვიადებად ჩამითვლით – ღმერთი მკარნახობს და სხვაგვარად არ შემიძლია... რეალობაში ადამიანებს კარნახი სხვაგვარად მიაჩნიათ. არა, ჩემო კარგებო, გააჩნია, ვინაა მოკარნახე... მე კი ვიცი, რომ მკარნახობს უზენაესი. თუ ვცდები და ხანდახან ავი რამ მემართება, ესეც ღვთისგანაა და ვიცი, რომ გამოცდას მიწყობს, ცოდვებს ამ ქვეყნად მახდევინებს და კიდევ – განსაცდელის სიმწვავეს და ტკივილს.

მე ხომ ანგელოზი არა ვარ, რაღაც ცოდვები მეც მაძიმებს... ვინც დააბიჯებს დედამიწაზე ყველა ცოდვილია და იმიტომაც მიტმანნილი მიწაზე, თორემ უცოდველი ხომ ანგელოზია, რომელიც არც ჩანს და უსახდვრო, ღვთისმიერ გაჩენილ სივრცეში დანავარდობენ...

ჰო, კარნახით – ცხოვრებით გამოწვეულ სიმძიმეს მიადვილებს არსთაგამრიგე, რომ სამოთხეში განწმენდილი მიმიღოს...

კარნახი მეთქი!

ეს ღვთის ნებაა, ამიტომაც მკარნახობს და რა ვქნა... დაილოცოს ღვთის სახელი და ძალა!.. რა არ შეუძლია!.. ხოლო, საერთოდ, მხოლოდ სინანულით, ღოცვა-ვედრებით, მონანიებით მიიღწევა

განწმენდა, ანუ კათარზისი და ხდება შესაძლებელი მიახლოება გამწმენელთან, არსთავამრიგესთან.

ირწმუნეთ!..

სულთა გამოცხადება (შემოკლებით)

როგორ აღიქმება სულთა გამოცხადება?

ეს მოვლენა აღწერილია მრავალ ფანტასტიკურ, სათავგადასავლო თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. ნაწილობრივ ზღაპრებშიც.

რას აქვს ადგილი ამ დროს?.. აი, რას – ხდება საგანთა გადაადგილება, ჭიქიდან წყლის გადმოღვრა, ჭურჭლიდან საჭმლის გაქრობა, აალება და ათასგვარი ამოუცნობი რამ. ხშირად კი, მოჩვენების – ლანდის სახით მოვევლინება ხოლმე ადამიანს ფიგურა, ხშირად მოლაპარაკეც, მაგრამ არამატერიალური, უსხეულო.

მაგალითად, ინგლისში, ბუკინგემის სასახლეში ჰქონდა ადგილი მსგავს შემთხვევებს. საფრანგეთში, რუსეთში და სხვადასხვაგან!... რა ხდება?..

თუ ვინმე უსამართლოდ მოიქცა, ცოდვებია ჩადენილი – გარდაცვლილის თუ მოკლულის სული ტრიალებს დანაშაულის ადგილზე და სანამ შურს არ იძიებს, არ ტოვებს იქაურობას... როგორ ხდება შურისძიება?.. ხშირად ფიზიკური დაზიანებით, უმეტეს შემთხვევაში ჭკუიდან გადაცდომით, დაშინებით და სხვა... ლანდისა ყველას ეშინია!..

მეცნიერულ ნაშრომებში, რელიგიურ წიგნებში აღწერილია და ხალხშიც გავრცელებულია აზრი, რომ სული ორმოც დღეს არ ტოვებს იმ ადგილმდებარეობას, სადაც თავისი პატრონი ატარა. მერე ღვთის საქმეა ყველაფერი. ხოლო თუ მართლაც დანაშაული მოხდა, სული იქნებ განუსაზღვრელი დროით დარჩეს იქვე!..

გასული სუკუნის ბულგარელი ნათელმხილველი – ვანგელია სტოიანოვა (ვანგა) ადასტურებდა სულთა მოძრაობის სინამდვილეს. იგი სულებს, ყოფილ ადამიანებს, ესაუბრებოდა ჩვეულებრივად, ისე, როგორც ცოცხლებს... მისი თქმით, ადამიანები ჩვეულებრივად, დამოუკიდებლად დაფრინავენ ჰაერში...

რასთან გვაქვს საქმე?.. ისინი იქნებ მართლაც დაფრინავენ, მაგრამ დავინახავთ კი ჩვენ?..

ჩემი ბაბუა ვერაგულად მოკლეს. ჩემს სახლში სულის გამოცხადებას ადგილი ჰქონდა, რომელსაც ყარაყურას ვეძახდით... იქნებ ბაბუას სული დაფრინავდა და ხშირად გვაწუხებდა იმისთვის, რომ მის გამო შური არ იძიეს?... ხშირად გვახსენებდა ალბათ თავს ამის გამო... რამდენს უნახავს ღამით დაღვევებული ღანდი. ერთის (ზოგიერთების) თქმით – დღეეში... ღოდზე ღოცულობდაო და მისთანა...

ვანგასეული ადამიანები, რომლებიც დაფრინავენ, იქნებ ასეთ რაღაცებს სწავლიან კიდევ?... არსებობენ ისინი, მაგრამ საკვირველება ისაა, ერთხანს მასიურად იყვნენ და მერე ‘აორთქლდნენ’. თუ რატომ მოდიოდნენ და რატომ ‘დაგვანებეს’ თავი, ეს ღმერთმა იცის, იქნებ მეცნიერებმა ახსნან, მაგრამ ამის ამხსნელი ზუსტი მეცნიერება არ გამოჩენილა ჯერ!.. ალბათ, არც არასოდეს იქნება...

სულთა გამოცხადება გარდასახულ ფორმაში, ცხადლივ აღვიქვი 1995 წელს, ერთ ოჯახში ყოფნის დროს, სადაც ოთხი ქალიშვილის შემდეგ მეხუთეს, – ბიჭს ელოდნენ. (ეს მეც ვუწინასწარმეტყველე, მანქანაში მჯდარი ქალი რომ დავინახე, მის ქმარს, მძღოლს ვუთხარი – ბიჭი შეგეძინება-მეთქი და ძალიან გაიკვირვა...)

ქალის მშობიარობის წუთებში ორი ჩიტი დაფრინდა – ერთი სახლის მოაჯირზე, მეორე – ჩემს დაზგაზე, მოუსვენრად ჭიკჭიკებდნენ, არ მიფრთხოდნენ და თვალებში შემომყურებდნენ, ძალიან ახლოს მოვიდნენ ჩემთან... ოჯახის წევრებს ვუთხარი – ეს ჩიტები გარდაცვლილი თქვენი მშობლების სულები არიან, ჩიტებში განსხეულებული-მეთქი... ჰო, ასე იყო, ძალიან უხაროდათ და მოუსვენრობდნენ.

გარდაცვლილი ვის არ ენატრება, მაგრამ რაც მე განვიცადე (აღვიქვი), ეს ნატვრაზე მეტი იყო... დედაჩემის სული გამომეცხადა და ცხადში გავიგონე, ზედა სართულიდან დამიძახა ისე, როგორც სიცოცხლეში იცოდა... ამგვარი ბევრჯერ განმეორდა...

ადამიანი ძილში ბევრ რამეს ნახავ (სიზმრად), მაგრამ რაც ვნახე, ესენი სიზმრად არ შეიძლება ჩაითვალოს – ისინი გამოცხადებებიან, რომელთაც რაღაც მინიშნებები და ღვთიური ძალა გააჩნიათ, იმგვარად თუ რა უნდა გადახედეს და სწორედ ამიტომ უზუნაესი სულს აგზაენის ანგელოზის სახით...

სხვათა შორის, სულის ხელმეორედ ჩასახვას ჰქონდა ადგილი ინდოეთში. ბიჭის მშობიარობას გადაყოლილი დედის სული ვილაცას

ჩაუსახლდა და ქალად მოვევლინა სამყაროს... შანტი დევი იყო ამის მაგალითი...

ცნობილია, რომ მეცნიერთა დასკვნით და ღვთიური წიგნების განმარტებით, ადამიანის სულის რეინკარნაცია (ხელმეორედ განსხეულება) თორმეტჯერ ხდება, იშვიათად მეტჯერაც... ჰოდა, აღარაფერია გასაკვირველი, უცნაურობები ღვთის ძალით ხდებოდა და კვლავაც მოხდება!..

2010 წელი.

ნოემდე და მის შემდეგ

... ბურუსში გაეხვია დედამიწა, ქვეყნიერება. დღესა და ღამეს ერთფეროვანი, მქრქალი ნათელი ანათებდა. მზე სანატრელი გაუხდათ დედამიწელებს. აღარ იგრობობოდა დღისა და ღამის მონაცვლეობა პლანეტა დედამიწაზე. მოზოზინედ მბრუნავი მიემართებოდა თავის ორბიტაზე. საგრძნობი გახდა მისი შენელებული მოძრაობა ღერძის გარშემო – ბრუნვას ანელებდა, გაჩერებას აპირებდა თითქოს.

კოსმოსში, დედამიწის სიახლოვეს, უზარმაზარი პლანეტები ერთდროულად გადაადგილდებოდნენ, მის ორბიტას ჰკვეთდნენ, სულაც მის ახლოს მოძრაობდნენ. ყოველივე ამან დედამიწის მაგნიტური ბალანსი დაარღვია...

ზეცივილიზებული იყო ამ დროისთვის დედამიწის მოსახლეობა. ცივილიზებული მსოფლიო გაუგონარ-დაუჯერებელ ძალას ფლობდა. ადამიანის გონებას ემორჩილებოდა ყოველგვარი ხილული. მაგრამ სამწუხაროდ ბურუსის გაფანტვა ვერ მოახერხეს – მათ საამისო გამოცდილება და ცოდნა არ გააჩნდათ.

დედამიწა გრიალ-გრუსუნითა და დგანდგართი განაგრძობდა მოძრაობას. დიდი ხნით ჩამოწვა ბურუსი. არავინ უწყოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. უეცარმა სიცივემ დაისადგურა. აძიგბიგდა დედამიწა – მიწისძვრებმა და ვულკანებმაც თავისი ჰქნეს – ბურუსის სქელ წყვილადში გაეხვია.

გრიალ-დგანდგარს სიცივე და ყინვა დაერთო. მოისრა ზეცივილიზაციები. მყინვარმა დაფარა დედამიწა.

ბიბლიურ ნოემდე რამდენიმე მილიონი წელი იყო მსაზღვრელი!

... ჩაწყნარდა ყოველივე. მზემ თავისი ცხოველმყოფელი სხივები ისევ უბოძა დედამიწას. დღეცა და ღამეც ყალიბში ჩადგა, ოღონდ

დედამიწამ პირუკუ დაიწყო ბრუნვა, მანამდე საპირისპირო მიმართულება გააჩნდა, ელიფსური წრის და თავისი ღერძის გარშემო.

ეს დედამიწისთვის უცნაური სულაც არ იყო – სულერთი იყო, საიდან მიაწვდიდა მზე სხივებს. მანამდეც არსებობდა (ალბათ...) აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი... ეს ადამიანთა ცნობიერებით, თორემ ქვეყნიერების ბატონ-პატრონს ესენი არ სჭირდებოდა...

მზე თუ დასავლეთიდან (მაშინ ალბათ აღმოსავლეთი ერქვა, თუმცა მხარეების გამმიჯნავი დედამიწას არა აქვს) ამოდიოდა, ახლა აღმოსავლეთიდან დაიწყო ამოგორება და... (ალბათ, ნოეს შემდეგ მოხდა მხარეების დაყოფა – საიდანაც მზე ამოდიოდა, იმ მხარეს აღმოსავლეთი შეარქვეს, თორემ მზის ერთად რომ ვიმორაოთ ‘დასავლეთისკენ’ დედამიწის ირგვლივ, საპირისპირო მხარეს სულ აღმოსავლეთი იქნებოდა).

... (დღევანდელი გაგებით, – მზე დასავლეთიდან ამოდიოდა...)

... დედამიწაზე სიცოცხლე გაჩნდა კვლავ – ასე ეწადა ქვეყნიერების შემქმნელს... ის, რაც დღეს არსებობს დედამიწაზე, ახალი ცხოვრების პირმშოა, თორემ იმ გლობალურ წარღვნამდე, რასაც დედამიწის პირუკუ ბრუნვა მოჰყვა, სულ სხვაგვარი ფლორა და ფაუნა ყვაოდა, ოღონდ ადამიანები უფრო განსხვავებული იყვნენ. დიახ, ცივილიზებული და გოლიათური აგებულების. (აფრიკაში ოთხმეტრიანი ჩონჩხიც აღმოჩნდალ...), თითქოს უაღრესმა ცოდვებმა გაანადგურებინა სიცოცხლე ქვეყნიერების შემქმნელსო... იქნებ ასეც იყო სინამდვილეში, მაგრამ ის, რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო. ქვეყნიერების შემქმნელს ასე ჰქონდა დაპროგრამებული.

... ესლა არმოსავლეთიდან ამოდის მზე, დღე-ღამის მონაცვლეობა თითქოს კანონზომიერების ფარგლებშია... ნოედან დიდი დრო გავიდა – ის, რაც საკმარისი იყო კაცობრიობის ხელახალი განვითარებისათვის, თუმცა როცა მზე ‘დასავლეთიდან’ ამოდიოდა, იმ პერიოდის ცივილიზაციებს ვერასოდეს მიუახლოვდება კაცობრიობა. იქნებ მიუახლოვდნენ რაღაც საფეხურს, იქნებ მათზე აღმატებულიც შექმნან, მაგრამ თუ მამაზეციერს ასე სურს, ასეც იქნება...

... პლანეტები თითქოსდა მოწესრიგებულად მოძრაობენ თავთავიანთ ორბიტაზე, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ისინი რაღაც ქაოტურობას მაინც ინარჩუნებენ – პატარა პლანეტებზე კატასტროფულად მოქმედებენ...

პატარა პლანეტაა დედამიწაც!..

... ღმერთმა ხელმეორედ გააჩინა ადამიანი დედამიწაზე. მათი გონი ისე მომართა, რომ გარდასული ცივილიზაციების მიღწევებს უნდა მიუახლოვოს. ის, რასაც ღმერთი აკეთებს, მცირედი შესაძლებლობით, სასწაულად, მარიამს მოუვლინა – შვილი გააჩენინა მამაკაცის გარეშე (მაგრამ მაშინდელმა ‘ცივილიზებულმა“ სამყარომ ეს მას მეძავობად ჩაუთვალა...).

ეს მსოფლიომ ანომალიურ მოვლენად ჩათვალა, სატანისტებმა უფრო დიდ სატანას მიაწერეს ეს შემთხვევა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დედა-შვილიც სატანად მიიჩნიეს. (დღესაც მსგავსი ანდაზა არსებობს – მაძღარს მშვიერიც მაძღარი ჰგონიაო...).

ადამიანთა ყოველგვარი თვისება ქრისტეში განსახიერდა და ღმერთმა ცაში აიყვანა, იმისთვის, ადამიანთა შესახებ სწორად თუ მოახსენებდა. თუმცა – ღმერთმა ხომ ყველაფერი იცის?!

მას ხელმეორედ მოაველენს, მანამდე კი?!

მანამდე ისევ ქაოსი იქნება და ვერავინ ვერაფერს მოუძებნის ახსნას, თუნდაც იმიტომ, რომ ადრიატიკის ზღვაში ადამიანისთავიანი თევზი რომ გამოჩნდება და ვერაფერს გაუგებენ, ისევ სატანას მიაწერენ... (მამაჩემის ნათქვამი, ქითაბში ამოკითხული: იმ თევზს თავზე ძალიან მნიშვნელოვანი რამ ეწერებაო...).

P.S. დღესდღეობით ქვეყნიერებაზე ძალიან ბევრ მიღწევას აქვს ადგილი, მაგრამ მსოფლიოში ცივილიზაცია არ არსებობს ამ დასახელების შესაფერისი დონისა. ეს მიღწევები ცივილურ სამყაროს მიეწერება, თუმცა საოცრებები აღარ ხდება. როცა ქრისტეს დაინახავენ ციდან დაშვებულს, იქნებ მაშინ ირწმუნონ უწმინდესი დაჯერებით ღმერთის არსებობა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც შემაწუხებლად მიუდგებიან ქრისტეს მეორედ მოვლინებას და იქნებ ეს იქნება ქვეყნიერების დასასრულის დამადასტურებელი...

ჩემი ღრმა რწმენით, ღვთის კანონების უხეში დარღვევა იქნება, რამდენიმე დღის მკვდარს რომ გააცოცხლებს მედიცინა. იქნებ ეს მართლაც შეძლონ, თუმცა ღმერთს ადამიანი თავის სახედ იმიტომ არ შეუქმნია, მისი ნამოქმედარების განსჯა და გაკრიტიკებაც დაიწყო... ეს მკრეხელობაა და ამის ვერპატივით გაანადგურებს ქვეყნიერებასაც...

შვედირსოთ ის, რაც გვიბოძა ღმერთმა...

მაგრამ სიჯიუტეს გამოეთხოვება ადამიანი?!

გონს მოვეგოთ!..

2016 წელი.

დაეუბრუნდეთ წიგნის დასაწყისში გამოცხადებულ უცნაურობებს...

1988 წელი, ოქტომბრის თვე. სამუშაოდან სახლისკენ მიმავალმა ჩემი სოფლიდან დასავლეთით, სამ კილომეტრში, სოფელ მახუნცეთის თავზე, იგივე ‘აწჰესის’ ზემოთ, შევამჩნიე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოძრავი, მთვარის დისკოსავით მანათობელი ობიექტი, ჰიდროელსადგურიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის სიმაღლეზე. სიდიდე, ალბათ ოცდაათ მეტრზე მეტი დიამეტრის. მიდამო გადანათებული იყო მთვარის შუქზე უფრო კაშკაშა ნათებით. ამ დროს ილუმინატორებიდან, თუ საიდან არ ვიცი, გამოიჭრა ნაპერწკლოვანი ნათების მსგავსი, თვალისმომჭრელი სინათლე.

გავიფიქრე – კოსმოსიდან კომეტა ხომ არ შემოიჭრა და იწვის-მეთქი, თუმცა ეს აზრი მცდარი იყო. კოსმოსიდან თუ რაღაცნაირად დედამიწის ზედაფენაში (ჟანგბადში, ჰაერში) მოხვედბა ციური სხეული, ხახუნის ძალით ჟანგბადის ფენაში აუცილებლად დაიწვება, ან უკიდურეს შემთხვევაში – აფეთქდება.

ბევრი წამიკითხავს ამოუცნობი მფრინავი ობიექტების (ა.მ.ო.) შესახებ. მას მეორენაირად უცხო ფრენია ობიექტს ეძახიან (უ.ფ.ო). ამ ობიექტების მკვლევარ-მეცნიერებს უფოლოგებს უწოდებენ.

ობიექტი ძალიან ნელა მოძრაობდა, სხივებს იმპულსურად ასხივებდა. მიმოვიხედე – არსად ნათურა არ ენთო – სადგური ფაქტიურად გამორთო. (მსგავსი შემთხვევა ბევრგან მომხდარა).

ობიექტი სოფელ ჯინიშის თავზე როცა გასწორდა, ნათება მთლიანად ჩაქრა. ვეღარ შევამჩნიე, საით წავიდა. რამდენიმე წუთს შეეყურებდი, მაგრამ ამაოდ – აღარ გამოჩენილა.

ელსადგურში არის მძლავრი, ზეთოვანი გამომრთველი, რომელიც მაღალი ძაბვის მოკლე ჩართვის დროს სისტემას თიშავს. ამ დროს მომენტალურად ხურდება ზეთი, ფართოვდება და გამთიშავს ბუდიდან გამოაგდებს.

მეორე დღეს ბათუმში წავედი. ვიდაც-ვიდაცებს შეემჩნიათ ეს მანათობელი ობიექტი და იგერ-აგერ გადაესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ამის მხილველი იყო ჩემი სოფლელი – რეზო თებიძე და ქედელი სერგო შერვაშიძე.

– სინათლე რომ ჩაქრა, ქედას გადავხედე, გადანათებული მიდამო რომ დავინახე, თვალი გამექცა დასავლეთით და ცაში განათებული რაღაც შევნიშნე – მითხრა სერგომ.

ჰესის მუშაკებს ჩვეულებრივი მოკლე ჩართვა ეგონათ და ისევ ჩართეს ამომრთველი. ეს იყო და ეს, მათგან არავის არაფერი უხსენებია, ფაქტიურად არავის მიუქცევია ყურადღება, რადგანაც ღამის საათებში ყველა ტელეეკრანთან არის თავმოყრილი. არც პრესაში ყოფილა ეს მოვლენა და არც ტელევიზორით გამოუცხადებიათ... ე.ი. დავინახეთ “მფრინავი თევზი“, მაგრამ არავითარი ინფორმაცია არ გაგვიცა.

რამდენიმე წლით ადრე კი, აღმოსავლეთით, უფრო ჩრდილოეთის მხარეს ქედის რაიონიდან, ცაში გამოკიდებული რამდენიმე კილომეტრის დიამეტრის მქრქალი ნათების წრე შევნიშნე. თვით წრე ალბათ კილომეტრი სიფართის იქნებოდა, რომლის შიდა და გარე ფონი ღამისეული ცა იყო.

რამდენიმე წუთს შევცქეროდი. ნახევარი საათის შემდეგაც იქვე ‘ეკიდა“ და მივანებე თავი. არც ეს იყო ბუნებრივი მოვლენა, ვინაიდან ამ დროს მეტეოროლოგიური ცვლილება ამინდს არ დატყობია.

მსგავსი მოვლენა ხდება ცაზე – შორეული მანძილიდან, ძირს, მოძრავი – იქნება ეს მატარებელი თუ გემი, რაღაცნაირი მოვლენით, ცაში იძლევა ანარეკლს. უნახავთ ცაში მოძრავი, სამგზავრო მატარებლის შემადგენლობა და სხვადასხვა ობიექტის სილუეტი, მაგრამ ჩემ მიერ შემჩნეული წრის სიდიდის ობიექტი არ მეგულება მიწის ზურგზე. არც ამ მოვლენის შესახებ მომწვედენია ინფორმაცია. სწორედ ასეთი მოვლენების ახსნაზე ვთხოვე უფოლოგ თაღეს შონიას...

ასეთი, მირაჟის მსგავსი, სილუეტური გამოსახულებების შესახებ აღწერილია ა. პერელმანის ‘სახალისო ფიზიკაში“.

გამოუცნობად დარჩა ჩემთვის ორთავე მოვლენა.

ღედამიწაზე სიცოცხლე განადგურდა სამჯერ... სტიქია არსებობს ოთხი: ქარი (ტორნადო, გრიგალი, იზაბელა და სხვა), ყინვა (გამყინვარება); წყალი (წყალდიდობები, ტაიფუნი, ცუნამი, ოკეანეებისა და ზღვების დიდი მიქცევა –მოქცევა), და ცეცხლი (ხანძრები).

ამათგან სამი უკვე ნაწვნევი აქვს ღედამიწას:

1. გამყინვარება – (ნოემდელი).
2. დედამიწის წყლით დაფარვა (ნოეს პერიოდი).
3. ქარის, გრიგალის მოქმედება, (...ის შესახებაც დოკუმენტური ფაქტები არ არსებობს).

სოლომი და გომორი (ქალაქები) თავის დროს ერთ მსოფლიოდ იყო აღიარებული და ცოდვების (მამათმავლობის ბუდე) დატრიალების გამო ღმერთმა ციდან ჯერ გამომწვარი თიხის ქვები (აგური?) დაუშინა ჰუდისა და ლოტის ფეილამბერობის დროს, შემდეგ ქარიშხალი და მიწისძვრაც მოუვლინა და ერთიანად იავარჰყო... გადარჩნენ ისინი, ვისაც წმინდად სწამდა ღმერთის არსებობა.

მე-4 სტიქიაა ცეცხლი, რომლის შესახებაც ადგილ-ადგილ უკვე ვისაუბრეთ. ეს იქნება ბოლო სტიქია... დედამიწას ხანძრები იქნებ ვერაფერს დააკლებს, თუ ზებუნებრივი რამ არ მოხდა: ან მსოფლიოს ნავთობს მოუკიდებენ ცეცხლს და მსოფლიო დაიხანძრება, ან კოსმოსიდან მოედება ცეცხლი – ეს კი ბევრი წინასწარმეტყველებით გველოდება ნამდვილად!..

ერთი ვერსიით, რაც უკვე საეჭვო აღარაა, – მზე ფერფლად აქცევს დედამიწას. ყოველ შემთხვევაში, 2008 წლიდან ჩვენ უკვე სხვა გალაქტიკაში შევედით და წინასწარმეტყველებებით თუ ასტროლოგ-მეცნიერთა გათვლებით, აწე მსოფლიო 'მოსვენებით ვეღარ იქნება!'

სამყარო სავსეა ამოუცნობი მოვლენებით, პიროვნებებით, ობიექტებით. ასევე ამოუცნობია პიროვნებათა სიცოცხლისმიერი ნიუანსები. ღვთის ნება ყოველთვის ერთნაირია, მაგრამ ჰყავს მეტ-ნაკლებად რჩეული პიროვნებები, ვისაც ამცნობს თავის სურვილებს და შეახსენებს ადამიანს თავის უფლება-მოვალეობებს.

მეტ-ნაკლებად ამოუცნობია ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქიკური შესაძლებლობებიც...

ჩემთვის გაუგებარია (ნაწილობრივ) ის უცნაურობები, რომლებიც თავს გადამხდა დაბადებიდან დღეის ჩათვლით, რომლებიც მოვისმინე თუ თვითმხილველის როლში ვიყავი... ბევრ რაღაცას ცოტად თუ ბევრად ახსნა მოუუძებნე, თუმცა კონკრეტული პასუხი მაინც არ შეიძლება გაეცეს ამა თუ იმ მოვლენას...

მოვიტან რამდენიმე უცნაურობის მაგალითს:

1. დავიბადე პერანგით (როგორც ცნობილია, ასეთებს ღმერთი სწვალობთ).

2. დაახლოებით ორმოცჯერ ჩახედე სიკვდილს თვალებში.

3. ამინდის ამოცნობის უტყუარი აღლო მაქვს.

4. წინასწარმეტყველება ნაბიჯ-ნაბიჯ აუხდა გოგი სურმანიძეს.

5. 1970 წელი. ქალაქის მოედანზე მდგარმა, სანაძლეოსათვის, შორს, ლიანდაგზე გადასვლისას გოგო ჩაიმუხლა – ღმერთს ვეხვეწე – შემისრულა.

6. 1981 წელში – თბილისის ზოოპარკში მძინარე გველი ავამოძრავე.

7. პიროვნებამ მაწყენინა ფულის გამო. ყოველ დღით ავი მზერით ვუცქერდი მის სახლს. სახლთან მისული დეღეში გადაიხეხა.

8. ერთმა “მომღერალმა“ სიმღერით წაილაყბა. ავად გადავხედე – რამდენიმე ხანში ენა წაერთვა... მალე მოკვდა კიდევც...

9. ერთმა კაცმა ზიანის მოტანით მაწყენინა – ცეცხლმოღებული ოთახიდან გამოასწრო, მაგრამ... მოკვდა.

10. ერთმა ძველმა კომუნისტმა დელაზე შემაგინა – ხე მოხვდა და დაინვალიდდა.

11. ტყეში მიმავალი კაცი არ მომესალმა, გული მეტკინა. მივაწვეველე – ტყიდან ზურგით ჩამოიყვანეს... დაინვალიდდა.

12. სოფლის უხუცესმა მაწყენინა, დამბლა დაეცა და მალე მოკვდა...

13. დედა შემაგინა, გამარტყა და დანა უნდა დაერთყა ერთ ადამიანს. კიბო შეეყარა და წერილიც წაიღო.

14. ჯერ მამაჩემს, მერე მე – გვაწყენინა ნათესავმა. შეურია. მალეც მოკვდა...

15. დამიშავა ბიძაშვილმა. სულ ფათერაკებშია. ასე წავა ბოლომდე.

16. ნაგანი მომიღერა კაცმა. ისე გადავხედე, მიტრიალდა და წავიდა.

17. ჭაბუკობაში – შეყვარებულზე ხელის შემშლელი მივაწვეველე – კუჭი გაუსკდა და დიდხანს იწვალა... მოკვდა ბოლოს...

18. აღიოღლის ბიჭმა რაღაც წამოილაყბა. ჰკითხა ღმერთმა და აწამებს. ორგანიზმი დაუმახინჯა მამაზეციერმა. ასე ჩავა საფლავეში.

19. ნებიეს მულს ვურჩიე მისი დაძალებით. სამწუხაროდ აუხდა.

20. გურანდა ჯაყელს ბიჭი ვუწინასწარმეტყველე... შეეძინა...

21. ასევე ფალავანდიშვილსაც (და ვინ მოთვლის რამდენს)...
22. ურესში მოიყვანეს კომპიუტერგაფილი და გაუსინჯავი ქალები. ორთავესი ზუსტად გამოვიცანი (შეცდა კომპიუტერი, ვერ კითხულობენ).
23. ნატალია ბერიძეს მთვარის მეშვეობით 'სპირიტუალად' ვესაუბრე.
24. ნატალიას გვერდით გოგონები ისხდნენ. ტვინში ჩაიბეჭდა გვარი 'ხუჯაძე'. გავესაუბრე და ერთი მათგანი აღმოჩნდა.
25. ნუკრის ავტობუსში ციციქნა გოგო მომიჯდა. 'ოქსანა' ჩამომძახა ხმამ... გამიკვირდა... თურმე ამ გოგოს ერქვა.
26. 2000 წელში მიკარნახეს – იმარხეო და მეც სხვა გზა არ მქონდა – ვიმარხე.
27. 1998 წელი. შევალე ძმის ოთახის კარი. ხმამ ჩამძახა შეკითხვის სახით: – ზურაბი უნდა მოკვდეს?!. იმავე სააღამოს გამოგვეცალა ხელიდან.
28. აპრილში, თაკარა მზეში მეზობელს ვუთხარი – გათოვდება-მეთქი. მან ჩემს უკან ჩემი მისამართით თითი მიიღო კეფაზე!.. ორ დღეში არნახული თოვლი მოვიდა.
29. 1999 წელში სიმამრმა მაწყენინა. მალე პარალიჩი დაემართა!.. აფსუს...
30. 2001 წელი. გაუგებრობით დედა შემავინა მეზობელმა. საწყლად მოკვდა მალე. (ასევე მისმა ძმამაც და მალე წაიღო წერილი). (2016 წელი...)
31. 1971 წელი. მძლოლმა მანქანა არ გამიჩერა. გადავარდებო – ხმამ! სამას მეტრში გადაიჩეხა. (რომ გავყოლოდი, იქნებ, აღარ ვიქნებოდი...).
32. ზემო მიწის გამო ჩაქვში მაწყენინეს... ჰკითხა ღმერთმა...
33. თამაზ შოთაძეს ვუთხარი: ეს წელი თუ მშვიდობით გალიე (1999), ამდენს იცოცხლებ-მეთქი... ველარ გალია მშვიდობით. დაიღუპა ავტოავარიით...
34. ზენდიდელმა ქალმა ნანულის გამო რაღაც წამომძახა. მალე ენა წაერთვა და მალეც მოკვდა... (ვინც დამიშავა, ვერავინ გაიხარა). ვერც გოგომ!.
35. 2002 წელი. ბაბუნოღლებში მაღაზიაში ვსვამდით სამი კაცი. მამია ვერძაძე წამელაყბა, ვუთხარი – ღმერთი მალე გაგცემს მაგაზე პასუხს-მეთქი. რამდენიმე დღეში ტყვიის წერა შეიქნა (ტრაგიკული სიკვდილი...).

36. დის ქმარმა დამიშავა... გკითხავს ღმერთი-მეთქი, აუხდა.
37. თუ წავედი ავადმყოფის სანახავად – ან ჩემ მისვლამდე კვდება, ან მონახულების შემდეგ!
38. ქამიღმა სადილზე დამპატიოა. ქამიღ, შემეშვი, ეზრალი თან მახლავს, დედაშენი კი მწოლიარე ავადმყოფია, არ გეშინია-მეთქი?! იმ ღამით მოკვდა...
39. ერთ ადგილას ქალი დიდხანს წვალობდა. მადლი არ გინდა? ინახულო – მთხოვეს. ეზოში შევიარე მხოლოდ... მესამე დღეს მოკვდა.
40. ჩემს ბაღში ქვისლი ხურმას კრეფდა. მე შორს ვიყავი, მაგრამ მათი ხმაური ცოტა მესმოდა. მომხედეს და უცებ ახარხარდნენ. ღმერთს ვეხვეწე – თუ რამე წაილაყბა, ჩამოაგდე-მეთქი. წამიც და... ჩამოვარდა... ეს იყო მისი სიკვდილის მიზეზიც – რაღაც დაუზიანდა, თუმცა მას თავში 'უკვე ჰქონდა დაზიანება'!..
41. გულმა ჯვრალ თავდგირიძესთან გამიწია. პირველად ვესტუმრე. მწოლიარე დამხვდა. გულმა ავი მიგრძნო... რაღაც რჩევები მივეცი, იარა კიდევ, მაგრამ... ათი დღის შემდეგ გარდაცვალება გავიგე.
42. მეზობელმა საგვარეულოს სახლი 'მამსხვერპლებინა'. ღმერთი გკითხავს-მეთქი... წინ ვერასოდეს წაიწევეს – არ შეიძლებოდა ამ სახლის დაშლა... მეც მომკითხა ღმერთმა... დიდძალი თანხა დაუჯდა ეს 'კაიკაცობა'... ეს ჟურნალია...
43. იარაღი ვისროლე და... დამიშავეს... ხიფათშია ყველა... ზოგი მოკვდა!..
44. სოფიკო გალოგრემ თანხაზე მალაპარაკა... შენი უფალი გაზარალებს-მეთქი... მადევეც აუხდა.
45. ავადმყოფ დას ვესტუმრე ღამით. დღით მივხვდი – ერთი წლის სიცოცხლე დარჩენოდა. კიდევ გნახავ-მეთქი, მაგრამ... ერთი წელი არ უცოცხლია!..
46. მეზობლის ბიჭი უხეშად მოიქცა, მალე ბაღია იზარადა.
47. 2000 წელში თბილისში წიგნის დაბეჭდვაზე მაზარაღეს. ხანძარი გაუჩნდათ!..
48. მეგრელიშვილმა წიგნის გამოშვებაზე ხათაბალა ამკიდა... დაისჯები-მეთქი და მართლაც დაისაჯა, მალე განუტევა ცოდვილი სული.
49. მისმა ქალიშვილმა წიგნის აწყობაზე (გამდლიტა!). უკულმა წაუვიდა ყოფა!..

50. გიორგაძის პარტიის წევრები რეპრესიაში მოგვაყოლეს. დანმაშავე ღმერთმა დასაჯა – წაათრია ჯოჯოხეთისაკენ...

51. რის ვაი-ვაგლახით წიგნის თანხა ვიშოვე. ტირაჟი გაუბედურებული ჩამაბარეს. ვუსაყვედურე ხმის აწევით. სიხარულიძეს უკუღმა წაუვიდა საქმე – ძიებაშია. სტამბის ხელმძღვანელმა მალე განუტევა სული (2015 წ.).

ამ ჩანაწერებზე შთაბეჭდილება დარჩებათ, თითქოს დავწვრილმანდი – ნურავის ეგონება ასე... წვრილმანები არ არსებობს... რაც ადამიანის სიცოცხლესა და მის ყოფიერებას შეეხება, მნიშვნელოვანია ყოველივე!.. პატარა ნაკადულებით ივსება დიდი დედეები და მდინარეები!..

რაც შეეხება ჩემს აურას და კარმულ მონაცემებს – როცა ვიცი, რომ ჩემზე “ზიანის მომყენებელს“ ღმერთი აუცილებლად მიუზღავს, ვაფროთხილებ... ვინც შეისმენს ხომ კარგი, არ შეისმენს და თავისთავს დააბრალოს, გული არ გადამიბრუნდება!..

ვაკეთებ პოლიტიკურ ნახტომს:

...ჩვენ ისეთ გეოპოლიტიკურ სიბრტყეზე ვართ, სადაც ყოველთვის მოსალოდნელია ცხელი წერტილების გაჩენა. ისევ იყნოსება დენთისა და სისხლის სუნი...

2008 წლის საშიშროებაზე ამ მონათხრობში მოცემული მაქვს. ეს მარტო ჩემეული განაფიქრი არაა – იგი ასიათასებს და მილიონებს აღელვებდათ, მაგრამ ჩვენი ფიქრი ქარმა გახვეტა.

სახელმწიფოთა მეთაურებმა გამოუსწორებელი ავანტიურა ჩაიდინეს და ვაი რომ, ეს არც პირველია და არც უკანასკნელი... გაუმართლებელი, გამოუსწორებელი რამ გველოდება კიდევ!.. შედეგი კი არასოდეს იქნება კეთილი!.. ღმერთმა დაგვიფაროს!..

ჭკუას უნდა მოხმობა – გადავარჩინოთ საქართველო...

ძალიან ბევრმა, გაფანატიკებულმა კომპილატორმა მოიყარა თავი საქართველოს ირგვლივ. რამე რომ მოხდეს, ისტორიულ სიმართლეზე პასუხისმგებლობას ისევ სხვას მიაწერენ!..

მესიზმრა: საკაშვილი და პუტინი ცეკვავენ. ჩავილაპარაკე – ახლა თუ წამოიკიდა პუტინმა და ჟვერა ძირში-მეთქი და მოვცილდი. პუტინმა ქართულად მომამახა: რისთვის უნდა წამოვიქნო, არაფერი

დაუშავებია... მეორე ოთახში საზღვარგარეთის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ...

კომენტარი: აურზაურით და ხმაურით დატოვებენ ძველი მთავრობის წარმომადგენლები საქართველოს, ინციდენტებიც მოხდება შესაძლოა... საბოლოოდ ბევრი ემიგრაციაში წავა, იმის შიშით, არ დაგვაპატიმრონო... ვისაც საქართველო უყვარს, არჩევნების შემდეგ არსადაც არ წავა, მაგრამ ვის უნდა მოთხოვო საქართველოს სიყვარული – ცოტნეები აღარ არიან და ყორღანაშვილები – რამდენიც გინდათ!.. შადიმანებითაა საქართველო გადატენილი... ამდენს რომ ლაილაობენ, ფულის სიყვარული ალაპარაკებო...

... ქართველებმა არც მონანიება იციან, არც ბოდიშის მოხდა, თითის მოღუნვაზე ხომ ზედმეტია საუბარი...

ოთხმოცდაათიანი წლებიდან ძალიან ბევრი გამაიმუნდა... (ბანანები მაინც იქნებოდეს საკრეფი...). შოუებითა და ტაკიმასხარობით ცდილობენ მასების გართობას... შევარდნაძემ ‘კარგი მემკვიდრეები’ დაუტოვა ქართველ ხალხს... ესენი ყოველთვის იცდილებენ მაღალი წოდების, თბილი ადგილისა და თვით ‘მეფის ტახტისათვის’. ასეთი მცდელობა მტრებს ხელ-ფეხს უხსნის საქართველოს ყოველნაირად დასასუსტებლად, ქართველის ხელით საქართველოს ერთიანად მოსპობისათვის ქართული სისხლის დაღვრით... ნუ ვათქმევინებთ ხალხო უცხოებს – საქართველოში ქირურგიული ჩარევაა საჭირო, რომ ადამიანებად იქცნენ... და კიდევ – ქართველები უნდა მოსპო და ახალი თაობა უნდა გააჯიშო!.. მოსაწონია?! საქართველოში, გარედან შემოსული, არაინაა ჩვენი მეგობარი, არც არასოდეს გახდებიან...

ამას ვერ ხვდებიან დღეს ‘მოღვაწე’ ახალგაზრდები და ისეთ დუღუკზე ცეკვავენ, სახელოვან წინაპრებს საფლავშიც არ აძლევენ მოსვენებას...

მოვიცილოთ შემოპარული სენი, გონზე მოსვლა გემართებს!...
2012.13.09.

მცირე ჩანართი:

ქვეყნიერებას რომ რაღაც ძალა მართავს, ნურავინ დაეჭვდება... ხანდახან ციციანათელებით გაიელვებს იმისთანა უცნაურობა, ახსნას ვერავინ მოუძებნის...

მე და მამანემი სოფელ ზესოფელში სტუმრად ვიყავით. ჩემ დაძინებამდე მამანემმა დაიძინა (იქნებ არც კი)... ვხედავ – საბნინად ავარდა საწოლზე და საწოლებ შუა პირქვეჩამსობილი დაეცა. წამოვაყენე და დაწვა, მაგრამ მე დილაძდე თვალი არ მომიხუჭავს!... არ ვიცი, რა ძალამ იმოქმედა ასე... ადგილმდებარეობამ არ მიიღო, არ იყაბულა მისი სტუმრობა თუ რა, დღესაც ვერ გავრკვეულვარ...

მცირე ჩანართი:

რიცხვები, რომლებიც მართავენ ჩემს აურას (9-იანია სატანისეული, დანარჩენი –საკრალური:

1. დაბადების წელი – 1946 წ. $1+9+4+6=20$ -ს.
2. სკოლა დავაშთავრე – 1964 წ. $1+9+6+4=20$ -ს.
3. ქორწინების წელი – 1973 წ. $1+9+7+3=20$ -ს.
4. ინფარქტი მომივიდა – 2009 წ. $2+0+0+9 = 11$ -ს. $24/12 = 2+4+1+2=9$. $11+9=20$.
5. პირველი ბავშვი ჩაისახა – 1973 წ. $1+9+7+3=20$ -ს. დაიბადა 20 რიცხვში.
6. ოპერაცია ჩავიტარე 20 მაისს.
7. პირველი წიგნის სახელწოდება = 20-ს
8. ძმა დამელუპა ტრაგიკულად – 1950 წ. $2/1=1+9+5+0+2+1=9$ -ს.
9. დედა გარდამეცვალა – 1976 წ. $3/1 = 1+9+7+6+3+1=27=2+7=9$ -ს.
10. მამა გარდაიცვალა – 1979 წ. $2/VIII = 1+9+7+9+2+8=36=3+6=9$ -ს.
11. II ძმა გარდაიცვალა – 1998 წ. $8/I = 1+9+9+8+8+1=36=3+6=9$ -ს.
12. ძმისშვილის პოვნიდან 9 წლის შემდეგ დამაკლდა ძმა, მისი მამა.
13. ჩემი დაბადების თვე და რიცხვი = $9/4=9+4=13$ -ს.
14. ჩემი სახელი და გვარი – ჰაიდარ სამნიძე =13 ასოს.
15. დაბადების თვე, რიცხვი ძველით = $28/III = 2+8+3=13$ -ს.
16. ტელეფონის ნომრებში ურევია აუცილებლად რიცხვი 13.
17. ოპერაციიდან გამოვიღვიძე – 2011, $22/5 = 2+0+1+1+2+2+5=13$ -ს.
18. პირველი ლექსი დავწერე 1959 წელს, ვიყავი 13 წლის.
19. დედის სიკვდილიდან 13 წლის შემდეგ შევიძინე მანქანა.
20. ვიპოვე ძმისშვილი. დედის სიკვდილიდან 13 წლის შემდეგ
21. მანქანის შექენიდან 13 წლის შემდეგ გამოვეცი პირველი წიგნი.

საერთოდ, ჩემი თანმდევი რიცხვი 13-ია. ვთვლი ბედნიერად!
ერთი რესპონდენტის შენიშვნა: 9-ციფრი დაკავშირებულია ერის
აღზევებასთან, გაერთიანებასთან თვითმყოფადობასთან... ეს ბლეფია.
9-იანის მართლა გჯერათ ხალხო? ხომ ხედავთ რამდენი უბედურება
მოგვაწვია ცხრიანმა თარიღმა... ჯობს გავაუქმოთ ისევე, როგორც
ზოგიერთ ქვეყანაში რიცხვი 13.

არ გჯერათ რომ უბედურია?..

მაშ, მიენდეთ, ღმერთმა დაგიფაროს!..

P.S. ჩემი გარდაცვალების დაახლოებითი თარიღი ვიცი: 80 წ.
9 თვე და ოცი დღე. ანუ 2027 წლის 5 თებერვალი.
 $2+0+2+7+5+2=18=1+8=9$ -ს! თუმცა არც ესაა ჩემი საქმე... საერთოდ კი
ვარაუდებს რწმენად ვერ ვაქცევ და ვერც ჰიპოთეზას – ზუსტად
დადგენილ ფაქტად...

კიდევ ერთი განმარტება 666-ზე

ხშირად მომისმენია შეკითხვა, თუ რატომაა კრიალოსანზე
მაინცდამაინც ოთხმოცდაცხრამეტი თვალი. სასულიერო პირები
უმაღ უპასუხებენ: ოთხმოცდაცხრამეტი სახელი ჰქვია ღმერთს და
ამიტომო...

რატომ მაინცდამაინც აღნიშნული რიცხვი?.

ჯერ ერთი ვინ დაუდგინა ღმერთს მაინცდამაინც ამდენი სახელი
და თუ მაინც ასეა, რატომ, მეტი არ შეიძლებოდა?

მე ჩემებური ვარაუდი მაქვს: პირველი ოცდაცამეტი, ვფიქრობ,
ქრისტეს სიცოცხლის ასაკის აღმნიშვნელია...

ჰო, რატომ ოთხმოცდაცხრამეტი?

მეორე ოცდაცამეტი უკვე იესოს შემდეგ მოვლინებულ მოციქულს
უნდა ეკუთვნოდეს (არა სიცოცხლის ხანგრძლივობა!..). ხომ ამბობენ,
ღმერთი სამობითააო, ჰოდა, მესამე ოცდაცამეტიც მესამე მოციქულის
მოვლინების (სავრაუდოდ...) მიმანიშნებელია.

განა მართლაც ასეა?

არც არაფერია გამორიცხული, ეს ღვთის საქმეა... მესამე ანუ
იგივე პირველი (თუმცა მერამდენე?) იესო ქრისტე ანუ მუსლიმანურად
‘ყისაფვიდამბერე“, იგივე მესია, იგივე ‘მესიხი“, რომელსაც მთელი
მსოფლიო ელოდება, აუცილებლად მოვა.

მუსლიმანთა ვერსიით – წამოსულიცაა!..

ბოლო ფეილაძეები (მოციქული, შუამავალი) მუხამედიაო, ირწმუნებიან. იქნებ მის შემდეგაც მოავლინოს ღმერთმა მოციქული. ეს სამყაროს შემქმნელის უფლებაა – გამორიცხული კი არაფერია!..
ჰო, – კრიალოსანი.

თუ პირველი ასხმულა იესოს წლების აღმნიშვნელია, მისი ხელმეორედ მოვლინების შემდეგ, ალბათ ერთ იმდენს კიდევ იცოცხლებს, ანუ იქნება 66 წლის? დაუშვათ, ასეა, მაგრამ ამ ორი ციფრით ხომ ანტიქრისტეს კოდს ვუახლოვდებით? თუ ეს დამთხვევა არაა და ნამდვილად ჯდება ლოგიკაში, მაშინ?! რა გვრჩება?.. ანტიქრისტეს კოდი?..

აი, როგორ:

$33+33+33=(3+3)... (3+3) (3+3)$ ანუ 666. ესეც კრიალოსანშია ჩაშიფრული და ავისმომასწავებელია?

ღმერთო, დაგვიფარე...

უცნაურობა, რომელიც დედაჩემს ეხება

დედაჩემს სასწაულად უჭრიდა წყველა, მაშინ, როდესაც გულს ატკენდნენ, და ასეთი შემთხვევა არაერთი ჰქონია.

მის ხელში გაზრდილი, მეზობლის ბიჭი, მთავრობის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა – არასწორ ‘ენას’ მიუტანდა იქ, საიდანაც მამაჩემს სახლის მშენებლობის პერიოდში სულ ჯარიმები მოსდიოდა. ეს რა თქმა უნდა, ჩვენზე აისახებოდა – გვაკლდა ყველაფერი და თუ როგორია სახლის შენება გაჭირვებაში, ეს ყველამ იცის.

ეტკინა გული დედაჩემს, როცა მათთვის სარგებლის მეტი არა გაუკეთებია რა. მიაწყველა – შეიღზე გკითხოს ღმერთმაო და.. სამწუხაროდ ახდა...

იყო ერთი სხვა მეზობელი, რომელზეც მამაჩემს ძალიან ბევრი ამაგი ჰქონდა. დედაჩემს ისეთი რამ აკადრა ერთხელ, რაც არაკაცობას უმტკიცებდა... მიაწყველა – შენი ფეხით აღარ მისულიყავი სახლში, მიეტანეთო... მაღევე ახდა... ვის გაუხარდება ადამიანის სიკვდილი, თუმცა ცოდვა-მაღლსაც არ ჰკარგავს არსთა გამრიგე... და ეს ბევრს არ აღარდებს!..

იგი ღვთისნიერი ადამიანი იყო... ახლა ვიცი, ვიღაცს მოუბრუნდება ენა და იტყვის – აბა, დედამისზე სხვას რას იტყვიაო...

პირველ წიგნში მრავალშვილიანი დედების სურათებს ვათავსებდი. მეზობლის ქალმა (ვისაც ამქვეყნიურად სწამდა და იმქვეყნიურიც) დამიბარა და მითხრა:

- დედაშენი არ მოათავსო წიგნში, სხვა ვინც გინდა, ის შეიტანე.
- რატომ ნაზი?
- იგი სხვანაირი სულის ადამიანი იყო და ნუ გინდა უცხოებმა უმზირონ მის სახეს, ღმერთი არ გააპატიებს!.

დედა იყო და მაინც მოვათავსე წიგნში... სადაც კომპიუტერში მოხვდა მისი სურათი, ყველა გადაიწვა!... ეს რომ გამემხილა, ან არ დაიჯერებდნენ (ხომ ვერ დამიმტკიცებდნენ), ან საფასურის გადახდას მომთხოვდნენ... ისე კი, ვიცი, რომ იმის შემდეგ უკან-უკან მიდის ჩემი საქმე...

არ დავიჯერე და დავისაჯე...

ადამიანებს სული ერთი მოცულობიდან უნაწილდებათ, მაგრამ ყველა ადამიანს არა აქვს მადლიანი სული. ეს ღმერთზეა დამოკიდებული და მას რჩეულებიც ჰყავს, რომლებსაც კალთას აფარებს ყოველთვის.

ისეთი ურჯულები კი, რომლებიც ფიქრობენ ადამიანზე ზიანის მიყენებას, სატანის შეილებად აღიქმებიან, რომელთაც ღმერთი თავისი აკაცობის სიმძიმის მიხედვით მიუზღავს!.

... ამრავლე ღმერთო, სულითა და ხორციით წმინდა და ამაღლებული ადამიანები, ვისაც შენამდე მოსვლა ზემიად მიაჩნიათ...

ნუ დაუქვირებ მათ ასეთ სურვილს!

ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ უცნაურობად ვთვლი იმ შესაძლებლობებს, რაც ჩემს გასაკვირად გამაჩნია, თუმცა დავამატებ, რომ ყველაფერს უზენაესი ჩამინერგავს ტვინის რომელიღაც უჯრედში მაშინ, როცა უადრესად ვეხვეწები – მაცოდინოს პრობლემის ნაწილი სიზუსტით, რომელიც რაღაც ვითარების გამო ჩნდება.

... კრასნოიარსკში ცხოვრობდა ჩემი ბიძაშვილის შვილი – ბაირამალი ოჯახით. ტურუხანსკში, სიდედრის მხარეს, გააჩნდა მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა. როცა გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება, ფერმა გაყიდა და ჩამოვიდა ქალაქში, სადაც ცხოვრობდა.

ამხანაგის ნაამბობი: ქალაქში როცა დაბრუნდა, გადაწყვიტა მდინარე ენისეიზე თევზზე ნადირობა. გაყოლა გვთხოვა. კატერებით გავედით სანადიროდ. ჩვენ დავწინაურდით, თვითონ კი კატერს

აწვალებდა.. როცა შორიდან მოვიხედეთ, კატერი ადგილზე ტრიალებდა, თვითონ კი აღარსად იყო... (ეს ხდება 1996 წელში).

მთავრობა ჩაერია ძიების ამბავში. ვერტმფრენებითაც ეძებს, მაგრამ მაშველები ხელცარიელი ბრუნდებოდნენ. ამ დროისათვის მდინარის გაყინვა ნაადრევი იყო, თუმცა ხმელეთზე უკვე თოვლი იდო და ყინავდა კიდეც.

ეს ამბავი როცა მომიყვნენ, ღმერთს ვეხვეწე, მიმახვედრე – წყალშია თუ ხმელეთზე-მეთქი და ... გონებაში ხმელეთი მოვიდა. თითქოს ცხვირწინ მედგა – უზარმაზარი ნაძვის ძირი დავინახე. კიდეც განვაცხადე, მაგრამ თვითმხილველებზე უფრო იყვნენ დაყრდნობილი, რომლებიც, ჩემი ღრმა რწმენით, ტყუოდნენ უცილობლად...

კატერის ადგილზე დატრიალება გამორიცხულია, მითუმეტეს, ვიცი კატერის აგებულებაც, რომელიც პატრონის ხელს ემორჩილება მხოლოდ... მალე მდინარეც გაიყინა...

აი, რა დასკვნა გამოვიტანე მაშინ: ვინაიდან ამხანაგებმა იცოდნენ მისი წასვლა-ჩამოსვლის მიზანი, იგი შეგნებულად მოიცილეს თავიდან და ფული გაინაწილეს, ისე, რომ სხვა არგუმენტი არავის დაუტოვეს... (დაიხრხოო და... ვინ არ დაიჯერებდა...)

იქნებ ფული ვერც უნახეს – არ იყო ისე სულელი, თან ჰქონოდა, თუმცა მთავარი მაინც მოახერხეს – იმსხვერპლეს კაცი...

რადაცნაირი ხერხით გაყინეს და ხის ძირას ჩაფლეს. როდესაც თოვლი აშრა, მაშინ გამოაჩინეს, თითქოს მდინარეში იპოვეს... ეს იყო ბინძური, მავნებლური, ვერაგული ტყუილი, რომლის გამაბათილებელი არგუმენტები უსახსრობის გამო ბოლომდე ვერ გამოიძიეს...

აქ მთავარი ის იყო, რომ უცნაურობას ჰქონდა ადგილი – ღმერთს ვეხვეწე და მიმახვედრა...

... სხვათა შორის, ციმბირში დღესდღეობით ცხოვრობს ნათლმხილველი და საოცარი უნარის მქონე ქალი – ანასტასია, რომლის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის... მე მისთვის არ მიმიბაძავს, ვერასოდეს გავუტოლებ თავს (ვინ ვარ მასთან შედარებით...), თუმცა რაღაც ძალა (რა თქმა უნდა ღმერთი) მეც მახვედრებს კრიტიკულ მომენტში – მინიშნებით!..

2016 წლის პირველ მაისს კოლოტაურში გაუჩინარდა ადგილობრივი მცხოვრები – მურთაზ წითელაძე. მთაერობაც ჩაერთო და სოფლელების ერთად სამი დღე ეძებეს...

გვხვებოდა უზენაესს, მიხვდებოდა მისი ადგილსამყოფელი, როცა მდინარეში ეგონათ დამხრჩვალნი... მეოთხე დღეს, პირველმაისელ ხუსეინ სამნიძეს ვუთხარი – წყალში არაა, ხმელეთზეა, მაგრამ ადგილს ვერ მივუთითებ-მეთქი. ჩემი განცხადებიდან, ჩემგან დამოუკიდებლად, ორ საათში ხმელეთზე იპოვეს, ხრამში გადაჩეხილი. ხუსეინი სხვებს მოუყვა ჩემი ნათქვამი...

ამით ის კი არ მინდა ვთქვა, ფენომენალური ნიჭის პატრონი ვარ-მეთქი, თუმცა რაღაცნაირ მსგავს მოვლენას აქვს ადგილი... გონება თუმცა ასაკს მინებდა, მაგრამ ნათელხილვამ იქნებ უკეთესი შედეგებით გამახაროს... ღვთითაა ყველაფერი და არაფერია გამორიცხული!..

2016 წელი.

ამინდის გამოსაცნობი ნიშნები დაკვირვებიდან

თუ კატა ცხვირით იატაკზე წევს – გამოიდარებს.

თუ კატა იატაკზე წოლისას ცხვირს ამოატრიალებს – გაავდრდება.

თუ კატას თვალის გუგები გაუფართოვდება – ავდარს უნდა ველოდოთ.

თუ კატას თვალის გუგები დაუწვრილდება – გამოიდარებს.

თუ კატამ პირის ‘დაბანისას’ ყური ‘ჩამოაყოლა’ (ასეთ დროს იტყვიან, კატამ ყური ჩამოაყოლა) – ამინდი დადგება.

თუ ღუმელს დილით განთება ‘ეზარება’ – ავდარია მოსალოდნელი.

თუ მოწმენდილში შუადღისას ან შემდეგ ცეცხლი ‘ალაპარაკდება’ – გაავდრდება.

თუ ავდარში ცეცხლი ‘ალაპარაკდება’ – გამოიდარებს.

თუ ფრინველები წარამარა წრიალებენ – გაავდრდება.

თუ ღუმელმა ან ბუხარმა კვამლი გამოავდო (დააბრუნაო) – გაავდრდება.

თუ ფუტკრები მზეში სკიდან გამოლადგებიან და ისევ შევლენ, – გაავდრდება.

თუ ბუხები მწარედ იკბინებიან – გაავდრდება.

- თუ ჭიანჭველები აფუთფუთდებიან – გამოიდარებს.
- თუ თევზები თავთხელში გამოვლენ – გამოიდარებს.
- თუ ბაყაყები მდინარის პირიდან ხმელეთისკენ წავლენ – გაავდრდება, თუ პირიქით – გამოიდარებს.
- თუ ძლიერი თოვა ფაფუკი ფანტელებით შეიცვლება – გამოიდარებს.
- თუ მდინარე ახმაურდება – გაავდრდება.
- თუ ქათმები ნაგავში გორავენ – ავდარია მოსალოდნელი.
- თუ ქათმებმა ცხვირი ფრთებქვეშ შემალეს – გაავდრდება.
- თუ ბუხრის ან ღუმელის კვამლი მიწას გაერთხმება – გაავდრდება.
- თუ კვამლი ცისკენ სიჩქარეს მოუმატებს – უცებ გამოიდარებს.
- თუ ყურებმა წვა დაიწყო, ხან ავდარია, ხან დარი... (დაცდა უნდა...). ინდივიდუალურია, მარცხენა როცა ‘მწვავეს’ – წვიმა ან თოვლია, თუ მარჯვენა – მზეა.
- თუ გაუქვილი-გატეხილი წვას, წიწკნას ან ტკივილს დაიწყებს – გაავდრდება.
- თუ ზამთრისპირს წიფლებს წვეროდან გაცვივდება ფოთლები – მთაში იქნება ზამთარი და უხვთოვლიანობა, ხოლო თუ ქვემოთ გასცვივა – ბარში იქნება ზამთარი.
- თუ ქარი და ღრუბლები შემხვედრად მოძრაობენ – მზიანი ამინდია.
- თუ ქარი და ღრუბლები ერთი მიმართულებით მიდიან – გაავდრდება.
- თუ ქარი და ღრუბლები ერთმანეთს კვეთენ – მზეც იქნება და წვიმაც.
- თუ ჩაღაბულა ფიცხია – წვიმა მოსალოდნელი.
- თუ ჩაღა-ბაღახი დაღბა – მაშინ დარია მოსალოდნელი.
- თუ ხეობაში ნისლი ან ღრუბლები ზღვიდან მთისკენ დაიძვრიბან – გაავდრდება აუცილებლად.
- თუ ნისლი ან ღრუბლები ზღვისკენ წავლენ – გამოიდარებს. (მთაზე გადმომავალ ასეთ ნისლს ან ღრუბელს – ლემადე ეწოდება).
- თუ ხეობაში (და სხვაგანაც) დილიდან სქელი ნისლია – მზიანი დღე იქნება.
- თუ ხშირი ვარსკვლავები ჩანს – მზიანი ამინდი იქნება.
- თუ ცა მქნხერვარსკვლავიანია – ამინდი შეიცვლება.

თუ ახალი მთვარის წვეროები ზევით მიმართულია – ის მთვარე მზიანი იქნება.

თუ ახალი მთვარე პირჩაღმაა – სულ ავდარი იქნება.

თუ ახალი მთვარის წვეროები ვერტიკალშია – ის მთვარე მზეც იქნება და ავდარიც.

თუ 2 თებერვლის ოთხივე ფაზა (24 სთ-დან 6-მდე, 6-12, 12-18, 18-24) როგორც იქნება, წლის ოთხი დროც ამას შეესაბამება.

თუ მიწას ალი (ალავი აღინდება) – ის წელი კარგმოსავლიანი იქნება.

თუ მთვარეს ნისლი შემოეხვია – ამინდი შეიცვლება.

თუ მშრალ, მცირენისლიანში მცირედი ელვიანი ნათებაა – ამინდი დადგება.

თუ ჭექაქუხილიანი დღეები იქნება – იმ წელს ბევრი სოკო იქნება.

თუ ქარი ხეობაში დაღმა დაუბერავს – დარია მოსალოდნელი.

თუ ზღვიდან მთისკენ დაუბერავს – გაავდრდება (ნისლიანის ანალოგიურია).

თუ ხაშხაშიანი (ყინვა) შემოდგომის მიწურულია – კარგი ზამთარი იქნება.

თუ ობობა ქსელს გააბამს წვიმიანში – გამოიდარებს.

თუ ყვავები დაბლა დაწრიალებენ, ზამთარი მთაში იქნება.

თუ ჩიტები გუნდ-გუნდად დაფრინავენ – გაავდრდება.

თუ ჩიტი გაიძახის – “წვიმსო“ (მეწვიმია) – აუცილებლად გაწვიმდება.

თუ გვიანობამდე (იანვრამდე) ხე გაფოთლილია – თბილი ზამთარი იქნება.

თუ წყლები დაიკლებს – ყინვიანი ზამთარი იქნება.

თუ მშრალ ამინდში წყლები გამოუონავს – გვალვიანი დღეები იქნება.

თუ ნახნავს სურნელი ავარდება – მოსავლიანი წელი იქნება.

თუ მილით მოყვანილ ონკანზე ზამთრისპირს ძალიან ცივი წყალი გამოვა – მალე დაზამთრდება.

შენიშვნა: ხშირვარსკვლავიანი ცა – სუფთა, გამჭვირვალე სივრცეა და ამიტომ იქნება ამინდი, ე.ი. ჰაერი არაა დანესტიანებული. ასევე – მთვარეზე ნისლი შემოეხვიაო – რომ იტყვიან, მთვარესთან ნისლს რა უნდა, ეს ჰაერია ძალიან დანესტიანებული და მთვარე მქრქალად ჩანს, ანუ ავდარი შეიძლება დადგეს...

მცირე ჩანართი, რომელიც ფენომენს გაუტოლე

მამაჩემს ეხება კვლავ:

თავისმა ბიძამ რომ სიმინდი არც ასესხა და არც მიჰყიდა მუჰაჯირობიდან დაბრუნებულს, ღმერთმა ჰკითხა... ნალია სიმინდიანსკებიანად ამოებუგა.

ამის კომენტარს ქვემოთ ჩაეწერ.

ჩვენი სოფლის თავს ამშვენებს ციხე-კოშკი, რომელსაც ‘ყალეს’ ვუძახით, ხან თამარის ციხეს... რადგანაც თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული, ჩვენ ვამაყობთ ამით, სიწმინდედ მიგვაჩნია.

ერთხელ, მოსწავლე ვიყავი მაშინ, მერვეკლასელი, ამ ციხეზე ასვლა მაინტერესებდა და მამაჩემისა და ჩემი ძმის თანხლებით მოვექცეთ თავზე მაღალ კლდეს, სადაც ციხე-კოშკია მოთავსებული.

ნაყორის სამხრეთ მხარეზე, შიდა ეზოსკენ ნაშენში ნიშა შევნიშნე, სადაც დიდი ზომის გველი იწვა, დიდთავიანი. ვანიშნე მათ და... – გავიქცეთ აქედან, სანამ გადმოვიდოდესო – თქვა მამაჩემმა და დაბლა დავეშვიტ.

ვახსენე ზემოთ, მამაჩემს უნდოდა ხოჯა გამოვსულიყავი-მეთქი. ბავშვობიდან ისე მზრდიდა, ღმერთი არ დამვიწყებოდა და რელიგიასთან დაკავშირებულ ცრურწმენებს ძალიან მაჯერებდა. სიმართლეც უნდა ვთქვა – არ არსებობს ცრურწმენა, ყველაფერი სინამდვილეს შეესაბამება. ჩემი რწმენით, ცრურწმენა პირდაპირი მნიშვნელობით იშვიფრება – ვისაც ვითომ სწამს, დიდ ცოდვებსაც აკეთებს. ცრუ-რწმენა – სიტყვიდან მისახვედრია.

წლების შემდეგ ბევრჯერ მოვინახულე კოშკი, მაგრამ ნიშის კვალი არაა, არც შეკეთებულია.

აი, რა მოხდა:

ვინაიდან ქრისტიანობისდროინდელია კოშკი, არ უნდოდა მამაჩემს, რომ ხშირად ავსულიყავი და ნიშა გველიანად მომჩვენა... დიახ, მას ჰიპნოზი ჰქონდა, მაგრამ არ ამელაგნებდა... მე ეს არ დამისიზმრებია, რეალობა იყო... მე ეს ფენომენალურად ჩავთვალე...

ერთხელ ბაღჩის ხვნის დროს ხარები ისე გადამირია, კინაღამ დედაჩემი ვიმსხვერპლე... გადარეული ხარები გუთანზე დაწოლით შევაფურხე და დედაჩემმა ძლივს გაასწრო. არ ვიცი ამ დროს რა ჩაიფიქრა მამაჩემმა... რომ არ შემარჯვა, დედაჩემიც დაიღუპებოდა და ხარებიც...

კომენტარი: იქნებ ბიძამისის ნალიაზე ჰიპნოზით იმოქმედა?!
ხდება ბევრი უცნაურობაც...

ასეთ ნაწერებზე დასკვნის გაკეთება ძალიან ძნელია. არასწორად
გაცემულ პასუხებს ღმერთი არავის აპატიებს...

ვეცდები, მცირე რამ მაინც დავამატო, რაც კი დავწერე ამისგან
გამომდინარე, ამიტომ ტავტოლოგიად ნუ მიიღებთ.

ჩვენი სოფლის სულიერების წინამძღოლმა – ხოჯამ ერთხელ
მითხრა – ჯამეში იარეო... მე ჯამეში, თანაც ბათუმში, მამაჩემის
ერად ვლოცულობდი ჩემს ბავშვობაში-მეთქი, ვუპასუხე! თანაც
ვერშესვლის მიზეზიც ავუსხენი – არ ვიცი, დამიჯერა თუ არა,
თუმცა ეს სულაც არ მადარდებს... ბევრმა ვაი-ვაგლახმა გადამიარა
და მართლაც ვალდებული ვარ ვიარო, მაგრამ მიზეზი ნამდვილად
მაქვს და ღმერთმა ეს ხომ იცის... (აღრე ერთი მიზეზი მქონდა,
ახლა ექიმების ჩარევით მეორე დამემატა...) იმდენი გამოცდილება
შევიძინე, რომ... თუმცა ვახტანგ კიკაბიძეს მივბაძავ – ‘კაცი იყავ
კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა!.

აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ განსხვავებული აზრიც
გამაჩნია – იქ იმისთვის შეხვიდე, რომ ვიღაცამ თქვას ხემიდაც
(სულერთია ვინ) დადის ჯამეშიო, ვერაფერი ჯავშანია –
არაეთიკურად მიმაჩნია.

გწამდეს ღმერთი გულის სიდრმეში წმინდად, მის წინაშე
მართალი იყავი და არაა სავალდებულო, ოთხკედელშუა ლოცვა...
როგორ გგონიათ – სახლში რომ ჩაიკითხო ან გზაში, არ იყაბულებს
ღმერთი? კი, ბატონებო!..

არ მოიპარო, არ იმრუშო, სულიერი არ მოკლა (‘არა კაც ჰკლა’
– მარტო ადამიანების კვლაზე არაა მითითებული) და დანარჩენს
ღმერთი მიგახვედრებს...

ღიახ, ცოდვები არ უნდა აკეთო!..

‘არა იმრუშოზე’ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ არ ვიტყვი –
ამას სხვები აყალიბებენ ძალიან მხატვრულად, მაგრამ ვინაა გამგონი.
მე კი ერთ რამეს დავამატებდი: ადამიანი, რომელიც საპირისპირო
სქესს ურუანტელისმომგვრელ ავხორცად (გარუგნულად) მოეგვლინები
და თანაც აგრძნობინებ (შორეულად), ამაზე დიდ ცოდვას ვერაფრით
გააკეთებ და მერე ლოცვა ვერაფერს გიშველის!!!

აი, ამაზე გაამახვილეთ ყველამ ყურადღება!.. მიმოიხედეთ!..

ახლა გავამხეღ ერთ რამეს, თუმცა მოხრობელს არ უთქვამს არასად თქვაო. ოდესმე თუ წაიკითხავს ამ ნაწერს, მიხვდება, მაგრამ გალანძღვა არ მომიწევს, ვიცი...

ქრისტიანმა ქალმა (მჯერა, რომ იგი ცოდვებით არაა დაძმობიებული ზოგიერთივით, რწმენა სათამაშო ბურთი რომ ჰგონიათ...) მითხრა: ვისზე ნაკლები ვარ – არც ჯვარს ვატარებ, არც წარამარა პირჯვარს ვიწერ და არც არავისზე ნაკლებად მწამს, მთავარია, გულით გწამდეს, ოღონდ სუფთა გულითო... ვეთანხმები!

აქ მინდა გავიხსენო შუამავად მუხამედის პასუხი შემკითხველზე – ჭამამდე ხელის დაბანა საჭიროა თუ არაო – მან უპასუხა – თუ გული გაქვს სუფთა, მაშინ არაა სავალდებულო!.. გახსოვდეთ!...

ახლა მეორეც, სარწმუნოებაზე, აჭარლების რძალმა, რუსმა ქალმა მითხრა – ადამიანი რა სარწმუნოებით დაიბადე, იმით უნდა ჩახვიდე მიწაშიო... დიახაც, ამას ვეთანხმები.

არაა ჯერის ჩამოპორწიალება სავალდებულო (ზოგიერთებმა მაპატიონ!.. მოდად იქცა, მგონი...). არც ის მიმანია უაღრესად გამოსაჩენ სიწმინდედ (თითქოს!), ეკლესიას რომ დაუახლოვდებიან და წარამარა იგრიხებიან, თანაც გარშემომყოფთ ჩუმიად შეავლებენ თვალს, ვინმემ შემამჩნია თუ არაო... დიახ, ასეა ეს... ყველაფერს წესი და რიგი აქვს.

ჯერ არ დამინახავს ქუჩაში მიმავალი, ეკლესიას მიახლოებული მღვდელი პირჯვარს რომ იწერდეს. გამონაკლისებიც არიან – ბაა, ყველა ერთნაირი ხომ არ იქნება...

ვეთანხმები იმ რუს ქრისტიან ქალს – ღმერთს არ უყვარს სარწმუნოების წარამარა მცველელი... რატომ ჰგონიათ, რა სარწმუნოებაც აქვს ადამიანს, იმით არ მიიღებს არსთა გამრიგე?... სცოდავენ, თუ ასე ფიქრობენ... ანდა რომელი სარწმუნოებაა სატანისა!

მე წმინდად მწამს (გამოცხადებებით უფრო გამიძლიერდა) ღმერთის არსებობა, ყველა მოციქულის სასწაულები, სამოთხე და ჯოჯოხეთი... ვისაც რა უნდა ის მიქადაგოს, მე ჩემი ვიცი, ოღონდ ვერ ვიტან ახალად გაქრისტიანებული მავანი ჭკუის სწავლებას, რომ დაგიწყებს მიზიდვის მიზნით.

ელემენტარული რამ არ იციან მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და მორალს გვიკითხავენ, აი ისე, ერთხელ ტელეგადაცემაში აფიშირება რომ გაუკეთეს ოჯახურ, ცოლქმრულ დამოკიდებულებაზე და ჭკუის სწავლება დაუწყეს უკვე 'სკოლაგავლილებს', თუ როგორ (ბოდიშს ვიხდი...) ეკეთებიანთ

ბავშვები და როგორ ჩაგორებოდნენ ერთმანეთს... ვისმენდი და ვბრაზდებოდი კიდევ, მაგრამ ერთმა გასათხოვარმა სტუდენტმა ცივი წყალი რომ გადაავლო დარბაზში მოწვეულებს, კმაყოფილება მომანიჭა: საითკენ მივექანებით ხალხო, აფიშირება არ სჭირდება ასეთ რამეებს, როცა უამისოდაც კარგად ხდება ყველაფერი... ასეთები უმრავლეს დმერთმა საქართველოს, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს და არა ისეთები, რომლებმაც არ იციან, თუ რამდენი სახარება არსებობს და აქეთ გვიკითხავენ ქრისტიანობაზე გაკვეთილებს!..

ყველა კონფესიის წაარმომადგენელთა ცოდვები ვიცი...

ერთხელ იელოველმა ულამაზესმა გოგონამ შემახერა და აგიტაციის ჩატარება დამიწყო (თანაც აჭარელი ვარო...). შეკითხვა დაეუსვი და თან შევპირდი – თუ დადებითად მიპასუხებ, შენი მონა-მორჩილი ვიქნები-მეთქი... ეკლესიაში თუ დადიხართ-მეთქი (პასუხი წინასწარ ვიცოდი...) და ალაღად მიპასუხა – არაო. მე კი ვუპასუხე – არამუსლიმანი, ვინც ეკლესიაში არ დადის და ჭკუას მარიგებს, მე იმათი არ მწამს-მეთქი... რეაქცია მესიამოვნა – უსიტყვოდ გამეცაღნენ...

ასეთი სილამაზის პატრონი ქართველი ქალი საქართველოს სიყვარულით სულგაჟღენთილ შვილებს უნდა უზრდიდეს ერს და მამულს, და რა უმაქნისად ქაქანებენ წარამარა...

თვითდაჯერებული ვარ?.. დიახაც...

... მე ვიცი ჩემი კარმისა და აურის მოქმედების ძალა და სწორედ ამიტომაც ყველას ვაფრთხილებ – ნუ მაწყენინებთ, ნუ მავნებთ და რაც უფრო მთავარია – ჩემზე გულში არ გაივლოთ ცუდი, დმერთი აუცილებლად გაგისწორდებათ-მეთქი... თუ დაიჯერებენ მათთვის იქნება კარგი, თუ არადა, რაც ზემოთ ჩამოვთვალე (უცნაურობებში – კარმის დიაპაზონი...) ისეთები კვლავაც მეორდება, ვხედავ და ვერაფერს დავეხმარები... ჩემი მიზეზით კისერი რომც მოიტეხონ, მაინც არ დამაბრალებენ, იმიტომ, რომ სიჯიუტე ბარიერია მათი...

არც იმას იფიქრებენ – ცოდვა მოგვეწიო...

... ერთმა ქალმა შვილი დაიფიცა ტყუილზე, კი არ ვახრჩობდი მარა... მას (და არა მარტო მას) დაფიცება ქათმის გააუტვა ჰგონიათ... მისმა შვილმა, ვიზეც დაიფიცა, ჩემ წინაშე ადრე მიჰქარა, ახლაც დედამ დაიფიცა და... დაინვალიდდა და ასე ჩავა მიწაში...

... ერთმა ჯარიდან ჩამოსულმა ახალგაზრდამ ისე მომმართა, არ იყო მრთალი... ბავშვებს შეეხებოდა სხვისას,, მე არ ვუპასუხე, ხოლო ღმერთმა იმით დასაჯა, შვილი არ მისცა... არაფერი არ იკარგება – ღმერთი სხვისი შვილის ამარად დაგტოვებს და ისიც არ გეცოდინება – რა ადამიანი დადგება ნაშვილები.

... ავტობუსით მგზავრობისას ჩემ ზურგს უკან ორი ქალი საუბრობდა. ხომ იცით, ქალებს საუბარი არ გაუთავდებათ – იმისი არ იყოს, – ცხრა წელი ერთად იხდიდნენ სასჯელს და რომ გამოვიდნენ ციხიდან, რამდენიმე საათს ქუჩაში ილაპარაკესო... ჰოდა, ამ ორი ქალიდან ერთმა თქვა – ყველაზე კარგ შვილს გლახა ქმარი მირჩევნიაო...

მე ვერც ისე ვთქვი და ვერც ასე... თუ არ გამოდგა, მტრისას...

... ხანდახან რუს რძალზე იტყვიან ტამარი (ძარღვი) მოსწევსო, ანუ (ბოდიშით ვიტყვი), თუ დედა კაცების მასიამოვნებელი ჰყავს (და რუსები საერთოდ ასე მიაჩნიათ ჩვენში), არც რძალი დაიკლებსო...

რამდენი ვიცი "ჩვენნიანი", სანაგვისთვის რომ გავიმეტებდი... თუ არ გამოდგა – ასეთი ყველა ჯიშშია. ასეთი ქალები კი?..

ქალზე იტყვიან – ან აგავსებს, ან დაგაქცევსო...ვაი, ასეთი ქალების შემყურე მამაკაცებს...

რისთვის მოვიყვანე ეს მაგალითები?.. აი, რისთვის... ქალი რაც არ უნდა იყოს, მოსულია (მას ჩვენში გელინს ეძახიან) და იქაური ქუდი უნდა დაიხუროს, სადაც როგორი შესაფერია. თუ არა – ასე, აპოკალიფსს მალე მივუახლოვდებით, თუმცა საერთო ანგარიშით ვუახლოვდებით სწრაფადაც!..

... ერთ ჩემიანს, გასათხოვარს ვუთხარი – ცის გახსნას აუცილებლად შეხვდები და მთავარის თქმა მოასწარი-მეთქი...

მართლაც – რამდენიმე ხანში შეხვდა, მაგრამ... პირი ღიად დარჩა... ახლა შინ ზის და ბედს ელოდება, მაგრამ როდემდე?.. ასეთები კი მომრავლდნენ! (ბერბიჭებიც, თუმცა დღეს რომ ზაღნებს ყრიან“, ისეთების გაჩენას, გაუჩენლობა სჯობს... ჩემი დედაო – რომ იტყვის, ენა უნდა ამოადრო, ან ქურდმა რომ უთხრა მომჩივანს – მეცო, ასე უნდა...).

ჰოდა, დაბადების შეწვევტა მგონი ნელა-ნელა უკვე მიმდინარეობს...

... ცის გახსნა ბევრჯერ არ იქნება!..

ასე თუ ისე, ცოტა რამ აღვწერე – თუ რა გველოდება, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი... ნუ გაიკვირვებთ – თავისთავზეც ბევრი რამ მოვეყვი და ისევ გავიმეორებ: როცა ამ ნაწერებს წაიკითხავენ, ახლა მაინც მოეგონ ჭკუას და ნუ 'გადამიკვეთავენ' გზას უკუღმართად, თორემ მამაზეციერი არავის აპატიებს ჩემზე ჩრდილის მოყენებას და ისეც ნუ იზამენ სხვისი სიგლაზე (გინდაც სიკვდილი) გამიხარდეს!.. 'რაც მოგივა დავითაო' – ეს გაითავისოს ყველამ... სხვაზე ორმოს გათხრას კი (საფლავში არ აურიოთ...) არავის ვუსურვებ!..

მოკლედ, ჩემი სულიერება (სხვებისა ჩემი საჩივლელი არ არის!) სხვისი ხელწამოსაკრავი არაა. ნურც სულიერებას (სულზე, რომელიც არამატერიალური სუბსტანციაა და იგი ღმერთს ეკუთვნის) და ნურც დედას გამიქანებენ საფლავში (კი გიამბეთ საკმაოდ...), აუცილებლად დაისჯებიან სხვადასხვა სიძიძით.

გჯეროდეთ, ნუ დაივიწყებთ!..

ძალიან ბევრი გადახვევა-ჩანართი დამიგროვდა და ბოდიშს ვიხდი – ერთფეროვანი წასაკითხავი არც მე მომწონდა და არც სხვას მოვახვევ თავზე... სიცილს ტირილი მოსდევს, მერე ისევ სიცილი და მხიარულება, ჭირის სუფრას – ლხინის სუფრა... ესაა ჩვენი ცხოვრება... აბა, მუდამ კოშმარში ხომ არ უნდა ვიყოთ... ჩვენთვის ცხოვრების შეტკბობა ანუ სიამტკბილობა არ დაუწერია არსთაგამრიგეს ჩვენს ჰოროსკოპში, ამიტომ მივყვეთ ცხოვრების დინებას!..

დინებასო?!

დინებას მკვდარი თევზები მიაქვს (ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო...). ჩვენ მოზომილად უნდა მივყვეთ მდინარებას – არც მწვადი დავწვათ, არც შამფური, ხოლო დინების საპირისპიროდ სვლას კი არავის ვუსურვებ, სიკეთეს არავის მოუტანს...

ნურც სულ მძინარე ვიქნებით და ნურც სულ 'ატეხილები', თორემ ატეხილზე ბევრი მეხი მინახავს დატეხილი!..

მცირე რამ დღევანდელობაზე...

საქართველოში ქაოსია!

ყველა იტყუება, ვატყუებთ ერთმანეთს, ვიტყუებთ თავს, გვატყუებენ და მომტყუებლებს ჰგონიათ, ჩვენ 'დაბალი' ფენა ვერაფერს ვხვდებით, სინამდვილეში ცხოვრებისეული გადასახედიდან, თავიანთი

‘ინტელექტით“ ისევ თავად გვესახებიან დაბალ ფენად... მათ ხელში (ჩვენზე ზემდგომთა) სამწუხაროდ ძალაა, რომლის გამოყენებას ჩვენს სავალალოდ, არ მოერიდებიან და სწორედ ეს ახარებს საზღვარგარეთს, მათ, ვისაც მეგობრებად თვლიან ჩვენები... ჩვენ, როცა მიწის სურნელებით უნდა ვიყოთ გადამთვრალი, შემოდგომაზე წიფობლების (სამწიფარას) გალობის სიმფონიას უნდა ვუსმენდეთ და წიწილებს ვითვლიდეთ, ერთმანეთს ვძიძგნიოთ და ვგლეჯოთ...

ხალხს დიდი ძალა აქვსო... ეს არჩევნებში იგრძნობა!.. ამ ძალაზე დაყრდნობილ და საფუძველგამაგრებულ ხელისუფალთ ეს ‘დიდი ძალა“ აღარ ახსოვთ და ალტერნატიული ძალის (ჯარის) იმედად არიან... აღარ ახსოვთ ისიც, რომ ადიდებული მდინარეები ჯებირებს არღვევენ (ძალიან ბევრი მაგალითი იყო...). დიახ, აღარაფერს აღარ ემორჩილებიან და ისე უერთდებიან ზღვებს თუ ოკეანებს... ხალხი თუ აზვირთდა, წინ აღარა დაუდგება რა და თუ მთავრობამ ძალა გამოიყენა – სატანის გარდა არავინ იქნება გამარჯვებული!...

ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა... ახლა აღარც დუღს და აღარც გადმოდუღს – საქართველოში სასახლეების წამოჭიმვის ბუშია და ნაგვის გროვაში ლუკმის მაძებარ ხალხს რომ კიდევ აფურთხებენ და ნაცარს აყრიან თვალებში, ამით უნდათ შესვლა ნატოში?... ბრავო!.. ნატოში არავინ გველოდება, არც გეჭირდება – ისინი საქართველოს ხეირს არ დააყრიან, ჩაგვითრევენ ავანტიურაში და სამიათასწლოვანი (...ხუთი ათასი...) ისტორიის მქონე ერს იქნება აღგვა მოუწიოს ‘პირისაგან მიწისა“... დიახ, ათასწლოვანი ისტორიის მქონე საქართველოში დღეს არათუ ხალხი, ქვებიც სტირიან!..

დაგვიცინის ყველა და ‘ჩვენ“ კიდევ ვერ ვხვდებით... უსულო და უგულო თაობა მოვა მაღე, რომელთაც ამ ‘ქვების ცრემლები“ ფეხებზე ეკიდებათ – ამის წინაპირობა შექმნეს უკვე და ასე მოვდივართ ოთხმოცდაათიანი წლებიდან. კორუფციას ებრძვიან თითქოს, თვითონ კი კორუფციის მწვერვალზე ცეკვავენ. დღეს სულიერება კი არაა მთავარი – ფულიერებაა.

სულიერება უკვე დაანაგვიანეს. თბილისი დღეს მთელი საქართველოა, დანარჩენი საქართველო კი თბილისეულთა სანაგარდო ადგილი, ან სულაც – სანაგვე ყუთი...

საქართველოს საზღვრები ვიწროვდება და ამას რუსეთს აბრალებენ... ყელში თოკს ვიჭერთ და საზღვარგარეთს ვთხოვთ შეველას... გაიგეთ ხალხო, პირში გვიცინიან, გეპირდებიან, ვითომ

თითს თუ მუშტს აქანებენ, გულში კი უხარიათ ჩვენი დავარდნა. ასეა ეს და გონზე მოვევით ქართველებო!..

საქართველოში ისევ და ისევ პერიფერიული სიძულვილი ღვივის... ასლანის დროში მოვისმინე ტელევიზიით – ასლანი საქართველოში არ ჩამოდისო... ეს ვილაც პროფესორს ამოცდა... ე.ი. თბილისი საქართველო ყოფილა და აჭარა სათათრეთი? გრცხვენოდეთ!... ასეთიც მოვისმინე: მაღაზიაში შემოსულმა პედაგოგმა ქალმა საერთო სალამი მოგვცა, მშვიდობის დილა გვისურვა, იქვე დამხვედრმა კი?.. მშვიდობა მოგცეს, მაგრამ ‘ამ უტუ აჭარლების’ ხელში კარგს რას უნდა ელოდეთ!... ბრავო! უტუ! იმ ქალმა კი საკადრისი პასუხი გასცა – რა ცოდვა ვართ, ზიარი ჰაერით რომ ვსუნთქავთო!..

დიახაც...

2014 წელში თბილისიდან მოვდიოდი. მატარებელში თბილისელი (?) დამემგზავრა. არაფერი შემშლია (არც არასოდეს გვეშლებოდა!). ბათუმს რომ ვუახლოვდებოდით, წამოაყრანტალა – ჩამოხვედი სამშობლოშიო?.. საკადრისი პასუხიც მიიღო ჩემგან...

აი, ამათნაირებითაა თბილისი ჯერჯერობით გადატენილი! და მათ შორის ცხოვრება არაა იოლი და სახარბიელო.

რასულ გამზათოვმა ღამაზად თქვა: ვინც წარსულს პისტოლეტს ესვრის, მომავალი ზარბაზნით გაუმასპინძლებო!..

დიახაც, აქსიომაა...

სიმღერაა ერთი – ‘მოვეფეროთ ერთმანეთსო’... შენ მამაცხონებულ (თუ მამასაცხონებელო), მე რომ გეფერები, შენ რატომ იკბინები ცოფიანი ძაღლივით?! რა – მე ვაღდეუელი ვარ მუდამ გეფერო?.. მშობლები გიცხონდათ... (გინდაც ჯიშ-ჯილაგიც!...)

აი, დღეს, 25 თებერვალს (2016) ტელევიზიით მოვისმინე პატრიოტთა ალიანსის იდეოლოგის – დავით თარხან-მოურავის დამამშვიდებელი სიტყვები: ‘მოვეფეროთ ერთმანეთსო’... დიახაც, ასეცაა საჭირო!.. ეს სიტყვები მარტო სიმღერაში კი არ უნდა ეღერდეს, ლოცვებშიც...

აი, ერთს ისეთს დავამატებ, რაც ბევრს მიესალბუნება და ბევრსაც კაქტუსის ეკლებივით დაჩხველტს – ჩვენ, ღარიბ ხალხს (სოციალურად დაუცველებსაც) რომ გვიკითხავენ მორალს და ქამრების შემოჭერაზე გვითითებენ, თავადაც შემოიჭირონ გასუქებულ-გაბერილებმა და გაქსუებულებმაც და ხალხს ხელი წააშველონ, რომ ერთმანეთზე

მისაფერებლად გული გვიდუღდეს, შიმშილისაგან კუჭი არ გვიხმებოდეს და მაგანნი კიდევ ნაგავში საქქედ არ გაიმეტონ!..

ქართველებმა სირცხვილი ჩამოვირეცხოთ, თორემ ერთ დროს, საქართველოს გარეთ მყოფი, ნებისმიერი შეგვაფურთხებს!

ქართველებმა ხელი-ხელს ჩაკვიდოთ მხარი-მხარს მივცეთ და სამათხოვროდ ნურავის გაუწვდით ხელს!

საქართველო, ქართველი ერი, დსაბამიდან პოულობდა ჩიხიდან გამოსვლის გზებს, ეს მაშინ, როცა ძალიან გაუჭირდებოდათ... სულიერებაც თავის სიმაღლეზე იდგა და აზროვნებაც ყვაოდა შეძლების ფარგლებში. თუმცა მტრები გვჯაბნიდნენ, მაგრამ ქართველობა სულით არ დაცემულა, მუხლზე არავის დანოქებია და ხელი სამათხოვროდ არ გაუწვდიათ, მომავლის, აყვავებული საქართველოს ხილვას ნატრობდნენ და კეთილი მერმისის იმედით სულდგმულობდნენ, აპოკალიფსზე არავინ მსჯელობდა და საერთოდ არც ფიქრად ჰქონდათ...

რასაც ვიტყვი დღეის ანგარიშით, ზოგს ეწეინება, ზოგს კიდევ გაუხარდება, ალბათ მსჯელობის საგნადაც იქცევა, თუმცა მწამს, რომ ქართველები ოქროს კვეთის გზას აუცილებლად მონახავენ იმ ფონზე. როცა სიამაყით (ტრაბახით) ვამბობთ, რომ საქართველო სამიათასწლოვანი (ჩემი რწმენით – ხუთიათასწლოვანი) კულტურის მქონე ერი ვართო. ამაში ეჭვის შეტანა არაა მართებული, თუმცა ‘პროგრესულ“ საზღვარგარეთს არ სურს ასეთები ვიყოთ... მათ სურთ ისეთებად დავრჩეთ, როგორებიც დღეს ვართ და თუ როგორები ვართ დღეს, ეს ჩვენ არ გვესმის, სატირლად გვაქვს მაშინ საქმე და ახლო მომავალი ვაის და უის მოგვიტანს!..

საქართველოში აზროვნება ორადაა გაყოფილი, მაგრამ მწამს, ხალი აზრი გაიმარჯვებს, მაგრამ ჯერ ხალხმა უნდა გაიმარჯვოს!

რა გვეშველება, რა აგვაყვავებს?

არა მარტო სუვერენიტეტი (დამოუკიდებლობა – სუსტი რგოლია), საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად ქცევა. მაგალითად – შვეიცარიის მოდელი კმარა. ტურიზმის გაფართოება, ოღონდ მკაცრი კონტროლის პირობებით, სამუშაო სივრცის შექმნით, ხალხის დასაქმებით, რაც შესაძლებელია, ჰკვიანური დაგეგმარებით, ხალხის სიღარიბიდან ამოყვანა – თუ როგორ ეს ცოდნა არავის აკლია, ოღონდ – გამოვიყენოთ.

ერთ-ერთი, რაც მოწონება-არმოწონების სასწორზე იდება – აღდგეს სტალინის სახელი, დაიდგას ძეგლებიც, ვიდრე საზღვარგარეთი გვაჯობებდეს. ეს გაამრავლებს ტურისტთა ნაკადს

და საზღვარგარეთელთა კეთილგანწყობას ქართველების მიმართ...
მჯერა, რომ იტყვიან – ქართველები უკვე ჭკუაზე დამდგარანო და
ტაშსაც დაგვიკრავს ნახევარი მსოფლიო მაინც...

ნუღარ ვიფიქრებთ აპოკალიფსზე...

არ ჯობს ჭკუას მოვუხმოდ?...

სჯობს ხალხო, სჯობს, ვაჯობოთ სატანას და სატანისტებს!..

პოსკრიპტუმი

მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს ბუნების ჭირვეულობას.
გხედავთ რა ხდება ქვეყნიერებაზე. კატაკლიზმები არ გვანებებს
თავს. ეს ხომ საერთოდ დასაბამიდან ხდებოდა და გრძელდება
კიდევაც. ბუნებამ ზნე და ხასიათი იცვალა – თავის დროს და
ზომიერად აღარაფერი ხდება.

2017 წლის 17 იანვარს (აქაც 9-იანია: $2+0+1+7+1+7=18=1+8=9...$)
დედამიწას გვერდით ჩაუარა ნახევარკილომეტრიანმა „ქვამ“... რომ
დაჯახებოდა?!

მე ეს ვიგრძენი (ნაოპერაცივივი გული ასეთ დროს თავს მახსენებს),
ცუდად გაუხდი, თუმცა არ ვიცოდი რა ხდებოდა. სასწრაფოთი
წამიყვანეს. ხუთი დღე მიმკურნალეს. ცვლილებები იყო სხეულში
– ანალიზებმა აჩვენა. მესამე ღამეს თეთრად გავათენე, კვლავ ცუდად
შევიქენი... იმ რაღაც სხეულის დედამიწასთან მიახლოებამ გამოიწვია.
არნახული თოვა. პო, რა თქმა უნდა!.. ტემპერატურა დაეცა – სცივე
ჩამოავდო „დაუპატიჟებელმა“ სტუმარმა.” დიდხანს ითოვა...

მე ამ საშიშროებას 2016-ში ველოდი... ვინაიდან ბუნება არეულია,
გადაიწია ეს შემთხვევაც შემდეგ წელში, თუმცა არც ისე დაავიანა...

რაც უკვე, თითქოს ვიწინასწარმეტყველე, პანიკის გამოსაწვევად
არ მითქვამს!..

ყველაფერი მოსალოდნელია...

დადგება სიკეთის ჟამი?!

ეს ღმერთმა იცის...

დაგვიფაროს სამყაროს გამგებელმა!..

ნუ გავიმრუდებთ ღვთის სახელთან მიახლოების გზებს
უგუნურებით და ავი საქმეებით...

„ოფლითა შენითა მოიპოვე პური არსობისაო“.

ჩვენ ეს შეგვიძლია!..

ღმერთმა დაგვლოცოს...

შენიშვნები

ამ წიგნის დაბეჭდვამდე ერთ პროფესორს, ვთხოვე რომ გადაეთვალიერებინა ანაბეჭდი, მან კი ისეთი კომენტარები გამიკეთა, რაც არ შეეფერებოდა არც ნაწერს და არც მის პროფესორობას.

შეგნებულად არ ვასახელებ მის ვინაობას, ოღონდ ბროშურას რომ წაიკითხავს, თავად მიხვდეს ყველაფერს. მისეულ კომენტარებს, ჩემეული კომენტარები მიეუსადაგე, რომელთაც უკლებლივ შევიტან შენიშვნებში და დაგურთავ ამ წიგნის ფონზე ისეთ უცნაურობებს, რაც ყველასთვის სავადლებულაა, რომ იცოდეს:

...რაც არ არსებობს იმას სიზმარში ვერ ნახავ. რაც არ არსებობს იმის ხილვის შანსი ნულის ტოლია. ადამიანში ქვეცნობიერი აცნობიერებს ასეთი ხედვების არსებობას, ხოლო კავშირები ყველას არ ხელეწიფება...

...თუ ადამიანი ბოროტებას სწადის და თანაც მისი ცხოვრება უკან-უკან იხევს, იფიქრებს ვინმემ დამწვევლაო. არ არის სავსებით სამართლიანი ასეთი ბრალდება. ბოროტების ჩამდენის ცოდვა გამოყოფს ისეთ ენერგიას, რომელსაც ვერანაირი ლოცვით და ღვთისმსახურებით ვერ მოიცილებ...

... გათვალვა (თვალისცემა)ნამდვილად არსებობს, მაგრამ იგი „გათვალულის“ ბუნებიდან გამომდინარეობს, თუ ცხოვრება ბოროტად მოიხმარა, ეს ბოროტება ათმაგად უბრუნდება ასეთ გათვალულს. ადამიანი თავის „მეს“-ს არასოდეს სწავლობს და რაღაც მითებს იშველიებს – თითქოს გათვალეს... ბოროტების ჩამდენს აქვს კი რამე გასათვალავი? ბოროტი გარჯილობა სამაგიეროს თვითონ გიხდის...

... მთავარია, ადამიანის მამოძრავებელი, – სული-უნდა იყოს სიწმინდის განსახიერება, ამის გარეშე ცხოვრებაში სრულყოფილება არ მიიღწევა, ადამიანი ყოველთვის მიზეზიანი იქნება და წარუმატებლობას „გათვალვას გადააბრალებს. ცხოვრებაში ყველაფერი შექცევადია, ბუმერანგის სახეს ღებულობს – როგორც ხარ, ისე მოგეცევა ცხოვრება, ანუ „ქვევრს რასაც ჩასახეობ, იმასვე ამოგძახებს“...

... ვაწყდები პიროვნებებს, რომლებიც აცხადებენ – ღმერთი არ არსებობსო... ვიცი ამისი ფინალიც... იშვიათობაა– ადამიანს სიჯიუტე რომ არ გააჩნდეს. ურწმუნო ადამიანი მკვდარი, კუბოდან რომ წამოაყენო, იტყვის – ასეც ვიცოდი რომ მოხდებოდაო...

ინტერნეტში უღმერთობაზე ბევრი მონაცემია... ეს უკვე წარ-
ღვნის მოახლოების მიმანიშნებელია!... ღმერთი – ადამიანებმა
მოიგონეს... უღმერთოდ კი არაფერი ხდება... აბა შეარქვით სახე-
ლი, როგორც ჩვენს გამჩენელს, ყოვლისშემძლეს ქვია და დაუ-
კანონეთ კაცობრიობას... ღვთის წიგნში, რომელსაც ვერცერთი
მოკვდავი ვერ იხილავს, მისი წოდებულებაც იქნება აღნუსხული,
მაგრამ მივწვდებით?.. ეს უტოპიაა!.. დიახ, ღმერთი ადამიანთა მოგ-
ონილია... როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა და თქვა – ღმერთი მე
შევექმენო... კი, რწმენისთვის ყველაფერია მისაღები, მაგრამ შენი
შემქმნელი, მომვლინებელი შენ როგორ შექმენი?.. შეგიძლია რაღაც
დახატო, ვინმეს მიაშგავსო, მაგრამ მას ღმერთს ვერ უწოდებ!..

... ადამიანი ღმერთთან მუდმივად კავშირშია, ღმერთი ყოვე-
ლივეს ამცნობს, ოღონდ მისი ხედვის უნარი უნდა იყოს სავსებით
წმინდა, რომ ჩასწვდეს ამ კავშირს... მცდარი ნაბიჯები კი ამ
წვდომის უნარს უკარგავს...

... ადამიანის ტვინის 2-3 პროცენტის გამოყენება ხდება ჯერ-
ჯერობით. თორემ ტვინი ასე პროცენტით რომ დაიტვირთოს, გონე-
ბა ხელს ისეთ ძალას გადასცემს, რომელსაც ასეულობით კილო-
გრამი ტვირთის აწევა შეეძლება – ყოვლისშემძლე გახდება და ეს
რომ ასე არაა, ღმერთს ასე ქონდა დაგეგმილი, თორემ რას არ
ჩაიდენდა ადამიანი...

...რწმენა არის მთავარი. როდესაც წმინდად და ღრმად გწამს,
ღრუბლებში ნაწილაკებსაც დაინახავ და ბევრ სხვა უცნაურობასაც.
თუ გწამს, ხილვები ამის მიმანიშნებელია – ან ანგელოზი მოგიახ-
ლოვდება ძილის მდგომარეობაში და რაღაცას განიშნებს, ან ქვეყ-
ნიერების შემომქმედი... იქნებ ცხადშიც დაინახო, ან ჩაგესმას ნებ-
ისმიერისთვის სანატრელი, სასიამოვნო და უღირსეულები ხმაც
კი...

... ხშირად ჩნდება კითხვა – რა არის მეორედ მოსვლა?.. თუკი
ზედმიწვევით მორწმუნე ხარ, დამზადებელ-გამჩენელი მთელი სიწ-
მინდით გწამს – ესაა მეორედ მოსვლაც!..

... ტექნიკური პროგრესი ტრიუმფით მიიწევა აღმავლობისაკენ.
თუ ეს პროგრესი არსებობაში გვეხმარება, ასევე – დამღუპველიცაა,
იმიტომ, რომ ტექნიკურ აღმავლობას მთავარი რამ არ ახლავს –
რწმენა ღვთისა, რომლის ძალითაც იქმნება ყოველივე, ხოლო რწ-
მენის არარსებობა იწვევს ორგანიზმის დეპრესიით მოწამვლას!..

... რაც შეეხება ხილვებს, ანუ გამოცხადებებს – ეკლესიის მსახურებს სატანისეულად მიანნიათ... ხილვა განსაკუთრებულად გამორჩეულ საეკლესიო პირებს შეიძლება ჰქონდესო... მჯერავს ესეც, თუმცა სად წავიღო ის სამი მთავარი გამოცხადება, ღმერთი როცა თავად მესაუბრა?.. აი ეს კი, ვისაც მხილველთან რაიმე სახის კონფლიქტური დამოკიდებულება გააჩნია, მხილველი რაღაც ზომით ღმერთისთვის თუ არსებითად გამორჩეულია და რაღაცას კარნახობს, ჩააგონებს – თურმე სატანისეულია!.. ასტროლოგიური ცოდნა ყველას არ მიეწოდება, და თუ ვინმეს მიაწოდეს – ეს გარკვეული დოზით იქნება, იმ მაღალი სულიერების წყალობით, თუ მავანს – სულიწმინდასავით ღვთისნაკურთი გააჩნია!..

... მთელ ქვეყანას არ მოვიტან მაგალითად, საქართველო კი მედროვეთა საასპარეზო ადგილად იქცა. ეხოთერული თვალსაზრისით საქართველო ძალიან დაშორდა მეთორმეტე საუკუნის სამართლებრივ, ეთიკურ თუ მორალურ ღირებულებებს, ტრადიციებს, ინტელექტს... თუნდაც მეთორამეტე საუკუნე ავიღოთ, როცა აზროვნება და რწმენა მაღალ იდეალებს ეფუძნებოდა, სახელმწიფოებრივი სიძლიერე გააჩნდა და ამით მალდებოდა საერთაშორისო მწვერვალებზე. ზნემაღალი ადამიანები ინარჩუნებდნენ და იცავდნენ ქართველი ერის ღირსებას. ახლა კი... თითქოს მორწმუნეები მომრავლდნენ, მაგრამ თავს ვიტყუებთ – ურწმუნობა უფრო ყვავის და ზემობს. როგორც იტყვიან – გარედან მტერს ვუბნელებთ თვალებს, შიგნით კი მოყვარესაო... საქართველომ სხვა რაკურსით უნდა გააგრძელოს განსაწმენდელისაკენ სვლა... თუ არ მოინახა ისეთი პიროვნებები, ვინც პოლიტიკისა და ცხოვრების ღონეს არ გააწონასწორებენ, მაღალი იდეალებით არ დატვირთავენ, თუ ერის შვილებს და სიწმინდეს არ დაემწყემსებიან, მომავალი მედროვეების გაიმოსობით განწირულთა რიგში აღმოჩნდება!..

... ტექსტში შეტანილი ეჭვების გამო პასუხის გაცემა შენიშვნებზე კვლავ ციფრებით მომიწევს... რა ვუყოთ – არ ვუღალატებ თითქოსდა დადგენილ ჭეშმარიტებას, ან უბრალოდ – მთელი მსოფლიო იტყუება?!

72-ე გვერდზე დამოწმებული მყავს წმინდანი, კრიტიკოსი კი თავს ნებას აძლევს თავისი ეჭვები ჩემი აზრების არადამაჯერებლობით დამიდასტუროს... სკეპტიციზმი – არაა სასურველი. მომდევნო გვერდებზეც კვლავ არადამაჯერებლობა და ეჭვი იკვეთება... ეს ბროშურა კი წმინდა ისტორიული წყარო არაა!.. მე ვიწრო

სპეციალობით არ ვიფარგლებოდი და ყოველგვარ ლიტერატურაზე მიმიწვდებოდა ხელი, ამიტომ თვალსაწიერიც ფართო და განუზომელი მაქვს...

... ქვას მაშინ ვამჩნევთ, როცა ფეხს წამოგვკრავთ... უკაცრავად – წავარტყამთ და წავიქცევით... ეს ქართველთა თვისებაა... ღმერთს ფიზიკური ხედვა არ სჭირდებაო... აბა როგორ?.. ჩემს ნაწერებში კი უტოპია (არარსებული) ნამდვილად არ გამოსჭვავის!.. თუ ღმერთი თვითონ ჩვენ გვაკისრებს ცოდვების ამ ქვეყნად დატოვებას, რატომია მკრეხელობა?.. ეს კათარზისის წინაპირობაა!..

... დინების საპირისპიროდ სვლა შესაძლებელია, მაგრამ გვირგვინი არავის დადგმია!.. თუმცა არც თათრევა-ჩაყოლას ვუსურვებ ვინმეს და... არც სხვათა აზრების გაპარტახებას, რაც ზოგ სწავლულს ხელეწიფება და თანაც არაერთი კუთხით. პრიზმულად დამუშავებული ქვები ხომ მრავალფეროვნებას გვაძლევს?..

... იოანე (ან იოვანე) ზოსიმეს შედეგს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ მე ჩემეული თვალსაზრისით მიგუდექი და ნუ ჩამითვლით მეტიწრობად და მკრეხელობად... ვერსია და თვალსაზრისი ყოველთვის გასათვალისწინებელია, ყველას თავისებური ხედვა გააჩნია და თუ იგი მავნებლური არაა, რატომაც არ უნდა აქონდეს არსებობის უფლება?..

ზოსიმე – „ერთი, ვითარცა ათასი“ – ეს ხომ 1000 წლის ერთ დღედ გამომსახველი აზრია, რომელიც წარმართობის ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. შუმერების ერთერთი მითი გვიჩვენებს, რომ დასაბამიდან დღემდე, თითქოსდა 4016 წელი გავიდა. (2000 ქრისტემდე, 2000 ქრისტეს შემდეგ). ზოსიმეს თხზულებაში 104 წელი და წილი ანბანისა = 4000+104= 4104 წელს... ყველა თავისი თვალსაზრისით საზღვრავს – ბროშურაში მინიშნებული 2125 წელი თუ მართლაც სამყაროს (დედამიწის...) აღსასრულის წლად ითვლება, 4104 წელი საიდან ჩნდება და რატომ?.. უნდა იყოს 2000+2125=4125 წელს. თუ ზოსიმეს მიხედვით ვიმსჯელებთ, 4000-ს (წ-4000) უნდა დაემატოს 104 წელი, ეს კი მართლაც უახლოვდება 2125 წელს და სწორედ მაშინ იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლა, რომელიც ქართული ენით განსჯის ყოველივეს... აქედან დასკვნა – რომ ქართული ასომთავრული მსოფლიოში პირველია და ეჭვქვეშ არ დაიყენება!.. აბა რატომ აირჩევს იესო ქართულად მეტყველებას?.. „ღმერთმა ამხილოს ამითა ენითა“-ო...

ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემით) – ენაზე, რომლითაც ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას ლაპარაკობდნენ, ღმერთმა დაანაწევრა და აურია – იყო ქართული ენა, რომლის დადგენასაც ხუთიათასი წელი დასჭირდა და არც ბოლომდე დაზუსტებულ-გაშიფრული არაა...

ოთხი დღის მკვდარი – (ანუ ლაზარე?) (ზოსიმე ხომ მეათე საუკუნეში ცხოვრობდა) ანუ გამოდის რომ ღმერთმა როცა ენა არია, ეს ხდება დაახლოებით 900-იანი წლებიდან უკან ქრისტემდე 2000 კი არა, 3100 წელი გავიდა. $3100+900=4000$... ამას დავმატა ის 104-იც, და ის საიდუმლოებებიც, რომელიც ამ ენაშია დამალული (დამარხული) – იესო განმარტავს მეორედ მოსვლისას... (ეჰ, ჩვენ რომ ვეღარ გავიგებთ?..).

ვინაიდან ქართული ენა ვერ იპატივეს, ღმერთმა იგი „დაამდაბლა და დაუწუნა“ ხალხებს, თუმცა გარკვეული ვადით, რომელიც უფლის მეორედ მოსვლისას გაცხადდება.

ცოტა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ (არც დოგმაა) – თუ იესოს მოსვლისას ქართული ენა – სხვათა საწამებლად გამოიყენება, მაშინ მსოფლიოს ხალხებმა ქართულ ენას პატივი უნდა მიაგონ და შეისწავლონ კიდევ, ვინაიდან იესოს შეკითხვებს თავიანთი ენით პასუხს ვერ გაცემენ. (ისევ ერთღმერთიანობა და ერთი ენა...)

წმინდა ნინომ რომ საქართველო აირჩია ქრისტიანობის გასავრცელებლად (და საბოლოო განსასვენებლად...) ეს შემთხვევითი კი არ იყო, იმთავითვე შთაეგონა წმინდა ნინოს ღვთის სასწაული, რომელსაც იოანე ზოსიმე „ლაზარეში“ აიგივებს. (ენციკლოპედიის IV ტომში ზოსიმე მოხსენიებულია XI საუკუნის ჰიმნოგრაფად...). აქ კიდევ რამდენიმე წელია შეუსაბამობა – X- თუ XI-ე?

...ქვეყნის დასაბამიდან ქრისტემდე პერიოდის 5604 წელზეა შეჩერებული სწავლულთა ხედვა. თუ ციფრების შესატყვის ასოებს ჩავსვამთ, მივიღებთ 5604. ევ(ა)დ აქ ვფირობ არა მარტო საწყისია, ევასა და ადამის სახელებია დაშიფრული, თუმცა, მაინც აქედან იწყებენ ათვლას... ევა – ვიცით რომ ქალის სახელია. ბგერა „ა“ რატომ 0-თანაა გაიგივებული, როცა „ა“ რიგით პირველია?.. (ევ)-ად-ეს მეორე მარცვალი ხომ ადამის სახელის საწყისია?.. ცოტა უნდა გადავუხვიო, – ად-გინდ ქართული ასოებით გამოხატვ, გინდ რუსულით (Ad)– მაინც ჟღერს როგორც ჯოჯოხეთი... რისი მაუწყებე-

ლია?.. იმის ხომ არა, რომ ევას და ადამის შთამომავლობას ყველას ჯოჯოხეთი ელოდება?!

– ახლა მცირე დამატება, რაც ამოვიკითხე, სინამდვილეს შეეფერება და საჭიროა ყველამ იცოდეს და იხელმძღვანელოს:

...ადამიანი, ვინც სამკაულებს ატარებს, უნდა იცოდეს თავისი ზოლიაქოს ასტრალური ფონი, რომელიც სამკაულზე დიდ გავლენას ახდენს. მას გამოთვლა სჭირდება. ზოლიაქოს შესაბამისი სამკაულის ტარება (ე.ი თვლები) ადამიანს ცხოვრებას გაულამაზებს... ხატებსაც ამკობენ მინერალებით, ჯვრებსაც და ყველა ესენი ზოლიაქოს მეშვეობით მიდის სრულყოფილებამდე და ამიტომაცაა, რომ ხშირად სასწაულებს ახდენენ. (ღვთისმშობლის ხატის ირგვლივ შემოტარებამ მოსკოვი იხსნა განადგურებისაგან.ო..)

ჯერა ესეც, მაგრამ იმ ხატს გადამრჩენი პლანეტის შესატყვისი, ნაკურთხი მინერალი (ქვა, თვალი) ჰონდა ჩამაგრებულიო...

თუ რომელიმე მათგანს (აგგაროზს...) შესაბამისი ზოლიაქოს წარმომადგენელი წმინდად დააფასებს, მისი ცხოვრებაც დადებითი იქნება და წინ წაიწვესო...

ინერალებზე პლანეტების გამოსხივებებიც გადადის ენერგიაში, ამიტომ მათი სწორად შერჩევა საჭირო – ისინი დალაგებულია მათი თვისებების მიხედვით, მაგრამ მათზე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

... თუ სამკაული იმ მიზნით დამზადდა, რომ მის მატარებელს ყოველთვის ზიანი მიაყენოს, დიახაც, ეს ასე იქნება, ვინაიდან გამკეთებლის უარყოფითი „მე“, ანუ მისი ცუდი ენერგია გადადის ლითონში. თუ ეს ლითონიც (ოქრო, ვერცხლი და სხვა) არალვითიური, ცოდვიანი, სატანური გზითაა მოპოვებული და გამიზნულიც, ღვთისმშობლის სადიდებლადაც რომ აქციო, მაინც ნეგატიური იქნება. როცა ადამიანი ემოციურია, ან ბრაზობს, ცუდ ენერგიას გამოყოფს და მეტალს გადაეცემა. ასეთ მეტალებს გადადნობაც ვერაფერს უშეგლის, მას მხოლოდ მზის გულზე თუ მიაფიცხებ – სხივები თავისებურ წმენდას ატარებენ. თუ არასწორი, სატანური გზითაა მოპოვებული რაიმე – თავს ყოველთვის შეგახსენებთ.

აი, თუნდაც სალოცავი ადგილიდან რაიმე სახის განძეულის მოქურდვა, მქურდავის ცხოვრებას უკუღმა წაიყვანს, სულ აწეწილანგრეული ან სასჯელიანი იქნება. სამლოცველოს სიწმინდეებზე შეხება, გვარეულობის მთლიანად მოსპობასაც იწვევს... (თუ რა თქმა უნდა საგვარეულოში წმინდანებიც არიან, იმათზე უფრო

გადადის ღვთის რისხვა – რატომ არ მიახვედრა ბოროტს ბოროტება... ამას ღმერთი კი არ სჯის მარტო, იმ ადამიანის უარყოფით მიდგომაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს იმ ათიათასობით მლოცველს შორის მყოფი წმინდა ადამიანის, (ვიდაცის) უდიდესი ენერგია და სწორედ ის გაცემს საკადრის პასუხს მცოდველს. გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად რაიმეზე უარყოფითად შეხება, თავისთავად დაღუპვაა!..

... სიცოცხლისათვის საშიშროებად ითვლება ბრილიანტი და მარგალიტი – (ქარვია ყველაზე კარგი – ლამაზიცაა და დამცავი თვისებაც გააჩნია.) ვინც ასეთი სახის სამკაულს ატარებს, ისინი ხშირად ავადდებიან და ქორწინებასაც საშიშროება ექმნება. (არაა მიზანშეწონილი, გასათხოვრებისთვისაც...) არავის აქვს ეჭვადაც რომ ისინი ანტიენერჯის მატარებლები არიან.

ქვები, მინერალები შერჩეული უნდა იქნას ადამიანის ჰოროსკოპის, ზოდიაქოს ნიშანთან შესაბამისობაში, სხვაგვარად მათგან მოტანილ წარმატებებზე და ბედნიერებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება... შედეგად იმკიან გათვალვისა თუ ჯადოს კეთების მცდარი გავლენის არსებობას...

ზოგჯერ, და განსაკუთრებით დედა, თავისი ეგოისტური სიყვარულით (შვილების მიმართ) ანგრევს ოჯახს, ტრაგედიაში დაჰყავს. ასეთი დედები კი ხშირად შავად მოაზროვნე მარჩიელებს უვარდებიან ხელში და ისინიც თავბრუდამხვევი ამბებით, ისედაც გაოგნებულ მშობლებს თავზარს სცემს. (და ამასთანავე თავზარს უბნევს). ისინი რუხი, ან შავი მაგიის პოპულაციასაც ეწევიან!..

... თორმეტი ზოდიაქო ქრისტეს თორმეტი მოციქულის სახელს შეესაბამება... რატომ?. ან მანამდე არ იცოდნენ ვარსკვლავთმრიცხველებმა (რომლებიც დღევანდელ ასტროლოგებზე გაცილებით მეტი გონებაგანვითარებული იყვნენ) ზოდიაქოები?.. თუ ქრისტეს მოციქულებს თვით ღმერთმა მიანიჭა ისინი?.. ეს ნამდვილად, ადამიანებმა შექმნეს, – ქრისტეს მოძღვრება სწორი გზით რომ წაყვანათ. რელიგიას ეს ნამდვილად სჭირდებოდა და მართებულადაც!..

ისე კი, ციური კანცელარიის ყოფლისშემძლე პოლისით დაზღვეული არავინაა და არც „ღვთისმირ კომპასს“ ემორჩილებიან, ამიტომაც: საქართველო, რომელიც თავისი სილამაზით, თვითმყოფადობით, თავისი ბუნებრიობით, იმანუილ კანტის შეფასებით – ორანჟერეაა, სადაც ლამაზი და ყოველმხრივ შემკული ადამიანები ევლინებიან

ქვეყანას – უზარმაზარ ნაირფერის ქვეებით მორთულ-მოკაზმულ ჭაღს მოაგონებდა ხალხებს, მნახველებს, ნახვის მსურველებს და სწორედ ამიტომ ელტვოდნენ საუკუნობით, ახლა იგი დამლაგებლის ხელით ჩაწეულ იმ ლამპას დაემსგავსა, ლამაზი მეჯლისის შემდეგ, დარბაზში ძლივსდა რომ ბჟუტავს... ან კიდევ, იმ ულამაზეს ჭაღს, ოღონდ გაჭუჭყიანებულს და ნათურებდამწვარს...

საქართველოში ოჯახური სიმყუდროვის კულტი განადგურდა!..

...სიყვარული ბრმა და სიბრმავე ვერ შეძლებს გონიერ მრჩეველობას... უყვარდათ საქართველო, მაგრამ... თვალდახუჭულად ანუ ბრმად!..

... ხელს რომ მოიწვავ და შემდეგ იმასვე გაიმეორებ, იმაზე უარესი არაფერია... საქართველომ ერთხელ იწვნია ასეთი „დაწვა“ (იქნებ ბევრჯერაც...), მეორედ იქნებ დამღუპველი აღმოჩნდეს...

... ისე რომ – მოგიახლოვდება, „ბოდიშის მოხდით“ გეტყვის – უშენოდ აღარ მივდივარო და ცოტა ხანს დარჩენის შემდეგ სურვილს გაგიჩენს რომ, გაყვე და იძულებულიც ხდები, ეს ნაბიჯი გადადგა... არ მიჰყვები და... სად წახვალ?! აი, ორიენტირდაკარგულ და კომპასგაფუჭებულ გემივით, დასაღუპავად განწირული მგზავრებივით ვართ!!!!...

2017 წელი.

